

ზვიად გაბისონია

# საბანკო სამართალი



„იურისტების საბჭარო“

**ზვიად ბაზისონია**

**საბანკო  
სამართალი**

**გამომცემლობა „იურისტების სამყარო“  
თბილისი, 2015**

**ZVIAD GABISONIA**

# **BANKRECHT**

**Publishing House „World of Lawyers“  
Tbilisi, 2015**

**ვუძღვნი ჩემს შვილებს,  
ნიკოლოზ და საბა გაბისონიებს**

წიგნი წარმოადგენს საბანკო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს. მასში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია საბანკო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები და შედარებულია ქართულ საბანკო კანონმდებლობასთან. ნაშრომი შედგენილია ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების შესაბამისად და ძირითადად მოიცავს მათში შემავალ ყველა საკითხს.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე მეცნიერ-პედაგოგების, მოსამართლეების, არბიტრების, ადვოკატებისა და სხვა პრაქტიკოსი იურისტებისათვის, აგრეთვე საბანკო სამართლის შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

### **რედაქტორი**

პროფესორი ლადო ჭანტურია

### **რეცენზენტები:**

პროფესორი თედო ნინიძე

პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი

პროფესორი მარიამ ცისკაძე

© ზვიად გაბისონია

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015



**გამომცემლობა „იურისტების სამყარო“**

**თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34**

**E-mail: Lawyers.world@yahoo.com;**

**<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>**

ISBN 978-9941-9444-1-3

წინათქმა .....	8
რედაქტორისაგან .....	12
<b>ნაწილი 1. საბანკო სამართლის ცნება, სისტემა და წყაროები.....</b>	<b>14</b>
<b>თავი 1. საბანკო სამართლის ცნება და სისტემა .....</b>	<b>14</b>
§1. საბანკო სამართლის ცნება და არსი.....	14
§2. საბანკო სამართლის სისტემა .....	19
<b>თავი 2. საბანკო სამართლის წყაროები .....</b>	<b>22</b>
§1. შიდასახელმწიფოებრივი საბანკო კანონმდებლობა.....	39
§2. საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები) და შეთანხმებები .....	34
1. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები (Multilaterale Abkommen).....	36
2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები (Bilaterale Abkommen) .....	38
§3. საბანკო წეს-ჩვეულებები და ტრადიციები .....	39
§4. სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა .....	41
<b>ნაწილი 2. საბანკო სამართლის ზოგადი ნაწილი.....</b>	<b>43</b>
<b>თავი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი.....</b>	<b>43</b>
§1. საქართველოს ეროვნული ბანკის ცნება და მისი მმართველობა .....	43
§2. საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციები.....	54
§3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური და მისი ფუნქციები.....	63

<b>თავი 2. კომერციული ბანკები, როგორც საბანკო სამართლის სუბიექტები .....</b>	<b>73</b>
§1. კომერციული ბანკის ცნება და ფუნქციები .....	73
§2. კომერციული ბანკის დაფუძნება და მართვის ორგანოები .....	82
§3. კომერციული ბანკების საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება, დარღვევები და სანქციები .....	98
<b>თავი 3. არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, როგორც საბანკო სამართლის სუბიექტები .....</b>	<b>110</b>
§1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირება .....	110
§2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები .....	126
<b>ნაწილი 3. საბანკო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი.....</b>	<b>144</b>
<b>თავი 1. ანგარიშსწორების ხელშეკრულება.....</b>	<b>144</b>
§1. ანგარიშსწორების ხელშეკრულების არსი .....	144
§2. IBAN – საბანკო ანგარიშებით ანგარიშსწორება .....	155
§3. საბანკო პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება .....	160
<b>თავი 2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება .....</b>	<b>171</b>
§1. საბანკო კრედიტის არსი.....	171
§2. საბანკო კრედიტის სახეები .....	187
<b>თავი 3. ანაბრის ხელშეკრულება.....</b>	<b>200</b>
§1. ანაბრის ხელშეკრულების არსი .....	200
§2. ანაბრის ცალკეული სახეები.....	206

<b>თავი 4. დოკუმენტური აკრედიტივისა და</b>	
<b>დოკუმენტური ინკასოს ხელშეკრულებები .....</b>	<b>214</b>
§1. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება.....	214
§ 2. დოკუმენტური ინკასოს არსი .....	221
<b>თავი 5. საბანკო გარანტია.....</b>	<b>225</b>
§1. საბანკო გარანტიის ცნება.....	225
§2. საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნება.....	233
§3. საბანკო გარანტიის მხარეები.....	234
§4. საბანკო გარანტიის სახეები .....	239
§5. გარანტის სამართლებრივი მდგომარეობა, მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მისი სამართლებრივი შედეგები...	245
§6. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები.....	252
<b>ლიტერატურა .....</b>	<b>256</b>

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საბანკო სისტემა ქვეყნის სიძლიერისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინსტიტუციას წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ქვეყანაში საბანკო სისტემის რყევა პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და ხშირად რომელიმე ერთი დიდი ბანკის გაკოტრებაც კი, ერთმანეთის მიყოლებით ანგრევს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესა და სტაბილურობას.

ამის ნათელი მაგალითი ჯერ ამერიკის შეერთებული შტატები და შემდეგ თანამედროვე ევროპის ქვეყნებია. დღეს ევროკავშირი დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მან უნდა მოახერხოს და გადალახოს დაწყებული „ევროზონის“ კრიზისი, რომლის მთავარ ამოცანას საბანკო სექტორის გადარჩენა წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში მან ან უარი უნდა თქვას ერთიან ევროპულ ვალუტაზე, რასაც ცნობილი ევროპელი ექსპერტების შეფასებით, დიდი ფინანსური კატაკლიზმების გამოწვევა შეუძლია, ან რთული, ხისტი ფინანსური პოლიტიკის გატარებით შეინარჩუნოს ერთიანი ევროპული ვალუტა და საბანკო სივრცე.

ევროპის ერთიანი სავალუტო ზონის შენარჩუნება კი სწორედ საბანკო სექტორის გადარჩენაზეა დამოკიდებული. ევროკავშირი იძულებულია მილიარდობით ევროს ფინანსური დახმარება გაუწიოს საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის, ირლანდიის, კვიპროსის კომერციულ თუ სახელმწიფო ბანკებს და ეს ჯერ დასასრული არ არის. დღეს ნებისმიერ ევროპულ მეცნიერთან დიალოგი სწორედ ევროპული ბანკების გადარჩენაზე საუბრით იწყება. ეს კი ნათელს ხდის იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისთვის საბანკო სექტორის მარეგულირებელი ნორმების შესწავლა.

საქართველოში საბანკო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგი, არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრდა. ვფიქრობ, რომ ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რატომ არ იყო საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოში საბანკო სამართალი განვითარებული. იქ, სადაც გაბატონებული იდეოლოგია არ ცნობს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს

და კერძო სამართლის არსებობას<sup>1</sup>, შეუძლებელია ისაუბრო მწყობრად განვითარებულ, ცივილიზებულ საბანკო სამართალზე.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მიუხედავად აღნიშნული სამართლის დარგის პოპულარობისა და სტუდენტების დიდი დაინტერესებისა, დღემდე ვერ მოხერხდა საბანკო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სფეროში თითქმის ათ წელზე მეტია ვმუშაობ და დაახლოებით ამდენივე წელია, რაც სხვადასხვა ცნობილ ქართულ უნივერსიტეტში ამ დარგს ვასწავლი, უნდა ვაღიარო, რომ ვერ ვბედავდი ასეთი რთული სამართლის დარგის თუნდაც დამხმარე სახელმძღვანელოს დონეზე დამუშავებას. მხოლოდ ჩემი კოლეგების, ცნობილი ქართველი მეცნიერების და მრავალრიცხოვანი სტუდენტების დაჟინებული მოთხოვნით გადავწყვიტე გამეხდინა საბანკო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს დაწერა.

აღნიშნულ წიგნზე ორ წელზე მეტია რაც მუშაობა დავიწყე. ჩემს ქართველ მეცნიერ და პრაქტიკოს კოლეგებისგან რეგულარული რჩევების, კონსულტაციებისა და რეკომენდაციების მიღების გარდა, დიდი მხარდაჭერა აღმომიჩინა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის *პროფესორმა, დოქტორმა მათიას ჰაბერზაკმა*, რომელიც იმავდროულად გერმანიის საბანკო კავშირის გამგეობის წევრს წარმოადგენს. პროფ. ჰაბერზაკის უშუალო მინვევითა და *გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD)* მხარდაჭერით საშუალება მქონდა 2012 წლის ზაფხულში სამეცნიერო სტაჟირება გამეწყო მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აღნიშნული დიდი მხარდაჭერისა და ფასდაუდებელი რჩევებისათვის მინდა პროფ. მათიას ჰაბერზაკს გულითადი მადლობა ვუთხრა.

პროფ. ჰაბერზაკთან, *დოქტორ ვებერსა* და *დოქტორ ფორსტერთან* საუბრის შემდეგ, გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა სახელმძღვანელოში რთული დოქტრინული ინსტრუქციებისა და ამა თუ იმ საბანკო სამართლის პრობლემაზე საუბრისას ზედმეტი სამეცნიერო თეორიების გამოყენება-განხილვაზე. პროფ. ჰაბერზაკ-

---

<sup>1</sup> იხ. ლ. ჭანტურია. უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 5.

კის რჩევით, იმის გამო, რომ წიგნი უპირველესად სტუდენტებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, უფრო ღირებული გამოვიდოდა, თუ უარს ვიტყვოდი რთული დოქტრინული მიდგომებისგან და მაქსიმალურად ავსახავდი თანამედროვე ქართული საბანკო კანონმდებლობის რეგულაციებს და მის შედარებას მოვახდენდი ევროკავშირის, ძირითადად, გერმანულ კანონმდებლობასთან. ამასთან, წიგნი აუცილებლად პრაქტიკული დანიშნულების უნდა ყოფილიყო, რადგან გერმანიაში საბანკო სამართლის სახელმძღვანელოები სწორედ ამგვარი მიდგომით იწერება.

სწორედ აღნიშნულის გამო გადავწყვიტე, უარი მეთქვა თავდაპირველად ჩაფიქრებულ რთულ სისტემაზე და შევეცადე, მაქსიმალურად გამემარტივებინა წინამდებარე სახელმძღვანელო.

ამიტომ, წინასწარ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ქართული საბანკო სამართლის გამოკვლევის ერთ-ერთ პირველ ცდას და მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს პრეტენცია სამეცნიერო ნაშრომისა. ჩემი მიზანი იყო, მარტივად მიმეწოდებინა ქართული საბანკო სამართლის შესწავლით დაიტერესებულ პირთათვის აღნიშნული დარგის დღევანდელი მდგომარეობა, მისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. რამდენად მოვახერხე, ეს მკითხველმა განსაჯოს.

მინდა, განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი კოლეგები, ვინც დიდი დახმარება გამიწია თავისი რჩევებითა და რეკომენდაციებით და ვის მხარდაჭერასაც მუდვიმად ვგრძნობდი აღნიშნულ წიგნზე მუშაობისას. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა წიგნის რედაქტორს, ჩემს მასწავლებელს, **პროფ. ლადო ჭანტურიას**, რომლის სახელიცა და ავტორიტეტიც ჩემი გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში ჯერ სწავლის, ხოლო შემდგომ სტაჟირებების პერიოდში მუდამ გზას მიკვლევდა და მიუხედავად მისი მოუცლელობისა, დროის უმოკლეს პერიოდში შეძლო წიგნზე თავისი მოსაზრების დაწერა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა წიგნის რეცენზენტებს, ცნობილ ქართველ ცივილისტებს, **პროფ. თედო ნინიძესა** და **პროფ. მარიამ ცისკაძეს**, ჩემს უახლოეს მეგობარსა და კოლეგას, **პროფ. ზურაბ ძლიერიძევილს**, რომელიც ჩემს მიერ ამ წიგნის დაწერის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მეგობრებსა და პარტნიორებს,

ქართველ ბანკირებს, **ზურაბ დავლიანიძესა** და **თეიმურაზ ჯაშს**, ნამდვილ პროფესიონალებს, რომელთა მხარდაჭერა და გამხნელება საქართველოშიც და გერმანიაშიც მუდამ თან მდევდა. სწორედ მათთან ერთად წლობით მუშაობამ შემაძლებინა, სხვაგვარად დამენახა ამა თუ იმ საბანკო ინსტიტუტის ფინანსური არსი და დანიშნულება.

დაბოლოს, მინდა მაღლობა ვუთხრა ჩემს სტუდენტებს, რომელთა დაუინებული თხოვნა არ მაძლევდა საშუალებას, მიუხედავად ჩემი არანორმალური სამუშაო გრაფიკისა, უარი მეთქვა აღნიშნული წიგნის დასრულებაზე. ძალიან ვამაყობ თითოეული მათგანით და ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს იურისტების ასეთი ახალი თაობა ჰყავს.

**ზვიად გაბისონია**

მიუნხენი, 2012 წლის აგვისტო

## რედაქტორისაგან

საბანკო სამართალი ახალი ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და განხორციელებული სამართლებრივი თუ ეკონომიკური რეფორმების შედეგად ჩამოყალიბდა. ამდენად, საუბარია სამართლის ახალ სფეროზე, რომელიც ჯერ არ ყოფილა მონოგრაფიული კვლევის ობიექტი. ამ ხარვეზს ავსებს ზვიად გაბისონიას წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ავტორი მისთვის ჩვეული სტილითა და ლაკონურობით გადმოსცემს ქართული საბანკო სამართლის ფუძემდებლურ საკითხებს.

მსოფლიოს უკანასკნელმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც 2008 წელს დაიწყო და ჯერ კიდევ არ დასრულებულა, თვალნათლივ აჩვენა ბანკების განსაკუთრებული როლი და თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მათ მიერ შესრულებული ფუნქციები, ასევე ხარვეზები, რომლებიც განაპირობებენ მსგავსი გლობალური კრიზისების წარმოშობას. სიცოცხლისუნარიანი და ფუნქციონირებადი საბანკო სისტემის გარეშე წარმოუდგენელია არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, არამედ ელემენტარული საზოგადოებრივი ურთიერთობების შენარჩუნება. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ როგორც ბანკების სტატუსი, ისე ამ ბანკებთან დაკავშირებული ურთიერთობები, მაგალითად, საბანკო კრედიტი, სპეციალური საკანონმდებლო მონესრიგების საგანს წარმოადგენს.

ეროვნული საბანკო სისტემა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საერთაშორისო სტანდარტებსა და რეგულაციებზე, რომელთა გაზიარებისა და ნაციონალურ სამართალში იმპლემენტაციის გარეშე შეიძლება მოხდეს საბანკო სისტემის მარგინალიზაცია და ის უვარგისი აღმოჩნდეს დაკისრებული ფუნქციების შესრულებისთვის. აქედან გამომდინარე, საბანკო სამართალი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო წესებსა თუ ჩვეულებებს. ავტორი დამაჯერებლად აჩვენებს ამ ორგანულ კავშირს ქართულ საბანკო სამართალსა და საერთაშორისო საბანკო სამართალს შორის.

რის, იკვლევს საბანკო სისტემის საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებს.

მნიშვნელოვანია საბანკო სამართლის დაყოფა საჯარო და კერძო საბანკო სამართლად, რაც ქართული სამართლის სისტემას შეესაბამება. სახელმძღვანელოს სტრუქტურა ასახავს ამ სისტემას და მკითხველისთვის იოლად აღსაქმელს ხდის საბანკო ურთიერთობათა რეგულირების მეთოდებსაც.

კერძო სამართლის გადმოსახედიდან ყურადღებას იმსახურებს ანგარიშსწორების, საბანკო კრედიტის, ანაბრის, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებები, რომლებიც ავტორს წიგნის განსაკუთრებულ ნაწილში აქვს განხილული. მათი გაცნობით მკითხველი საბანკო სამართლის მრავალ სამართლებრივ პრობლემას დაინახავს სხვადასხვა ასპექტში.

შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გაბისონიას ახალი წიგნი საბანკო სამართალში არა მხოლოდ ქართველი იურისტებისთვის იქნება კარგი შენაძენი, არამედ ის სამაგიდო წიგნიც გახდება საბანკო სამართლით დაინტერესებული როგორც იურისტებისთვის, ისე საბანკო წრეების წარმომადგენელთათვის.

**ლადო ჭანტურია**

კილი, 2012 წლის სექტემბერი

# ნაწილი 1. საბანკო სამართლის ცნება, სისტემა და წყაროები

## თავი 1. საბანკო სამართლის ცნება და სისტემა

### §1. საბანკო სამართლის ცნება და არსი

საქართველოში საბანკო სამართალი ახლად ფეხადგმული დარგია. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სამართლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები უკვე თითქმის ორი ათეული წელია საქართველოში არსებობს და არაერთი ცვლილებაც განიცადა, სამწუხაროდ, დღემდე აღნიშნული დარგის დოქტრინულ დონეზე კვლევა თითქმის არ განხორციელებულა. თუ არ ჩავთვლით ერთეულ სადისერტაციო ნაშრომებსა<sup>2</sup> და სამეცნიერო პუბლიკაციებს, ქართული საბანკო სამართლის შესახებ სამეცნიერო გამოკვლევების დიდი სიმწირე, ძალიან რთულს ხდის აღნიშნული დარგის განვითარებას.

ამიტომ ვფიქრობ, რომ აღნიშნული დარგის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების უფრო გააქტიურება და საბანკო სამართლის სფეროში მათი მეტად ჩართულობა.

საბანკო სამართლის კვლევას ისიც ართულებს, რომ განსხვავებით სხვა სამართლის დარგებისაგან, საბანკო სამართალი იმდენად სპეციფიკური სამართლის დარგია, რომ მის კვლევას დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც სჭირდება. XXI საუკუნის დასაწყისიდან საბანკო ტექნოლოგიების განვითარებამ იმდენად შეცვალა „ტრადიციული“ საბანკო სამართალი, რომ ევროპელ მეცნიერებსაც საკმაოდ უჭირთ ახალი ტექნოლოგიების სამართლებრივ რეგულაციებში სწრაფი გარკვევა. საბანკო სამართ-

---

<sup>2</sup> ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბაადურ ყიფიანის სადისერტაციო ნაშრომი „ბანკების დაფუძნების სამართლებრივი მონესრიგება საქართველოში“, თბ., 2004 წ., რომელიც თანამედროვე ქართული საბანკო სამართლის ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს და მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული მრავალი ცვლილებისა, დღემდე ძალიან აქტუალურია.

ლის ცნობილი ევროპელი სპეციალისტები აღიარებენ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე საფუძვლების ათვისების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა საბანკო სამართლის კვლევა<sup>3</sup>.

საბანკო სამართალი ერთ-ერთ რთულ სამართლის დარგს წარმოადგენს. ამიტომაც ევროპული დოქტრინა საბანკო სამართალს ორ ნაწილად ყოფს. პირველს უწოდებს საჯარო საბანკო სამართალს, ხოლო მეორეს – კერძო საბანკო სამართალს.

საჯარო საბანკო სამართლის შესწავლის საგანია სახელმწიფო ზედამხედველი ორგანოებისა (ეროვნული (ნაციონალური) ბანკები, ფედერალური და ბუნდეს ბანკები<sup>4</sup> და ა.შ.) და კომერციული ბანკების სამართლებრივი ურთიერთობები. კერძოდ, ეროვნული ბანკების მიერ კომერციული ბანკების, აგრეთვე სხვა რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები და ა.შ.) ლიცენზირებისა და ზედამხედველობის სამართლებრივი რეგულაციები, ეროვნული ბანკების მიერ კომერციული ბანკებისა და რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტებისათვის პერიოდულად, გარკვეულ საქმიანობაზე დადგენილი შეზღუდვებისა და ნებართვების სამართლებრივი ასპექტები, აგრეთვე საბანკო გარიგებების სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საკრედიტო ინსტიტუტების საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობები<sup>5</sup>.

რაც შეეხება კერძო საბანკო სამართალს, მასში იგულისხმება ფინანსური და საკრედიტო ინსტიტუტების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები კლიენტებთან და მესამე პირებთან<sup>6</sup>. შესაბამისად, კერძო საბანკო სამართალი სწავლობს კონკრეტულ საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებსა და მისგან გამომდინარე სამართლებრივ რეგულაციებს. კერძო საბანკო სამართალში ისწავლება ისეთი გარიგებები, როგორცაა საბანკო კრედიტის, ანგარიშსწორების, ანაბრის, აკრედიტივისა და კონტოკორენტის ხელშეკრულებები.

---

<sup>3</sup> H. Schwintowski. Bankrecht, 3.Aufl., Köln, 2011, S.2.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>5</sup> Bank- und Börsenrecht für Studium und Praxis. Hsgb. von C.P.Claussen. 4. Aufl., München, 2008, S.1.

<sup>6</sup> Baumbach/Hopt. Kommentar zub HGB, 32. Aufl., 2004, S.3.

უკანასკნელ ათწლეულში მთელს მსოფლიოში ტექნოლოგიურ-მა განვითარებამ დიდი ბიძგი მისცა ახალი საბანკო პროდუქტების სწრაფ განვითარებას. გაიზარდა ე.წ. „ინტერნეტ ბანკინგისა“ (Internet-Banking)<sup>7</sup> და „ონლაინ ბანკინგის“ (Online-Banking) ოპერაციები, რამაც ძალიან მწვავედ დააყენა ევროკავშირსა და აშშ-ში მათი სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობის საკითხი<sup>8</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „პლასტიკური საბანკო ბარათებით“ „ონლაინ შოპინგისას“ განხორციელებული ტრანზაქციების სამართლებრივი რეგულირების პრობლემა, რაც დღემდე ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად ითვლება ევროპასა და აშშ-ში. გარდა ამისა, მიუხედავად მოძველებული ფორმისა, კერძო საბანკო სამართლის რეგულირების სფეროში დღემდე შედის კომერციული ბანკების მიერ ჩეკებისა (მათ შორის „ევროჩეკების“ – Eurocheck) და თამასუქების განაღდებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესწავლა. ამიტომ გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საბანკო სამართალი ძველი ისტორიული ტრადიციული ინსტიტუტებისა და ინოვაციური ტექნოლოგიებით შექმნილ საბანკო პროდუქტების ნაზავს წარმოადგენს, რაც აღნიშნულ დარგს დამატებით ხიბლს მატებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს საბანკო სამართლის ერთიანი ცნება. გერმანელი იურისტები საბანკო სამართლის დეფინიციას ორი გაგებით განმარტავენ – ინსტიტუციური (institutionellen Bankrechtsbegriff) და ფუნქციონალური (funktionalen Bankrechtsbegriff) გაგებით.

ინსტიტუციური გაგებით, საბანკო სამართალი წარმოადგენს ობიექტური სამართლის ნაწილს, რომელიც შეისწავლის საკრედიტო ინსტიტუტების სამართლებრივ ურთიერთობებს<sup>9</sup>. საბანკო სამართლის აღნიშნულ დეფინიციასში პრობლემატური არის ის, იგი საერთოდ უარყოფს სუბიექტური სამართლის გამოყენებას და შესაბამისად, ბევრ საბანკო სამართლის ტრადიციულ ინსტი-

---

<sup>7</sup> Berner Bankrechtstag. Band 8, E-Banking. Rechtliche Grundlagen, Bern, 2002, S. 3.

<sup>8</sup> Bank- und Kapitalmarktrecht case by case. Hrsg. Gerald Spindler. Frankfurt am Main, 2005, S. 53.

<sup>9</sup> Schönle. Bankrecht., 2 Aufl., 2007, S.2.

ტუტს, მაგალითად, სავალუტო სამართლის შემსწავლელ ნორმებს რეგულირების გარეშე ტოვებს<sup>10</sup>.

რაც შეეხება ფუნქციონალურ გაგებას, მის მიხედვით საბანკო სამართალი მთლიანად უკავშირდება ფულის, როგორც ინსტიტუტის ემისიასა და მის ბრუნვასთან დაკავშირებულ ასპექტებს. ფუნქციონალური გაგებით, ნებისმიერი საბანკო-სამართლებრივი ურთიერთობის ამოსავალი საკითხი პირდაპირკავშირშია ფულთან და მის გარეშე ვერ იარსებებს. ამიტომ, ნებისმიერი განმარტება, რომელიც არ უკავშირდება ფულის ინსტიტუტის სამართლებრივ პრობლემატიკას, ზუსტად ვერ ასახავს საბანკო სამართლის არსს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული განმარტების მომხრეები ფულს „ფართო“ გაგებით იყენებენ და მასში აერთიანებენ არა მხოლოდ ფულად ნიშნებს (ბანკნოტებს), არამედ ელექტრონულ ფულსა და ფასიან ქალაქებსაც<sup>11</sup>.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული დეფინიციები უფრო დოქტრინული ხასიათისაა და მიზნად ისახავს სხვადასხვა თეორიული მიდგომის გამოყენებით საბანკო სამართლის დეფინიციის საკუთარ შეხედულებებზე მორგებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიდგომებისა, ვფიქრობ, რომ ქართული საბანკო სამართალი განვითარების ამ ეტაპზე ერთიან სამართლის დარგად უნდა ჩაითვალოს და მათი გამიჯვნა საჯარო საბანკო სამართლისა და კერძო საბანკო სამართლის დარგებად მიზანშეწონილი არ არის. მით უმეტეს, ამაზე მეტყველებს პოსტ-საბჭოური ქვეყნების საბანკო სამართლის გამოცდილებაც, სადაც ორივე დარგის ინსტიტუტი სწორედ ერთიან საბანკო სამართლის ცნებაშია თავმოყრილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საბანკო სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც შეისწავლის ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის საჯარო-სამართლებრივ საკითხებს, აგრეთვე ცალკეული საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტების (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო

---

<sup>10</sup> Hans-Peter Schwintowski. Bankrecht, München, 2004, S. 1.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 2.

კავშირები და ა.შ.) კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს მესამე პირებთან.

თავად ტერმინი „ბანკი“ ისტორიულად მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან „Banca“, რაც გვიანი შუა საუკუნეების იტალიაში გულისხმობდა ქუჩაში მევახშეთა მიერ გამოტანილ დიდ მაგიდებს, სადაც განთავსებული იყო სხვადასხვა სახელმწიფოს ფულადი მონეტები და მიმდინარეობდა აქტიური გადაცვლა. მსგავსი ინსტიტუტი არსებობდა ძველ საბერძნეთშიც, როცა ბერძენი მევახშეები აწარმოებდნენ ფულის გადაცვლას სპეციალურ დიდ მაგიდებთან, რომლებსაც „ტრაპეცა“-ს უწოდებდნენ. მოგვიანებით ტერმინი „ბანკი“ გამოყენებულ იქნა იმ ფინანსური დაწესებულებების მიმართ, რომლებიც აწარმოებდნენ არა მარტო ფულის გადაცვლას, არამედ მოსახლეობიდან საპროცენტო სარგებლის დარიცხვით ფულის მიღებასა და უფრო დიდი საპროცენტო სარგებლით მესამე პირებზე სესხების გაცემას.

დოქტრინული თვალსაზრისით, საბანკო სამართალი აერთიანებს როგორც საჯარო სამართლის, ასევე კერძო სამართლის პრობლემებს. კერძოდ, ე.წ. „საბანკო ზედამხედველობის“ სამართალი უშუალოდ საჯარო-სამართლებრივი ნორმებისაგან შედგება და ამდენად, ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის საკითხები ვერ მოექცევა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების ჩარჩოებში. ეს მაშინ, როცა ცალკეული საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთობები კლიენტებთან და სხვა მესამე პირებთან სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ფარგლებშია და გამოკვეთილი კერძოსამართლებრივი ხასიათი აქვს.

აღსანიშნავია, რომ ბევრი სამართლის დარგი სწორედ კერძო და საჯარო სამართლის დარგების გადაკვეთაზეა და ხშირად საკმაოდ რთულდება რომელიმე მათგანისადმი კუთვნილების მკვეთრი განსაზღვრა. ამ მხრივ არც საბანკო სამართალია გამონაკლისი. შეუძლებელია თანამედროვე საბანკო სამართალზე საუბარი შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ინსტიტუტების განხილვის გარეშე.

## §2. საბანკო სამართლის სისტემა

იმის გამო, რომ საბანკო სამართალი ფაქტობრივად ორი დარგად იყოფა – საჯარო საბანკო სამართლად და კერძო საბანკო სამართლად, ერთიან, მწყობრ საბანკო სამართლის სისტემაზე საუბარი რთულია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართული საბანკო სამართლის სისტემა უფრო პირობით ხასიათს ატარებს, რადგან მასში გაერთიანებულია როგორც საჯარო, ისე კერძო საბანკო სამართლის დარგების ინსტიტუტები.

ჩემი აზრით, ქართული საბანკო სამართლის სისტემა პირობითად შეიძლება დაიყოს ზოგადი ნაწილისა და განსაკუთრებული ნაწილისაგან.

ისევე როგორც სხვა დარგებში, საბანკო სამართლის ზოგად ნაწილს წინ უსწრებს ზოგადი დებულებები, როგორცაა საბანკო სამართლის ცნება, სისტემა და წყაროები.

საბანკო სამართლის ზოგად ნაწილში განიხილება საჯარო საბანკო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და არასაბანკო საფინანსო დაწესებულებები.

კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის თავში განიხილება ეროვნული ბანკის ცნება, მისი მართვის ორგანოები, აგრეთვე ეროვნული ბანკის ფუნქციები. აღნიშნულ ინსტიტუტთან ერთად განიხილება მის სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციები.

კომერციული ბანკის, როგორც საბანკო სამართლის სუბიექტის თავში განიხილება კომერციული ბანკის ცნება, მისი ფუნქციები, კომერციული ბანკის დაფუძნებისა და ლიცენზირების წესები, აგრეთვე მართვის ორგანოები, კომერციული ბანკების ლიცენზიის შეჩერებისა და გაუქმების წესები და კომერციული ბანკების ლიკვიდაციის პროცედურები.

არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, როგორც საბანკო სამართლის სუბიექტების თავში განიხილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები. კერძოდ, აღნიშნული ორგანიზაციების ფუნქციები, მათი დაფუძნებისა და ლიცენზირების წესები, მართვის ორგანოთა ფორმირების წესები, აგრეთვე მიკროსაფინანსო

ორგანიზაციებისა და საკრედიტო კავშირებისთვის სანქციების დაკისრების, ლიცენზიების (ნებართვების) ჩამორთმევისა და ლიკვიდაციის წესები.

საბანკო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი მთლიანად ეთმობა კერძო საბანკო სამართალს, ანუ კონკრეტულ კერძო საბანკო-სახელშეკრულებო ურთიერთობებს. კერძოდ, მასში განიხილება ისეთი ხელშეკრულებები, როგორცაა ანგარიშსწორების, საბანკო კრედიტის, ანაბრის (დეპოზიტის), დოკუმენტური აკრედიტივის, დოკუმენტური ინკასოსა და საბანკო გარანტიის ხელშეკრულებები.

ანგარიშსწორების ხელშეკრულების თავში განიხილება ანგარიშსწორების ხელშეკრულების არსი, საერთაშორისო საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებით – IBAN-ით ანგარიშსწორების სამართლებრივი ასპექტები, აგრეთვე თანამედროვე ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებული ფორმით – პლასტიკური ანგარიშსწორების წესებისა და მათი სამართლებრივი რეგულირების საკითხები.

საბანკო კრედიტის თავში განიხილება საბანკო კრედიტის არსი, მისი განსხვავება სესხის ხელშეკრულებისაგან, აგრეთვე საბანკო კრედიტის ცალკეული სახეები – ბიზნეს კრედიტები, იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტები, აგრეთვე ოვერდრაფტის ხელშეკრულება და მისი არსი.

ანაბრის ხელშეკრულების თავში განიხილება ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების არსი, აგრეთვე ანაბრის ანგარიშის გახსნის წესები და ცალკეული ანაბრების სახეები და მათი სპეციფიკა.

დოკუმენტური აკრედიტივისა და დოკუმენტური ინკასოს ხელშეკრულებათა თავში განიხილება ანგარიშსწორების ისეთი სპეციფიკური ფორმები, როგორცაა დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებით საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების გამოყენება და აღნიშნულ ხელშეკრულებისას კომერციული ბანკების ფუნქციები, აგრეთვე დოკუმენტური ინკასოთი ანგარიშსწორება და მისი შედარება აკრედიტივით ანგარიშსწორებასთან.

დაბოლოს, საბანკო გარანტიის თავში განიხილება საბანკო გარანტიის ცნება და მისი აქცესორული ბუნება, საბანკო გარანტიის მხარეები, საბანკო გარანტიის ცალკეული სახეები, აგრეთვე

გარანტიის სამართლებრივი მდგომარეობა, მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მისი სამართლებრივი შედეგები, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადები და მისი შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები.

## თავი 2. საბანკო სამართლის წყაროები

მატერიალური სამართლის სხვა დარგების მსგავსად, საბანკო სამართლის წყაროში მოიაზრება ის ფორმები, რაშიც გამოხატულებას პოულობს საბანკო-სამართლებრივი ნორმები. იმის გამო, რომ საბანკო სამართალი ნაციონალური სამართლის დარგია, ყველა ქვეყანას თავისი ინდივიდუალური საბანკო სამართლის წყაროები გააჩნია.

მიუხედავად აღნიშნულისა, საბანკო სამართლის წყაროები შესაძლოა რამდენიმე ძირითად სახედ დაიყოს: ა) შიდასახელმწიფოებრივი საბანკო კანონმდებლობა; ბ) საბანკო-სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები) და შეთანხმებები; გ) საბანკო ურთიერთობის მარეგულირებელი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები; დ) სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ საბანკო სამართლის წყაროებზე მსჯელობისას, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიული აქტების როგორც სახეებს, ასევე მათ იერარქიას<sup>12</sup>. აღნიშნული საკითხი ქართულ საბანკო სამართლის წყაროებთან მიმართებაში ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება განხილული.

### §1. შიდასახელმწიფოებრივი საბანკო კანონმდებლობა

როგორც ცნობილია, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები სამართლის ძირითად წყაროდ პოზიტიურ სამართალს, ანუ დაწერილ კანონმდებლობას აღიარებენ. ეს მიდგომა იკვეთება საბანკო სამართალშიც. ამ მხრივ ერთმანეთისაგან არ განსხვავდება საჯარო და კერძო საბანკო სამართლის დარგებიც. უფრო მეტიც, საბანკო სამართლის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა გააჩნია არა მხოლოდ

---

<sup>12</sup> H. Schwintowski. Bankrecht, 3.Aufl., Köln, 2011, S. 6.

კონტინენტური ევროპის, არამედ საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებსაც. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საბანკო-სამართლებრივი ურთიერთობები იმდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოსთვის, რომ მხოლოდ სასამართლო პრეცედენტებისა და საბანკო წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ამარა მას ვერ დატოვებს. ამიტომ საერთო სამართლის სისტემის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, უხვადაა საკანონმდებლო ორგანოებისა თუ მარეგულირებელი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მიღებული საბანკო სამართლის მარეგულირებელი ნორმები.

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის სისტემის ქვეყნებს, აქ უფრო რთულადაა საქმე. იმის გამო, რომ აღნიშნული ქვეყნების დიდი ნაწილი ევროკავშირის წევრი ქვეყნებია და მათ ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი ევროპული ვალუტა – ევრო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მიღებულ კანონმდებლობას, არამედ ევროკავშირის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ დირექტივებსა (Richtlinien) და დადგენილებებს (Verordnungen). ამგვარი დირექტივები და დადგენილებები კი ევროკავშირში ძალიან ბევრია.

ამიტომ ევროკავშირის ქვეყნებს უწევთ არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი საბანკო კანონმდებლობის, არამედ ე.წ. „სუპრანაციონალური“ საბანკო სამართლის გამოყენება<sup>13</sup>. ეს ფაქტორი განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ ევროპაში, როცა ისეთი წევრი ქვეყნები, როგორცაა საბერძნეთი, ესპანეთი და იტალია, უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდიან და ევროკავშირიდან ელიან მათი საბანკო სისტემის გადარჩენისათვის აუცილებელი საკრედიტო ტრანშების გამოყოფას.

ამიტომაც კონტინენტური სამართლის სისტემის ის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან, საბანკო სამართლის წყაროდ მიიჩნევენ ევროკავშირის სუპრანაციონალურ სამართალს, მათი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ საბანკო სამართალს, აგრეთვე მარეგულირებელი ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს. ამგვარი მიდგომა მოქმედებს ევროკავშიროს წევრ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში.

---

<sup>13</sup> H. Schwintowski. Bankrecht, 3. Aufl., Köln, 2011, S.7.

რაც შეეხება საქართველოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საბანკო სამართალს დიდი ისტორია არ გააჩნია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ძალიან აქტიურად დაიწყო სხვადასხვა სახის საბანკო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შექმნა.

ქართულ საბანკო სამართლის წყაროებზე მსჯელობისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობის მიდგომას ნორმატიული აქტების იერარქიასა და მის სახეებთან მიმართებაში. კერძოდ, აღნიშნულ საკითხს დეტალურად განსაზღვრავს 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“<sup>14</sup>. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

კანონის მიხედვით, სამართლებრივი აქტი იყოფა ორ სახედ: ნორმატიულ აქტად და ინდივიდუალურ აქტად.

ნორმატიული აქტი გულისხმობს უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს<sup>15</sup>.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, იგი ერთჯერადი ხასიათისაა და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.

---

<sup>14</sup> აღნიშნულმა კანონმა ძალადაკარგულად ცნო მანამდე მოქმედი 1996 წლის 19 ნოემბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

<sup>15</sup> რაც შეეხება „კოდექს“, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი“.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია:

ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი;

გ) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონი არეგულირებს ნორმატიული აქტების იერარქიას, რაშიც იგულისხმება იერარქიის ზემოთ მდგომი ნორმატიული აქტის უპირატესობა იურიდიული ძალის მიხედვით ქვემდგომი ნორმატიული აქტის მიმართ.

კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიმართ მოქმედებს შემდეგი იერარქია:

ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;

დ) საქართველოს ორგანული კანონი;

ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

აღნიშნული იერარქიის შესაბამისად, ყოველი იერარქიულად ქვემოთ მდგომი ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზემოთ მდგომ ნორმატიულ აქტს. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

რაც შეეხება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. როგორც წესი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმდებარეობდეს (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი.

აღსანიშნავია, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების უფლებამოსილება, კანონით განსაზღვრულ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, საქართველოს ეროვნულ ბანკსაც გააჩნია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტი ძალაში შედის მასში მითითებული თარიღიდან“. ამასთან, კანონის 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ამგვარი აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ უნდა გადაეცეს და უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, საბანკო სამართლის ის წყაროები, რომელიც შიდასახელმწიფოებრივ მატერიალურ სამართალს მოიცავენ, იყოფა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებად და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. ამასთან, საკანონმდებლო ნორმატიული აქტები მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები – საქართველოს ეროვნული ბანკისა და მასში შემავალი ორგანოების (მაგ., ს.ს.ი.პ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური) უფლებამოსილი პირების მიერ.

საბანკო სამართლის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია, **1995 წლის 24 აგვისტოს** მიღებული ქვეყნის უმაღლესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია, რომელმაც 95-ე და 96-ე მუხლებში განსაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი და მისი მართვის ორ-

განოთა უფლებამოსილება. მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციაში რამდენჯერმე შეტანილი ცვლილებებისა, აღნიშნული მუხლები, მასში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ფაქტობრივად ინარჩუნებს ძველ რედაქციას.

ქართული საბანკო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა „**საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ**“ 2009 წლის 24 სექტემბრის ორგანული კანონი, რომელმაც განამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი და დეტალურად განსაზღვრა ის ფუნქციები, რაც აღნიშნულ ორგანოს ეკისრება ქართული საბანკო სექტორის რეგულირების საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი არ არის პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში, კერძოდ, 1991 წელს შეიქმნა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი“. იმდროინდელი საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკიც. სწორედ აღნიშნული ინფრასტრუქტურის ბაზაზე იქნა დაფუძნებული საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

1995 წლის 24 აგვისტოს, „საქართველოს კონსტიტუციის“ მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 23 ივნისს მიღებულ იქნა ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომელმაც მრავალი ცვლილება-დამატება განიცადა და საბოლოოდ აღნიშნული რედაქციით 2009 წლის 1 დეკემბრიდან ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბერს მიღებული ახალი ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.

დღეისათვის მოქმედ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონშიც რამდენიმე ცვლილება-დამატებაა შეტანილი და სწორედ მათი გათვალისწინებით მოქმედი კანონის რედაქცია უნდა იქნეს მიჩნეული ქართული საბანკო სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.

ქართული საბანკო სამართლის შემდეგ მნიშვნელოვან წყა-

როდ უნდა იქნეს მიჩნეული „**კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ**“ 1996 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონი. ამ კანონშიც, მიღების შემდეგ, მრავალი ცვლილება-დამატება იქნა შეტანილი. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში კომერციული ბანკების ფუნქციებსა და მათი საქმიანობის წესებს.

გარდა კომერციული ბანკებისა, საქართველოს საბანკო სამართლისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ისეთი ფინანსური ინსტიტუტები, როგორცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (მისო) და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსს და საქმიანობის წესებს არეგულირებს **2006 წლის 18 ივლისის კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“**. აღნიშნული კანონი დეტალურად განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციებს, მინიმალური კაპიტალის შევსებისა და მართვის ორგანოთა საქმიანობას.

რაც შეეხება საკრედიტო კავშირების სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ განსაზღვრავს „**არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ**“ 2002 წლის 4 ივლისის საქართველოს კანონი (ძალაშია 2002 წლის 1 ოქტომბრიდან).

მიუხედავად იმისა, რომ გარდა კომერციული ბანკებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საკრედიტო კავშირებისა, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას ექვემდებარება ისეთი ორგანიზებული წარმონაქმნები, როგორცაა სადაზღვევო ორგანიზაციები, გადამზღვეველი კომპანიები, არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლები, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, საფონდო ბირჟები, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, აქტივების მმართველი კომპანიები, ანგარიშვალდებული სანარმოები, საგადახდო სისტემის ოპერატორი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, აგრეთვე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, აღნიშნული ორგანიზაციების მარეგულირებელი ნორმები, ვფიქრობ რომ სცილდება საბანკო სამართლის რეგულირების ჩარჩოებს და შესაბამისად, მათი მარეგულირებელი

ნორმატიული აქტებიც არ უნდა ჩაითვალოს საბანკო სამართლის წყაროებად.

რაც შეეხება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკისა და მის შემადგენლობაში შემავალი ს.ს.ი.პ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ მიღებული სხვადასხვა ნორმატიული აქტი.

კომერციული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

1. 2001 წლის 10 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №95 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

1. 2002 წლის 16 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №234 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულება“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2. 2003 წლის 26 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №70 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ დებულება“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

3. 2003 წლის 11 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

4. 2006 წლის 23 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №144 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;

5. 2006 წლის 23 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №145 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

6. 2006 წლის 20 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №201 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

7. 2008 წლის 17 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულება“;

8. 2008 წლის 2 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №138 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

9. 2008 წლის 17 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №184 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქცია“;

10. 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს №12 დადგენილება „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემის შესახებ“;

11. 2008 წლის 29 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის NN№362 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საერთაშორისო ტრანსაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქცია“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

12. 2009 წლის 3 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №89/01 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების სესხების გაცემის შესახებ დებულება“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

13. 2009 წლის 25 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დამტკიცების წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

14. 2010 წლის 29 იანვრის საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის №7/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

15. 2010 წლის 22 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №24/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ფილიალის, განყოფილებისა (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის შექმნის წესი“;

16. 2010 წლის 19 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №115/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის აქტივების აუქციონზე რეალიზაციის წესი“;

17. 2010 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №134/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი“;

18. 2010 წლის 13 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №154/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ელექტრონული გადახდების მონაცემთა ბაზის გამოყენების წესი“;

19. 2011 წლის 11 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №10/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

20. 2011 წლის 13 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №35/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვეისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“ (ცვლილებებით და დამატებებით);

21. 2012 წლის 3 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №49/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება“.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკს მიღე-

ბული აქვს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

1. 2006 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №278 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმატის და მისი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ დანართები“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2. 2007 წლის 19 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №49 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქცია“;

3. 2012 წლის 7 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №25/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

4. 2012 წლის 7 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №33/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები“ (ცვლილებებითა და დამატებებით).

არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების საქმიანობასთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკს მიღებული აქვს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

1. 2002 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №257 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2. 2002 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის №329 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქცია“;

3. 2002 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბან-

კის პრეზიდენტის №266 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გარდა ეროვნული ბანკისა, საბანკო-სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს ს.ს.ი.პ. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი. აღნიშნული სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული აქტები ძირითადად შეეხება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთასთან (ე.წ. „ფულის გათეთრებასთან“) და/ან ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებასთან.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული აქტებიდან აღსანიშნავია:

1. 2012 წლის 18 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №4 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“;

2. 2012 წლის 18 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №2 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“;

3. 2012 წლის 24 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №7 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“.

## §2. საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები) და შეთანხმებები

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს მნიშვნელოვანი როლი უკავია საბანკო სამართალში. მას, პირველ ყოვლისა, განაპირობებს თავად საბანკო სამართლის სპეციფიკური ხასიათი. დღეისათვის საბანკო-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოუდგენელია მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში მოქმედებდეს. ყოველდღიურად მილიონობით სხვადასხვა სახის საბანკო ოპერაცია ხორციელდება უამრავ ქვეყანაში.

საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონითა და 1997 წლის 16 ოქტომბრის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილში პირდაპირაა მითითებული, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესი იურიდიული ძალის მინიჭება შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ თანამედროვე ევროპული სამართლის ერთ-ერთი მონაპოვარია. მსგავს დათქმას ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა

შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. იმავე დებულებას ითვალისწინებს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებად მიიჩნევს „საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა“.

ისევე როგორც სამართლის სხვა დარგები, საბანკო სამართალიც საერთაშორისო ხელშეკრულებებს (კონვენციებს) ორ ძირითად ჯგუფად ყოფს: მრავალმხრივ (Multilaterale Abkommen) და ორმხრივ (Bilaterale Abkommen) საერთაშორისო ხელშეკრულებებად<sup>16</sup>. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავის მხრივ შეიძლება დაიყოს უნივერსალური და რეგიონალური ტიპის ხელშეკრულებებად. უნივერსალურია ისეთი მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც ხელშემკვერელი წევრი სახელმწიფოები არ არიან გაერთიანებული რაიმე რეგიონალური ნიშნით (მაგალითად, გაეროს კონვენცია „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“) და მასში სახელმწიფოთა უფრო ფართო სპექტრი მონაწილეობს. რეგიონალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას კი საფუძვლად უდევს მისი ხელშემკვერელ წევრ სახელმწიფოთა რეგიონალური ნიშნით გაერთიანება. ამის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს), შავი ზღვის აუზის ქვეყნების და სხვა მსგავსი გაერთიანებების მიერ რეგიონალურ დონეზე მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები (მაგალითად, დსთ-ს მოსკოვის 1999 წლის 2 აპრილის შეთანხმება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“).

რაც შეეხება ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და

---

<sup>16</sup> H. Schwintowski. Bankrecht, 3.Aufl., Köln, 2011, S. 7.

შეთანხმებებს, ისინი ფორმდება და შესაბამისად, შესასრულებლად სავალდებულოა ორ სახელმწიფოს შორის და მათში მითითებული დათქმები და შეღავათები არ მოქმედებს მესამე სახელმწიფოს მიმართ.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ საერთაშორისო ხელშეკრულებათა არსში, საჭიროა ისინი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

## **1. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები (Multilaterale Abkommen)**

საბანკო სამართალში, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორი ტიპის მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. პირველი ტიპი ამგვარი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა უშუალოდ შეიცავს სპეციალურ ნორმებს საბანკო-სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ (მაგალითად, საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, საერთაშორისო ანგარიშსწორებათა სფეროში თანამშრომლობის შესახებ). რაც შეეხება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მეორე ტიპს, ისინი, მართალია, არ არიან საბანკო-სამართლებრივი ნორმების შემცველი, მაგრამ მათი ნორმები უშუალოდ უკავშირდება საბანკო სამართალს და მათ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ. ამის ნათელი მაგალითია ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის „კონვენცია, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას“<sup>17</sup>. აღნიშნული კონვენცია უუქმებს ჰააგის კონვენციას მიერთებული ქვეყნების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას სხვა წევრი სახელმწიფოს მხრიდან. კონვენციის მიხედვით, დოკუმენტის ლეგალიზაციის ნაცვლად გამოიყენება დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება, რომელიც უფრო გამარტივებულ პროცედურას შეიცავს და დროშიც უფრო სწრაფად შესრულებადია. ამასთან, აღნიშნული კონვენცია პირდაპირ შეიცავს ნიმუშს, თუ როგორი ფორმით უნდა იყოს დასმული აპოსტილი შესაბამის დოკუმენტაციაზე. კონვენციის წევრი

---

<sup>17</sup> აღნიშნულ კონვენციას საქართველო შეუერთდა 2006 წლის 11 აპრილს პარლამენტის №2844-ის დადგენილებით.

სახელმწიფოები კი ვალდებული არიან შესაბამის საერთაშორისო ორგანოს ჰააგაში წარუდგინოს ის სახელმწიფო ორგანოები და უფლებამოსილი პირები, ვისაც აქვთ უფლება გასცენ აპოსტილით დამონმებული დოკუმენტები.

აღნიშნული თემატიკის მხრივ მეორე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია დსთ-ს ფარგლებში 1993 წლის 22 ივნისს მინსკში მიღებული კონვენცია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“. ეს უკანასკნელი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ათავისუფლებს ერთ წევრ სახელმწიფო ორგანოს მიერ დამონმებული დოკუმენტაციის მეორე სახელმწიფოს მიერ ლეგალიზაციის ან აპოსტილის მოთხოვნისაგან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საბანკო სამართლისთვის, ვინაიდან ქართული საბანკო კანონმდებლობის მიხედვით, არარეზიდენტი კლიენტების (ფიზიკური ან იურიდიული პირების) მიერ ბანკში წარსადგენი დოკუმენტაციის დიდი ნაწილი სწორედ ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამონმებას ექვემდებარება. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მინსკის კონვენცია ჰააგის კონვენციისგან განსხვავებით, საერთოდ არ მოითხოვს დოკუმენტის არც ლეგალიზებას და არც აპოსტილით დამონმებას.

თანამედროვე საბანკო სამართალში საბანკო-სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზებისაკენ ძირითადად ესწრაფვიან როგორც განვითარებული სახელმწიფოები, ისე სუპრანაციონალური საერთაშორისო ორგანიზაციები.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1966 წელს უნგრეთის ინიციატივით გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ სკს-ს შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით შეიქმნა „გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია“ – „იუნსიტრალი“ (Commission of the United Nations for International Trade Law – UNCITRAL). 1966 წლის 17 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ კომისიის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს „საერთაშორისო ვაჭრობის წესების პროგრესულ თანხმობასა და უნიფიკაციას“. კომისიას ძირითადად ევალება საერთაშორისო კონვენციებისა და მოდელური კოდექსების მომზადება. კომისიის მიერ თავისი არსებობის პერიოდში

შემუშავებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კონვენციები, როგორიცაა „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“, „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობაში ხანდაზმულობის ვადების შესახებ“, „ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ“, აგრეთვე „იუნსიტრალის საარბიტრაჟო რეგლამენტი“ და „იუნსიტრალის გამოსაყენებელი რეგლამენტი“. რაც შეეხება საბანკო სამართლის სფეროს, მიერ იქნა შემუშავებული და გაეროს მიერ მიღებული კონვენცია „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“, აგრეთვე 1988 წლის კონვენცია „მარტივი და გადასაპირებელი საერთაშორისო თამასუქების“ შესახებ. აღნიშნული კონვენციები ძალიან დიდ როლს ასრულებენ თანამედროვე საბანკო სამართალში.

კონვენციების შემუშავების გარდა, „იუნსიტრალის“ მიერ საბანკო სამართლის სფეროში შემუშავებულ იქნა და გაეროს წარედგინა საბანკო სამართლის სფეროში ათობით რეკომენდაცია საბანკო გადარიცხვების, საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციების, საბანკო გარანტიების, დოკუმენტური აკრედიტივისა და დოკუმენტური ინკასოს წესების გამარტივების, განვითარებადი ქვეყნებისთვის საბანკო კრედიტის გამოყოფის წესების გამარტივების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გარდა იუნსიტრალისა, საბანკო სამართლის ნორმათა უნიფიკაციასა და ჰარმონიზებაში დიდი როლი მიუძღვის „საერთაშორისო სავაჭრო პალატასაც“ (International Chamber of Commerce – ICC). მის მიერ საბანკო სამართლის სფეროში მიღებულ იქნა ისეთი რეკომენდაციები და უნიფიცირებული წესები, როგორიცაა, მაგალითად, „უნიფიცირებული წესები საბანკო გარანტიების შესახებ (URCG)“ (1978 წლის პუბლიკაცია N325), აგრეთვე „უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიების შესახებ“ (1992 წლის პუბლიკაცია №458) და ა.შ.

## **2. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები (Bilaterale Abkommen)**

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საბანკო სამართლის ერთ-ერთ წყაროს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოად-

გენს. აღნიშნული ხელშეკრულებები იდება ორ სახელმწიფოს შორის კონკრეტულ სფეროებში, ძირითადად, ერთმანეთისათვის შეღავათების მინიჭების მიზნით.

საბანკო სამართლის წყაროს როლში ძირითადად გვევლინება იმგვარი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც შეეხება ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას (მაგალითად, უცხოური ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობის შესახებ, სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის სფეროში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ და სხვა).

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან საქართველო აქტიურად თანამშრომლობს როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ისე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, აშშ-სთან, დსთ-ს ქვეყნებთან (მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აღარ არის დსთ-ს წევრი ქვეყანა) და ა.შ. საბანკო სფეროში ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 1998 წლის 22 სექტემბრის შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ყაზახეთის ეროვნულ ბანკს შორის „საფინანსო-საბანკო სისტემაში ინფორმაციის გაცვლისა და კვლევის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცალკე საბანკო სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებული ძალიან ცოტა აქვს. ძირითადად, საქართველოს მიერ ორმხრივი ხელშეკრულებები ფორმდება სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ფინანსურ ორგანიზაციასთან ან საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან საკრედიტო ტრანშების გამოყოფის თაობაზე.

### **§3. საბანკო წეს-ჩვეულებები და ტრადიციები**

თანამედროვე საბანკო სამართლის დოქტრინაში არ არის ერთიანი მიდგომა იმის შესახებ, უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები საბანკო სამართლის წყაროდ.

როგორც ცნობილია, დოქტრინასა და პრაქტიკაში განასხვავებენ ორი სახის წეს-ჩვეულებასა და ტრადიციას: ჩვეულებები,

რომლებიც მიეკუთვნება საჯარო საბანკო სამართლს და ჩვეულებები, რომლებიც მიეკუთვნება კერძო საბანკო სამართალს. შესაბამისად, ქართული საბანკო სამართლისთვის ორივე სახის საბანკო წეს-ჩვეულებები და ტრადიციები საბანკო სამართლის წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

საბანკო წეს-ჩვეულებების დამკვიდრებაში დიდი როლი ენიჭებათ თავად საბანკო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს, მათ მრავალსაუკუნოვან საბანკო ურთიერთობისას დაგროვილ გამოცდილებასა და ჩამოყალიბებულ ტრადიციებს.

აღსანიშნავია, რომ საბანკო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგი, სწორედ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სავაჭრო გამოცდილებითა და წეს-ჩვეულებებით ჩამოყალიბდა. იმის გამო, რომ სავაჭრო ურთიერთობებში ჩართულ ვაჭრებსა და ვაჭართა გაერთიანებებს მუდმივად ესაჭიროებოდათ თავისუფალი ფულადი სახსრები, იმდროინდელი გაგებით, „სავაჭრო ოპერაციების დასაფინანსებლად“, ამიტომაც მდიდარი ადამიანებისგან (მაღალი წოდების მქონე მემკვიდრეობით მდიდარი ფეოდალებისგან ან თავად მათი კოლეგა ვაჭრებისგან (სოვდაგრებისგან), აგრეთვე ცალკეული მევახშეებისგან) სესხულობდნენ გარკვეულ ფულს, ხოლო შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ უბრუნებდნენ მათ სესხს წინასწარ განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დამატებით. სწორედ ეს ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულება დაედო საფუძვლად საბანკო სამართლის ერთ-ერთ ძირითად ხელშეკრულების სახეს – საბანკო კრედიტს.

აღნიშნულს მოგვიანებით დაემატა კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც ჯერ ძველს საბერძნეთში, შემდეგ ძველ რომში, მოგვიანებით კი იტალიაში იყო განვითარებული. კერძოდ, იტალიაში, ქუჩებში, მოწყობილი იყო სპეციალური ადგილები, სადაც პირებს მაგიდებზე განთავსებული ქონდათ სხვადასხვა ქვეყნის მონეტები და საჭიროების შემთხვევაში კლიენტებს უხურდავებდნენ წინასწარ დადგენილი ან შეთანხმებული გაცვლის კურსის მიხედვით, ხოლო კურსებს შორის სხვაობა წარმოადგენდა ამ პირების მოგებას. აღნიშნულ მაგიდებს იტალიელები „Banca“-ს უწოდებდნენ და სწორედ აღნიშნულმა ტრადიციამ დაუდო საფუძველი საკრედიტო ორგანიზაციებისთვის „ბანკის“ დარქმევას, აგრეთვე სხვადასხვა

ქვეყნის ვალუტების გაცვლის ოპერაციების საბანკო სექტორში გადატანას.

#### §4. სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა

კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები სასამართლოსა და კერძო არბიტრაჟის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს საბანკო სამართლის წყაროდ არ მიიჩნევენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, განუწყვეტლივ იზრდება ე.წ. „სამოსამართლო სამართლის“ (Richterrecht)<sup>18</sup> როლი ევროპის ქვეყნების საბანკო სამართალში.

როგორც ცნობილია, პრეცედენტები სამართლის ძირითად წყაროდ საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში მიიჩნევა (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდოეთი, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, კანადის ზოგიერთი პროვინცია და ა.შ.), მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროპის ზოგიერთი კონტინენტური სამართლის ქვეყანა გამონაკლის შემთხვევებში ითვალისწინებს სასამართლო პრეცედენტების გამოყენებასაც. ასე, მაგალითად, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი ან ჩვეულება, მოსამართლემ საქმე უნდა გადაწყვიტოს ისე, როგორც კანონმდებელი გადაწყვეტდა აღნიშნულ ურთიერთობას, ტრადიციებსა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით“<sup>19</sup>.

აღნიშნული მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები თამაშობს დამატებით, პოზიტიური სამართლის შემავსებელ როლს. ამიტომაც, შესაძლებელია დავასკვნათ,

---

<sup>18</sup> სამოსამართლო სამართლის შესახებ იხ.: H. Wilhelm Kruse. Das Richterrecht als Rechtsquelle des innerstaatlichen Rechts, Tübingen, 1971.

<sup>19</sup> Basler Kommentar zum Schweizerischen Privatrecht, Zivilgesetzbuch I, 2. Aufl., (Hrsg. H. Honssel, N.P. Vogt, T. Geiser), Helbing&Lichtenhahn, Basel, Genf, München, 2002, S.1.

რომ არა მარტო საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში, არამედ კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებშიც შესაძლებელია, რომ საბანკო სამართლის წყაროდ სასამართლო პრაქტიკა იქცეს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს „სამართლის წყაროს ფორმალურ როლში გვევლინება არა სასამართლო პრაქტიკა, არამედ სასამართლო პრეცედენტი“ .

თავად საბანკო სამართალი მის სისტემაში არსებულ ბევრი ინსტიტუტის არსებობას სწორედ სასამართლო პრაქტიკას უნდა უმადლოდეს. სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგად იქნა მიღებული კერძო საბანკო სამართლის ისეთი ინსტიტუტების დამცავი მექანიზმები, როგორცაა, მაგალითად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მსესხებელთა ინტერესების დამცავი ნორმები საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან მიმართებაში<sup>20</sup>, საბანკო გარანტიისას ბენეფიციარის დაცვის გარანტიები, აკრედიტივისა და ინკასოს გამოყენებისას კომერციული ბანკის ვალდებულებათა ფარგლები<sup>21</sup> და მრავალი სხვა.

ამიტომაც ნათელია, რომ ქართული საბანკო სამართლის შემდგომ განვითარებაში სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკას, როგორც საბანკო სამართლის წყაროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

---

<sup>20</sup> Andreas Früh, Mühler-Arends. *Bankrecht und Bankpraxis*, 3. Teil, Kreditformen, Band 1, Stand September 2007, S. 89.

<sup>21</sup> Dorotee Einsele. *Bank- und Kapitalmarktrecht, Nationale und Internationale Bankgeschäfte*, 2. Aufl., Tübingen, 2010, S.125.

## ნაწილი 2. საბანკო სამართლის ზოგადი ნაწილი

### თავი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი

#### §1. საქართველოს ეროვნული ბანკის ცნება და მისი მმართველობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო სამართალში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეროვნულ ბანკებს (ფედერალური სარეზერვო სისტემა, ბუნდესბანკი, ნაციონალური ბანკი და ა.შ.) უკავია<sup>22</sup>. ისინი ხშირად არაერთი ფუნქციით არიან დატვირთულნი და ფაქტობრივად ქვეყანაში საბანკო პოლიტიკის წარმმართველ ძირითად ორგანოებს წარმოადგენენ.

საქართველოს ცენტრალურ ბანკს საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ბოლო საუკუნეებში, ანუ იმ პერიოდებში, როდესაც ევროპაში პირველი ბანკები შეიქმნა, საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ და ტერიტორიულ პრობლემებს განიცდიდა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნისთანავე, აუცილებელი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ცენტრალური ბანკის შექმნა, რაც მოხერხდა კიდევ 1919 წელს.

აღნიშნულ პერიოდამდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი რგოლი – საქართველოს ცენტრალური ბანკი. ამ პერიოდში მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის ფილიალი, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან აღარ ჰქონდა არანაირი ურთიერთობა საიმპერიო ბანკთან. ამ პერიოდში, რასაკვირველია, არსებობდა პრობლემები. მათ შორის დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა, რომელიც თავის თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევისა და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას.

---

<sup>22</sup> Bankrecht. Währung, Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit, AGR, 40. Aufl., 2012, S. 5.

პირველი კანონპროექტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1918 წლის მიწურულს წარედგინა რესპუბლიკის მთავრობას, თუმცა მისი დამტკიცება 1919 წლის ბოლომდე გადაიდო. სწორედ 1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც საფუძველი ჩაეყარა საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს ჩამოყალიბებას.

1920 წლის ივლისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველოს რესპუბლიკის პირველ სახელმწიფო ბანკს ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე იასონ ლორთქიფანიძე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იასონ ლორთქიფანიძე იმდენად დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა, რომ ჯერ 1920 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, მის საქართველოს პირველი სახელმწიფო ბანკის მართველად დანიშვნაზე, როგორც ეროვნულ-დემოკრატიკ, მხარი დაუჭირა მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. უფრო მეტიც, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, 1921 წელს საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს სსრ სახელმწიფოდ გადაკეთების შემდეგ, ბანკის მმართველის თანამდებობაზე 1923 წლამდე ისევ იასონ ლორთქიფანიძე დატოვეს, თუმცა მოგვიანებით ჯერ მოადგილედ დააქვეითეს, ხოლო შემდგომ, 1924 წელს მისგანვე ორგანიზებული სამრეწველო ბანკის უფროსად გადაიყვანეს. სამ წელიწადში ამ თანამდებობიდანაც გაანთავისუფლეს და 1927 წლიდან 1934 წლამდე არა მარტო საფინანსო საქმიანობა, არამედ სამსახურიც აუკრძალეს. მოგვიანებით ხელისუფლებამ სამოცდაათ წელს მიტანებულ იასონ ლორთქიფანიძეს ბოლოს და ბოლოს ნდობა გამოუცხადა – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მიიღეს და ძველი არქივების მონესრიგება-აღწერის საქმე დაავალეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მისი ეპისტოლარული დანატოვარი მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა იმდროინდელი საბანკო საკითხების შესახებ. იასონ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1949 წელს<sup>23</sup>.

---

<sup>23</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ინტერნეტ საიტი: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა სახელმწიფო ბანკმა სულ ორიოდე წელი იარსება, იმდროინდელი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა. აღნიშნულ პერიოდში ბანკის თაოსნობით განხორციელდა ფულის რეფორმა, შეიქმნა უცხოური სავალუტო რეზერვები და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა.

სამწუხაროდ, საქართველოში 1921 წელს საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა<sup>24</sup>.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დღის წესრიგში დადგა ეროვნული ბანკის დაფუძნების საკითხიც. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში, კერძოდ, 1991 წელს შეიქმნა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი“. იმდროინდელი საქართველოს უზენაესი საბჭოს, გადანყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკიც. სწორედ აღნიშნული ინფრასტრუქტურის ბაზაზე იქნა დაფუძნებული საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ამ პერიოდსაც საკმაოდ დიდი პრობლემები ახლდა თან. კერძოდ, არ იყო გამოკვეთილი ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, არ იყო ჩამოყალიბებული ბანკის ფუნქციები, რაც აფერხებდა საბანკო საქმიანობის განხორციელებას ქვეყანაში. ასევე, ჩამოყალიბდა სამიარუსიანი საბანკო სისტემა, რის ფონზეც უკონტროლო ხდებოდა საბანკო და საკრედიტო დაწესებულებები. ამ პრობლემების კვალდაკვალ, 1994 წელს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებით – „საქართველოში საბანკო სისტემის სრულყოფის

---

<sup>24</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. ინტერნეტ საიტი: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

შესახებ“ დასრულდა ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამავე წელს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალური დადგენილებით დაუწესდათ ახალი საწესდებო ფონდის ნორმატივები.

მიუხედავად ბევრი პრობლემისა და რამდენიმეწლიანი გარდამავალი პერიოდისა, რასაც თან ახლდა რუსული რუბლიდან ჯერ აშშ დოლარზე, ხოლო შემდგომ საქართველოს დროებით ვალუტაზე – „კუპონზე“ დაბოლოს, 1995 წლიდან ქართულ ეროვნულ ვალუტაზე – „ლარზე“ გადასვლის მტკივნეული პროცესი, საქართველოს მაინც მოახერხა შეენარჩუნებინა საქართველოს ეროვნული ბანკის თვითმყოფადობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განმტკიცდა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, რომლის 95-ე მუხლით განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი და მისი ძირითადი ფუნქციები. კერძოდ, კონსტიტუციის 95-ე მუხლის მიხედვით: „1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი; 2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად; 3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი; 4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლებამოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით“.

2010 წლის 15 ოქტომბრის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით ცვლილება იქნა შეტანილი კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში. კერძოდ, 95-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას“. რაც შეეხება კონსტიტუციის 95-ე მუხლის მეორე პუნქტს, ის მთლიანად იქნა ამოღებული ქვეყნის ძირითადი კანონიდან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 23 ივნისს მიღებულ იქნა ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომელმაც მრავალი ცვლილება-დამატება განიცადა და საბოლოოდ აღნიშნული რედაქციით 2009 წლის 1 დეკემბრიდან ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბერს მიღებული ახალი ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 2009 წლის 24 სექტემბრის ორგანული კანონის პირველი მუხლის მიხედვით, „საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები“.

ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი და მისი ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები ქვემოთ ცალკე იქნება განხილული და ამიტომ აქ აღარ შევჩერდები.

ეროვნული ბანკის უმაღლეს მმართველობით ორგანოს ეროვნული ბანკის საბჭო წარმოადგენს. მისი დაკომპლექტების წესი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 96-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, „1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბან-

კის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად. 2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი<sup>25</sup>. 3. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს<sup>26</sup>.”

2010 წლის 24 სექტემბრის ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ უფრო აკონკრეტებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს ფორმირების წესსა და საბჭოს წევრთათვის წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, „ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც შედგება 7 წევრისაგან. თუ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 4-ზე ნაკლებია, ეროვნული ბანკის საბჭო არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს თავისი ფუნქციები. ამ შემთხვევაში ვაკანსია უნდა შეივსოს ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროფესიონალები ეკონომიკის, ფინანსების ან სხვა შესაბამის დარგში და გამორჩეული პატიოსნებით. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში სხვა შესაბამისი დარგის (გარდა ეკონომიკისა და ფინანსებისა) პროფესიონალთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს<sup>27</sup>.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი ცდილობს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ძირითადად დააკომპლექტოს ეკონომიკის, ფინანსებისა და სა-

---

<sup>25</sup> კონსტიტუციის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

<sup>26</sup> კონსტიტუციის 96-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

<sup>27</sup> „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდა 2012 წლის 10 აპრილიდან.

ბანკო საქმის სფეროში მოღვაწე პროფესიონალი კადრებისაგან. ამასთან, გამონაკლისის სახით შესაძლებელია საბჭოში სხვა პროფესიის პირთა არჩევაც, მაგრამ ისინი ორს არ უნდა აღემატებოდნენ, რათა არ შეეძლოთ გადაწყვეტილებებში დომინირებული მდგომარეობის მოპოვება.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი 7 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთან, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის<sup>28</sup> შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

ორგანული კანონის მიხედვით, დასაშვებია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ხელახლა არჩევა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მაგივრად აირჩევა ახალი წევრი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის უფლებამოსილების სრული ვადით.

ეროვნული ბანკის საბჭოს ხელმძღვანელობს (თავმჯდომარეობს) ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომელიც, ორგანული კანონის მე-15 მუხლის მიხედვით:

- ა) ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის საქმიანობას;
- ბ) წარმოადგენს ეროვნულ ბანკს მესამე პირებთან;
- გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს;
- დ) ანაწილებს ფუნქციებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს შორის, აგრეთვე ეროვნული ბანკის მოხელეებს შორის;
- ე) უფლებამოსილია დაესწროს საქართველოს მთავრობის სხდომას ხმის უფლების გარეშე;

---

<sup>28</sup> საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „1. კონსტიტუციის დარღვევისას ან/და დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს“ (აღნიშნული რედაქცია ამოქმედდა 2012 წლის 1 ივლისიდან).

ვ) განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საშტატო ნუსხას და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, ასევე ყველა სახის დამატებითი სარგებლის ოდენობას;

ვ<sup>1</sup>) განსაზღვრავს ეროვნულ ბანკში საქმისწარმოების ერთიან წესს; (1.07.2011 № 5001)

ზ) გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

თ) ქმნის სათათბირო და საკონსულტაციო ორგანოებს (კომიტეტი, კომისია);

ი) ასრულებს ამ ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

ეროვნული ბანკის საბჭოში, გარდა პრეზიდენტისა, შედიან ორი ვიცე-პრეზიდენტი და სხვა წევრები. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ორგანული კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თანამდებობიდან გათავისუფლდება, თუ:

ა) იგი აღარ არის ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი;

ბ) მან დაკარგა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავების უფლება ამ ორგანული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად;

გ) იგი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის გამო;

დ) იგი გარდაიცვალა.

ანალოგიური წესია დადგენილი ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

ამასთან, ორგანული კანონი ცალკე ადგენს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ნებაყოფლობითი გადადგომის წესსა და პროცედურას. ორგანული კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი შეიძლება გადადგეს თანამდებობიდან, თუ ამის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს საქართ-

ველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გადადგომამდე არა უგვიანეს 2 თვისა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი თანამდებობიდან გადამდგარად ითვლება განცხადებაში მითითებული თარიღიდან.

ორგანული კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, არ არის საჯარო მოსამსახურე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრზე, გარდა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვები.

განსაკუთრებით საინტერესოა ორგანული კანონის მე-13 მუხლი, რომელიც ადგენს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს და აწესებს წევრთა მიმართ გარკვეულ შეზღუდვებს. კერძოდ, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, იმავდროულად არ შეიძლება იყოს: საჯარო მოსამსახურე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი, საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომელი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები არიან საჯარო მოსამსახურეები. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრსა და მისი ოჯახის წევრებს არა აქვთ უფლება, იყვნენ საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის პარტნიორები.

ორგანული კანონის მე-14 მუხლი ცალკე განსაზღვრავს იმ შეზღუდვებს, რაც უწესდებათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს, როგორც ყოფილ საჯარო მოხელეებს, საფინანსო სექტორში მუშაობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის ვადის ამოწურვის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობისგან გათავისუფლების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს ნ თვის განმავლობაში ეკრძალებათ საქართველოს საფინანსო სექტორში მუშაობა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის ვადის ამოწურვის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობისგან გათავისუფლების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-

პრეზიდენტებს 6 თვის განმავლობაში უნარჩუნდებათ არსებული თანამდებობრივი სარგოები.

გარდა ამგვარი ტიპის შეზღუდვისა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და საბჭოს სხვა წევრების მიმართ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების მიმართ ორგანული კანონის მე-20 მუხლით დადგენილი შეზღუდვებიც. კერძოდ, საბჭოს წევრებს, ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლების მსგავსად, ეკრძალებათ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან არაუფლებამოსილი პირის დაშვება, აგრეთვე უფლება – გათქვან ან გაავრცელონ ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენონ პირადი სარგებლობისათვის.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს არა აქვთ უფლება იყვნენ საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომლები, წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი ვალდებულია ეროვნულ ბანკს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად აცნობოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიმართ მისი ან მისი ოჯახის წევრის, როგორც ფიზიკური პირის, სასესხო ან სხვა მატერიალური ვალდებულება, რომელიც ჯამში აღემატება (აჭარბებს) 10,000 ლარს.

აღნიშნული ვალდებულების გათვალისწინებით ორგანული კანონი განსაზღვრავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს შეიძლება დაუწესდეთ დამატებითი სარგოები, რომელიც არ უნდა იყოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა საშუალო ხელფასზე ნაკლები. ამასთან, დამატებითი სარგოების ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

გარდა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა ფორმირების წესებისა, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საბჭოს უფლებამოსილებათა ფარგლებსა და მათ კომპეტენციას. კერძოდ, კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს საერთაშორისო რეზერვების მართვისა და განკარგვის ძირითადი პრინციპები;

ბ) დაადგინოს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი;

გ) დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტი;

დ) შექმნას სპეციალური დანიშნულების რეზერვები;

ე) განიხილოს, დაამტკიცოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ეროვნული ბანკის წლიური საქმიანობის ანგარიში და საფინანსო ანგარიშგებანი;

ვ) გამოსცეს სამართლებრივი აქტები;

ზ) განსაზღვროს საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებები;

თ) დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და დებულება;

ი) შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო პერიოდულად (კვარტალში ერთხელ მაინც) მართავს საბჭოს სხდომებს, რომელსაც ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკი პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი (ძირითადად ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი). ეროვნული ბანკის პრეზიდენტივე იწვევს საბჭოს სხდომებს (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მოვალეობის შემსრულებელი). სხვა შემთხვევაში სხდომის მოწვევა დაიშვება ეროვნული ბანკის საბჭოს ორი წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

ეროვნული ბანკის საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, რომელთაგან ერთი უნდა იყოს თვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმის უფლება აქვს მხოლოდ სხდომის მონაწილე წევრს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.

ორგანული კანონის მიხედვით, სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებითაც. ამასთან, საბჭოზე შესაძლებელია მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სხდომის დახურულად გამოცხადების შესახებ გარკვეული სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან მიმართებაში.

## **§ 2. საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციები**

საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანა და ფუნქციები განმარტებულია საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში.

საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი“.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს ბანკის ფუნქციებს და განმარტავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები.

ეროვნული ბანკი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, რასაც პირდაპირ განმარტავს საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი პუნქტი. საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა ფასების

სტაბილურობის, აგრეთვე საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ეროვნული ბანკის პირდაპირი ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;

გ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;

დ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;

ე) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;

ვ) ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას<sup>29</sup>;

ზ) განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;

თ) საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;

ი) ამ ორგანული კანონის შესაბამისად განახორციელოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით;

კ) შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

---

<sup>29</sup> „ვ“ ქვეპუნქტის აღნიშნული რედაქცია ამოქმედდა 2012 წლის 1 ივლისიდან.

როგორც ჩამოთვლილი ფუნქციები ცხადყოფს, საქართველოს ეროვნულ ბანკს საკმაოდ ბევრი ფუნქციები გააჩნია. აღნიშნულთაგან საბანკო სამართლისთვის მნიშვნელოვანია ორი მთავარი ფუნქცია: ა) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა და ბ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;

აღნიშნული ფუნქციების უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკში შექმნილია საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი.

საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტი იქმნება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით და მის შემადგენლობაში შედიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, შესაბამისი ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები და მონვეული პირებიც.

საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რისთვისაც ის, ორგანული კანონის შესაბამისად, უფლებამოსილია:

ა) განიხილოს და შეიმუშაოს საფინანსო ზედამხედველობის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

ბ) განიხილოს საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა შენიშვნები ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიენოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, რის შემდეგაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემაც.

საფინანსო ზედამხედველობის კომიტეტის მსგავსად არის ფორმირებული მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი, რომლის ფუნქციაა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შე-

მუშავება და განხორციელება. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა;

ბ) განსაზღვროს ღია ბაზრის და სხვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესები;

გ) დაადგინოს საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა ფულად-საკრედიტო ოპერაციებზე, გარდა ბოლო ინსტანციის სესხისა;

დ) განსაზღვროს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმები;

ე) შეასრულოს მონეტარულ და სავალუტო პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები.

აღნიშნული კომიტეტის გადანყვეტილებებსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და ეროვნული ბანკი პრეზიდენტისთვის გადაცემის შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მისი სამართლებრივ აქტად გამოცემა.

როგორც აღინიშნა, ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, პოტენციური რისკების შემცირებას. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, გადამზღვეველი კომპანიების, არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული სანარ-

მოების, საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას ამ ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგულირება მათი რეგისტრაციის, შემოწმებისა და მათ მიმართ მინიმალური მოთხოვნების დადგენის გზით.

აღნიშნული ფუნქციების განხორციელებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და დაანესოს შესაბამისი სანქციები, აგრეთვე ის უფლებამოსილია ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტებისაგან, აგრეთვე ე.წ. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისაგან<sup>30</sup>

---

<sup>30</sup> აღნიშნული ინსტიტუტი ახალია ქართული საბანკო სამართლისათვის. კვალიფიციური ფინანსური ინსტიტუტის განმარტება მოცემულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 481-ე მუხლში, რომელიც 2012 წლის 25 მაისიდან ამოქმედდა. აღნიშნული მუხლი შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

მუხლი 48<sup>1</sup>. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება

1. იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა), რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისაგან ან რომლის მიერ ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა აღემატება ხუთ მილიონ ლარს, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისათვის დადგენილი მოთხოვნები.

2. იურიდიული პირი, რომლის მიერ მოზიდული სახსრების ოდენობა არ აღემატება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას ან რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე ნაკლები ფიზიკური პირისაგან, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, თუ მისი საქმიანობა, მოზიდული სახსრების რაოდენობა, საქმიანობის რეგიონი ან სეგმენტი ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეულია საფინანსო სექტორისათვის მნიშვნელოვნად ან თუ მისი საქმიანობა და კლიენტთა მოზიდვის მეთოდები მეტყველებს იმ წრის მნიშვნელოვნად

მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტსა და ეროვნულ ბანკს შორის მიმონერა შეიძლება განხორციელდეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომლებსაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტისაგან მიიღოს თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გამოგზავნილი ან/და ციფრული საშუალებით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტი. ციფრული ხელმოწერის გამოყენების საკითხი რეგულირდება ეროვნულ ბანკსა და ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტისათვის მატერიალ-

---

გაფართოების გეგმაზე, რომლიდანაც ხდება სახსრების მოზიდვა.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება, რაც მოიცავს: მის რეგისტრაციას და მისი რეგისტრაციის გაუქმებას, შესაფერისობის კრიტერიუმების, რისკების გამჟღავნების, მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობის და დამატებითი მოთხოვნების დადგენას, შემონახვას, შეზღუდვებისა და სანქციების დანესებას.

4. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს, იგი უფლებამოსილია კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს მოსთხოვოს სახსრების მოზიდვასთან და სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტა. საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული იურიდიული პირების ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის პირობები, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისადმი მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობის და დამატებითი მოთხოვნები, შესაფერისობის კრიტერიუმები, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. საბანკო ლიცენზიის მოპოვებისთანავე იურიდიული პირი ავტომატურად კარგავს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსს.

ური ან/და ელექტრონული დოკუმენტის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ან ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს, მიიღოს გადანყვეტილება ოფიციალური დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ოფიციალური დოკუმენტი საჯაროდ ვრცელდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით ან ინფორმაციის სხვა საშუალებებით. საჯარო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი საჯაროდ გავრცელებიდან მე-15 დღეს.

ვფიქრობ, რომ სწორედ საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ნაწილში იკვეთება საბანკო სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. ეს საკითხი კი მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის ცალკეული სუბიექტებისადმი ლიცენზირებისა და შემდგომი მონიტორინგის განხორციელებას.

საფინანსო სექტორის ძირითადი სუბიექტებია:

- ა) კომერციული ბანკები;**
- ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;**
- გ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები;**

რაც შეეხება ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა სადაზღვევო ბაზარი (სადაზღვევო კომპანიების სახით), ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები (სწრაფი ფულადი გზავნილები, მაგალითად, Western Union, Maney Gram და ა.შ.) და ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლები (მაგ., კერძო საპენსიო ფონდები), ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, აქტივების მმართველი კომპანიები, ანგარიშვალდებული საწარმოები, საგადახდო სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ისინი არ წარმოადგენენ საბანკო სამართლის რეგულირების სფეროში შემავალ სუბიექტებს და სხვა სამართლის დარგების რეგული-

რების სფეროს განეკუთვნებიან (სადაზღვევო სამართალი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალი და ა.შ.).

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 49-ე მუხლი განსაზღვრავს კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის წესებს. აღნიშნულ სუბიექტებზე ზედამხედველობის განხორციელებისას ეროვნულ ბანკს უფლება აქვს:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობას. იგი მოიცავს: ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემონმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;

ბ) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, შეამოწმოს მათი შვილობილი საწარმოები, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი და მიიღოს მათგან ნებისმიერი ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შემონმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას მასალები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს;

დ) კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა მსგავსი ანაზღაურების გაცემა, მოითხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, გაუზარდოს აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ნორმები;

ე) კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორებს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება; დააკისროს მათ ფულადი ჯარიმა და მოითხოვოს მათი თანამდებობიდან გათავისუფლება; კომერციულ ბანკსა და არასაბანკო

სადეპოზიტო დანესებულებას გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა; კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებას გაუუქმოს შესაბამისი ლიცენზია;

ვ) ნორმატიული აქტით დაადგინოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების წესები, განსაზღვროს ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი. ფულადი ჯარიმის თანხა მიიძარტება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;

ზ) გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით გაათავისუფლოს კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისაგან;

თ) შექმნას და მართოს დროებითი ბანკი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ი) დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის მეშვეობით ხელი შეუწყოს გადახდისუუნარო კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ან მათი ნაწილის გადაცემას თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;

კ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების მიზნით, კომერციული ბანკებისათვის დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები: საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა, დამატებით დაანესოს დასვენების დღეები, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული უქმე დღეები გამოაცხადოს საბანკო დღეებად; დაანესოს გარკვეული შეზღუდვები ან/და შეზღუდვებისაგან მათი გათავისუფლება და სხვა ქმედება, რომელიც აუცილებელია საფინანსო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში, კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების ლიკვიდატორს და დროებით ადმინისტრატორს ნიშნავს ეროვნული ბანკი და ისინი ანგარიშვალდებული არიან ეროვნული ბანკის წინაშე. ლიკვიდატორსა და დროებით ადმინისტრატორზე გადადის კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების ყველა ორგანოს (მათ

შორის, აქციონერთა საერთო კრების) სრული უფლებამოსილება.

ორგანული კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას განუსაზღვროს კაპიტალის მინიმალური ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ორგანული კანონი პირდაპირ განმარტავს, რომ არავის არა აქვს უფლება, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით გასცეს კრედიტები.

კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მათი ზედამხედველობის საკითხები განმარტებულია ორგანული კანონის 50-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობისას, საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობას ახორციელებს მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.

კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირების პრობლემებს აღნიშნული ინსტიტუტების განხილვისას შევეხები, ამიტომ აქ ამაზე აღარ შევჩერდები.

### **§ 3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური და მისი ფუნქციები**

თანამედროვე საბანკო სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა (ე.წ. „ფულის გათეთრების“) და ტერორიზმის დაფინანს-

სების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავებას<sup>31</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „ფულის გათეთრებისა“ და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სისხლის სამართლის რეგულირების სფეროში შედის, საბანკო სამართალში არანაკლები ყურადღება ექცევა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საბანკო სამართალი ცდილობს სხვადასხვა სამართლებრივი რეგულაციით ხელი შეუშალოს „ფულის გათეთრებისა“ და ტერორიზმის დაფინანსების საბანკო ოპერაციების განხორციელებას.

სწორედ აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნული ბანკის შემადგენლობაში შექმნილია ს.ს.ი.პ. ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეროვნული ბანკის შემადგენლობაში შედის, იგი დამოუკიდებელი ორგანოა და თავისი საქმიანობისას არ ექვემდებარება არც ერთ სხვა ორგანოსა და თანამდებობის პირს.

ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“<sup>32</sup> საქართველოს კანონის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“<sup>33</sup> საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უშუალოდ არ ექვემდებარება ეროვნულ ბანკს და იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. შესაბამისად, ფინანსური მონიტორინგის სამსახური საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს განეული საქმიანობის შესახებ.

---

<sup>31</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 936.

<sup>32</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედებს 1999 წლის 12 ივნისიდან.

<sup>33</sup> „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონი სრული მოცულობით მოქმედებს 2004 წლის 1 იანვრიდან.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობს მონიტორინგის სამსახურის უფროსი, რომელსაც ეროვნული ბანკის საბჭოსთან შეთანხმებით, 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მონიტორინგის სამსახურის უფროსი თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდება:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) თუ მან დაუშვა სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომა;
- გ) თუ იგი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობის გამო;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისას;
- ე) სისხლის სამართლის დანაშაულზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას.

მონიტორინგის სამსახურის უფროსს უფლება აქვს ბრძანების სახით გამოსცეს ნორმატიული აქტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მთავარი ფუნქციაა აღკვეთოს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია და ტერორიზმის დაფინანსება<sup>34</sup>. საქართველოში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს არეგულირებს საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“. აღნიშნული კანონის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია გულისხმობს უკანონო შემოსავლისათვის<sup>35</sup> კანონიერი სახის მიცემას (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვას ან შენიღბვას, ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობას.

კანონმდებლობით დადგენილი გზა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა, არის ნებისმიერი საეჭვო გარიგების

---

<sup>34</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 943.

<sup>35</sup> „უკანონო შემოსავალი“ გულისხმობს პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ უკანონო ან/და დაუსაბუთებელ ქონებას.

შემთხვევაში ფინანსური ოპერაციის მონიტორინგისადმი დაქვემდებარება. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ კანონი საექვო გარიგებაში გულისხმობს გარიგებას (მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა და ოპერაციის სახეობისა), რომელზედაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ან/და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზედაც დაიდო ან შესრულდა გარიგება, მოპოვებულია ან წარმოშობილია დანაშაულებრივი საქმიანობიდან, ან/და გარიგებას, რომელიც დაიდო ან შესრულდა ტერორიზმის დაფინანსების მიზნით (ეჭვს იწვევს გარიგების მონაწილე პირი ან გარიგების თანხის წარმოშობა, ან არსებობს სხვა საფუძველი, რომლის გამოც გარიგება შეიძლება მიჩნეულ იქნეს საექვოდ), ან მისი მონაწილე რომელიმე პირი შეტანილია ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში ან/და შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მათთან, ან/და მასში მონაწილე ფულადი სახსრები შესაძლებელია დაკავშირებულ ან გამოყენებულ იქნეს ტერორიზმისათვის, ტერორისტული აქტისათვის ან ტერორისტების მიერ ან ტერორისტული ორგანიზაციის, ან ტერორიზმის დამფინანსებლის მიერ, ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში, ან მისი თანხის გადარიცხვა ხდება ასეთ ზონაში ან ასეთი ზონიდან;

არაკოოპერირებად ზონაში, აგრეთვე ე.წ. საყურადღებო ზონაში იგულისხმება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარდგინებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ამგვარ ზონად მიიჩნევა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით ან თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მითითებულ ზონაში მოქმედებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმი<sup>36</sup>;

---

<sup>36</sup> არაკოოპერირებადი ქვეყნების ჩამონათვალი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №65 ბრძანებით იქნა მიღებული 2004 წლის 28 აპრილს, მაგრამ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის FATF პლენარული

შესაბამისად, ნებისმიერი საეჭვო ან „უჩვეულო“<sup>37</sup> გარიგების შემთხვევაში, კანონი მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ავალებს აღნიშნული ინფორმაციის გადაგზავნას ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში, რათა ამ უკანასკნელის მიერ ეჭვის შემთხვევისას შემოწმდეს გარიგების შინაარსი და კანონთან შესაბამისობა.

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები არიან: კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები; კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი; საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები; სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები; ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირები; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური; გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები; ნოტარიუსები; საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევა საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას; სალიზინგო კომპანიები.

კანონის მიხედვით, მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და გარიგების (მისი

---

სხდომის 2006 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ქვეყნების სიიდან მიანმის (ბირმის) ამოღებასთან დაკავშირებით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 8 დეკემბერის №134 ბრძანებით ეს ჩამონათვალი ძალადაკარგულად გამოცხადდა.

<sup>37</sup> „უჩვეულო გარიგებაში“ იგულისხმება რთული, უჩვეულოდ დიდი გარიგება, აგრეთვე გარიგებათა ტიპი, რომელსაც არ აქვს აშკარა ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი ან აშკარა კანონიერი მიზანი, არ შეესაბამება გარიგების მონაწილე პირის ჩვეულებრივ საქმიანობას.

თანხის) დანანევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა (გარდა კომერციული ბანკების, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიების საშუალებით შესრულებული გარიგებებისა), თუ არსებობს ერთ-ერთი ან ორივე შემდეგი პირობა:

ა) გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში;

ბ) ეს გარიგება არის საეჭვო გარიგება.

კომერციული ბანკების მონიტორინგს ექვემდებარება კანონით გათვალისწინებული „საეჭვო გარიგებები“, აგრეთვე პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანანევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ამავე დროს, იგი თავისი შინაარსით არის შემდეგი გარიგება (ოპერაცია):

ა) თანხის მიღება წარმომდგენზე საბანკო ჩეკით;

ბ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ბანკნოტების საშუალებით;

გ) საყურადღებო ან საეჭვო ზონაში მოქმედი ან რეგისტრირებული ბანკის საბანკო ანგარიშიდან მფლობელის მიერ თანხის გადმორიცხვა საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშზე ან თანხის გადარიცხვა საქართველოდან ასეთ ზონაში მოქმედ ან რეგისტრირებულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;

დ) საყურადღებო ან საეჭვო ზონაში რეგისტრირებული პირის მიერ სესხის გაცემა ან მიღება, ანდა ასეთი პირის მიერ საქართველოში არსებული საბანკო დანესებულების მეშვეობით განხორციელებული ნებისმიერი სხვა გარიგება (ოპერაცია);

ე) სხვა სახელმწიფოში ანონიმური პირის საბანკო ანგარიშზე თანხის საქართველოდან გადარიცხვა ან ანონიმური პირის სხვა სახელმწიფოში არსებული საბანკო ანგარიშიდან თანხის საქართველოში გადმორიცხვა;

ვ) საწარმოს საწესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების შე-

ტანა, გარდა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“<sup>38</sup> საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ სანარ-მოთა აქციების შექმნისა;

ზ) ფიზიკური პირის (არამენარმე სუბიექტის) მიერ საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების ნაღდი ფორმით განთავსება და გადარიცხვა (გარდა ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვისა და საქართველოს ფარგლებში მის საკუთარ ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვისა);

თ) სესხის გაცემა წარმომდგენზე ფასიანი ქალაქების უზრუნველყოფით;

ი) იურიდიული პირის რეგისტრაციიდან 90 კალენდარულ დღეში თანხის მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა ან ამ ანგარიში-დან გადარიცხვა;

კ) გრანტის (გარდა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გაცემული გრანტისა) ან საქველმოქმედო დახმარების თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა ან ანგარიშიდან გადარიცხვა;

ლ) საექვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებული გარიგება (ოპერაცია).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული „ფულის გათე-ორების“ კანონმდებლობა ორ მთავარ მიზეზს ასახელებს, რომლის შემთხვევაშიც, ნებისმიერი საბანკო თუ სხვაგვარი ფინანსური ტრანსაქცია უნდა დაექვემდებაროს მონიტორინს. ეს არის გარიგების საექვობა, რომელიც, მიუხედავად საკანონმდებლო რეგლამენტირებისა, საკმაოდ ზოგადი ცნებაა და დიდი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ტრანსაქციის მინიმალური ლიმიტი (30000 ლარი), რომლის შემთხვევაშიც ნებისმიერი ფულადი ტრანსაქცია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მხრი-დან შეიძლება დაექვემდებაროს მონიტორინგს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ძლიან გამკაცრდა „ფულის გათე-ორების“ წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები<sup>39</sup>.

---

<sup>38</sup> „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედებს 1999 წლის 8 იანვრიდან;

<sup>39</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck,

ყველაზე ლიბერალური საბანკო კანონმდებლობის მქონე ქვეყნებშიც კი გართულდა საბანკო ტრანსაქციების თავისუფალი მოძრაობა. გართულებულია როგორც საბანკო ანგარიშების გახსნა, ასევე მათზე ტრანზაქციების განხორციელება<sup>40</sup>. ასე, მაგალითად, გერმანიაში საბანკო ანგარიშის გახსნისას მოითხოვება ქვეყანაში მინიმუმ ერთწლიანი ყოფნის ვიზა, აგრეთვე სტაბილური ფიქსირებული შემოსავალი. ხოლო ტრანსაქციების განხორციელება ექვემდებარება მონიტორინგს. კიდევ უფრო რთული გახდა საბანკო ტრანსაქციები ამერიკის შეერთებულ შტატებში. კერძოდ, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, საბანკო ანგარიშების გამხსნელზე მოითხოვება ე.წ. „სოციალური ბარათის“ („სოციალური ნომრის“ შემცველი დოკუმენტის, რომელიც აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით მიიჩნევა პირის მთავარ მაიდენტიფიცირებელ საშუალებად) წარდგენა ბანკში. გარდა ამისა, ყველა ბანკს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, უარი უთხრას პირს საბანკო ანგარიშის გახსნაზე ან საბანკო ტრანსაქციის განხორციელებაზე.

უფრო მეტიც, ისეთ კლასიკურ ოფშორულ ქვეყნებშიც კი, როგორცაა, მაგალითად, კვიპროსი, 2004 წლის 1 მაისიდან, ანუ კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანებიდან მოყოლებული, გამკაცრებულია კვიპროსულ ბანკებში ანგარიშების გახსნა და ტრანსაქციების კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსი და ლუქსემბურგი კვლავ რჩებიან ლიბერალური საბანკო კანონმდებლობის მქონე ქვეყნებად და კვლავ გამოიყენება ე.წ. „ნომინალური აქციონერების, ნომინალური დირექტორებისა“ და „ვირტუალური ოფისების“ ინსტიტუტები, საბანკო ოპერაციების წარმოება არც ისე მარტივია, როგორც ეს ათი წლის წინ იყო.

აღსანიშნავია, რომ თავად ფინანსური ტრანზაქციების გლობალური მასშტაბიდან გამომდინარე ქართული კანონმდებლობა სპეციალურ დანაწესებსაც აწესებს კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტებისა და მათი შვილობილი სანარმოების<sup>41</sup> მიმართ.

---

München, 2011, S. 1020-1023.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 1031.

<sup>41</sup> „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შვილობილ სანარმოდ (შვილობილ ორგანიზაციად) მიიჩნე-

ასე, მაგალითად, 2010 წლის 23 მარტს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა 10<sup>1</sup> მუხლი – „მოთხოვნები კომერციული ბანკის შვილობილი საწარმოს მიმართ, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, კომერციულმა ბანკმა საქართველოს ფარგლებს გარეთ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით, შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შექმნიდან 14 დღის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ბანკის გადანყვეტილება იმის თაობაზე, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF-ის<sup>42</sup>) რეკომენდაციების შესრულების მიზნით, შვილობილმა საწარმომ ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიმუშავა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.

თუ შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით არ არის გათვალისწინებული, შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულება ან ამ ქვეყანაში არ ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:

ა) ბანკმა უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ იგი

---

ვა იურიდიული პირი ან იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც აკონტროლებს სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია), ან იურიდიული პირი, რომელშიც სათავო საწარმო ფლობს ნილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 ან 50-ზე მეტ პროცენტს.

<sup>42</sup> FATF – Financial Action Task Force.

უზრუნველყოფს თავისი შვილობილი საწარმოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას ბანკისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) ბანკი უზრუნველყოფს ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, რომ მისი შვილობილი საწარმო ვერ ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას იმის გამო, რომ ამას კრძალავს ან ზღუდავს შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.

აღნიშნული მოთხოვნები სრულად პასუხობს FATF-ის მიერ უკანასკნელ პერიოდში დადგენილ მოთხოვნებს „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდუკასთან დაკავშირებით<sup>43</sup>.

---

<sup>43</sup> აღნიშნული მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ FATF-ის ოფიციალურ ვებგვერდზე: <http://www.fatf-gafi.org/>;

## თავი 2. კომერციული ბანკები, როგორც საბანკო სამართლის სუბიექტები

### § 1. კომერციული ბანკის ცნება და ფუნქციები

საბანკო სამართლის ერთ-ერთ მთავარ სუბიექტს კომერციული ბანკი წარმოადგენს<sup>44</sup>. საქართველოში კომერციული ბანკების მარეგულირებელი კანონმდებლობა განისაზღვრება როგორც სპეციალური კანონით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ზედამხედველი ორგანოს მიერ მიღებული ქვეკანონები ნორმატიული აქტებით.

კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტს წარმოადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი ჯერ კიდე 1996 წლის 23 თებერვალს იქნა მიღებული, მაგრამ დღემდე არაერთი ცვლილება-დამატება განიცადა.

კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, კომერციული ბანკი განიმარტება, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

როგორც კანონის განმარტებიდან ჩანს, კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას. რაც შეეხება საბანკო საქმიანობის ჩამონათვალს, იგი მოცემულია „კომერციული ბანკების სამიანობის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლში. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:

ა) პროცენტის და უპროცენტო დეპოზიტებისა (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

---

<sup>44</sup> Bankrecht. Währung, Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit, AGR, 40. Aufl., 2012, S. 12.

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრაქტების ჩათვლით);

ე<sup>1</sup>) უპროცენტო საბანკო მომსახურება<sup>45</sup>;

ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;

ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;

ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

ი<sup>1</sup>) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;

ი<sup>2</sup>) ქონების იჯარით გაცემა;

ი<sup>3</sup>) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავ-

---

<sup>45</sup> აღნიშნული ტიპის საბანკო მომსახურების განხორციელებამდე კომერციულ ბანკს მოეთხოვება ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად ნარუდგინოს შესაბამისი საბანკო პროდუქტის აღწერა.

შირებული მომსახურება<sup>46</sup>.

როგორც კანონის მე-20 მუხლიდან ჩანს, კომერციული ბანკების საქმიანობის მიმართ მოქმედებს ე.წ. „numerus clausus“ („ამომწურავი ჩამონათვალის“) პრინციპი, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ აღნიშნულ მუხლში მითითებული საქმიანობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონი პირდაპირ განსაზღვრავს კომერციული ბანკების უფლებებსა და იმ შეზღუდვებს, რაც მას აქვს დადგენილი კანონისა და ეროვნული ბანკის მხრიდან. კერძოდ, კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის სანესდებო კაპიტალის წილის არა უმეტეს 20 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს; ბ) შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს გარკვეულ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს; გ) ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე შექმნას და შეიძინოს შვილობილი საწარმოები<sup>47</sup>, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას. ნებართვაში თითოეული შვილობილი საწარმოს მიხედვით დათქმული უნდა იყოს საქმიანობის სახეობა, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია. ამ შემთხვევაში შვილობილი საწარმოების საქმიანობა შეზღუდულია ნებართვაში დათქმული საქმიანობის სახეობით; დ) მიიღოს წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად. ასეთ შემთხვევაში, თუ დაირღვა კანონით დადგენილი მოთხოვნები, იგი ვალდებულია გაასხვისოს ნამეტი წილი

---

<sup>46</sup> კანონით განსაზღვრული საქმიანობისას, ამ უფლებების განხორციელება ფასიან ქალაქებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე რეგულირდება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

<sup>47</sup> შვილობილ საწარმოდ მიიჩნევა იურიდიული პირი ან იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც აკონტროლებს სათავო საწარმო (სათავო ორგანიზაცია) ან იურიდიული პირი, რომელშიც სათავო საწარმო ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 ან 50-ზე მეტ პროცენტს.

ამ უფლების შექმნიდან არა უგვიანეს 6 თვისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა; ე) შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში, და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

კანონი ადგენს, რომ ზემოთ მოცემული წილების შექმნისას, წილების ერთობლივი ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს. ამასთან, კომერციული ბანკი ვალდებულია, ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბანკის თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის<sup>48</sup> ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილის 10 პროცენტზე მეტს (მისი ოდენობის მითითებით), აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს ეროვნულ ბანკს ისევე, როგორც ინფორმაცია ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების თაობაზე, და საჯაროდ გამოაქვეყნოს ეს ინფორმაცია თავის წლიურ ანგარიშში. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ასეთი ინფორმაციის მიწოდებისა და გამოქვეყნების წესს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

აღნიშნული ვალდებულება არ შეეხება კომერციული ბანკის იმ ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომლის ვინაობის დადგენაც ბანკს არ შეუძლია, ვინაიდან მის სასარგებლოდ ნომინალური მფლობელობა ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში განთავსებული და იქ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საკლირინგო ორგანიზაციების ან საერთაშორისო დეპოზიტარების მიერ.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს

---

<sup>48</sup> ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო, თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ გააჩნია მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი

კანონის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც შეეხება კომერციული ბანკის პარტნიორს (აქციონერს), აგრეთვე ვრცელდება ბენეფიციარ მესაკუთრეზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კომერციული ბანკის აქციებს (წილს).

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოთ მოცემული მოთხოვნებისა, კომერციული ბანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე ეროვნული ბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. ეროვნული ბანკის წესები, ნორმატივები და ინსტრუქციები, რომლებიც შეეხება ერთზე მეტ კომერციულ ბანკს, ექვემდებარება აუცილებელ გამოქვეყნებას და ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან ან ამ წესებში, ნორმატივებსა და ინსტრუქციებში მითითებული თარიღიდან. თუ არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების საბანკო საქმიანობის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, კომერციული ბანკი მოქმედებს საერთაშორისო საბანკო ნორმებისა და ჩვევების შესაბამისად.

კომერციული ბანკი ვალდებულია შეინარჩუნოს კაპიტალისა და ლიკვიდური რესურსების სათანადო დონე და მოახდინოს თავისი აქტივების დივერსიფიკაცია დანაკარგების რისკის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შესაბამისად.

რაც შეეხება საბანკო მომსახურების თაობაზე კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობის პირობებს, იგი რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას, ბანკი ვალდებულია კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0,5 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

კომერციულ ბანკს უფლება აქვს, შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს მის მიერ კონკრეტული საბანკო მომსახურების განვეისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კონკრეტული საბანკო მომ-

სახურების განევისას ელექტრონული ხელმოწერის<sup>49</sup> გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე კონკრეტული საბანკო მომსახურების განევის დროს გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დანესებული ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები:

ა) სანესდებო და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

ბ) ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად;

გ) ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

დ) ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე (ინსაიდერსა და აუტსაიდერზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

ე) ბანკის მიერ ყველა ინსაიდერზე (ბანკთან, ასევე ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

ვ) ყველა გაცემული კრედიტისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის მაქსიმალურად დასაშვები მთლიანი მოცულობა, რომელიც გამოიხატება პროცენტულად ბანკის მიერ გაცემულ ყველა კრედიტთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება გასცეს ბანკმა 10 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე (მათ შორის, ინსაიდერებსა და ურთიერთდაკავშირებულ პირებზე).

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ქვემოთ ჩამოთვ-

---

<sup>49</sup> ელექტრონულ ხელმოწერებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება 1998 წლის 14 მარტის „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ლილი ეკონომიკური ნორმატივების მოთხოვნები:

ა) ლიკვიდური სახსრების მინიმალური ერთობლივი თანხის ან ასეთი სახსრების კონკრეტულ სახეობათა თანაფარდობა აქტივების (მიღებული გარანტიებისა და გირაოს ჩათვლით) ლირებულიებასთან ან მათი ლირებულების ცვლილებასთან. ასეთი თანაფარდობა შეიძლება დაწესდეს ზოგადად აქტივებთან ან ვალდებულებებთან (გარესაბალანსო ვალდებულებების ჩათვლით), ან მათ კონკრეტულ სახეობებთან. ბანკს აქვს ლიკვიდურობის დაცვის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ბანკში შესაბამისი სახსრების განთავსების უფლება;

ბ) კრედიტებისა და ინვესტიციების, ან მათი განსაკუთრებული სახეების მაქსიმალური ერთობლივი თანხის შესახებ;

გ) აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება, ასევე ის ვადები და პირობები, რომლებითაც აქტივების მიხედვით მისაღები თანხები აღარ აღირიცხება შემოსავალში, გარდა ნაღდად მიღებულისა;

დ) აკრძალვების, შეზღუდვების ან პირობების შესახებ, რომლებიც შეეხება:

დ.ა) გაცემული კრედიტებისა და განხორციელებული ინვესტიციების სახეობები და ფორმები;

დ.ბ) აქტივებისა და ვალდებულებების (გარესაბალანსო და სხვა ვალდებულებების) მიხედვით დაბრუნების ვადებისა და პროცენტების შესაბამისობა;

დ.გ) დადგენილი ლიმიტების გადამეტებით წარმოქმნილი ღია პოზიციები უცხოურ ვალუტაში, ძვირფას ლითონებში ან ძვირფას ქვებში.

ეროვნულ ბანკს უფლება აქვს რისკზე დამყარებული ზედამხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე თითოეული კომერციული ბანკის მიმართ დაადგინოს ზემოთ მოცემული ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების ინდივიდუალური მაჩვენებლები და მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს 2007 წლის 27 მარტის ცვლილებებით, დაემატა 21<sup>1</sup> მუხლი, რომელიც უშუალოდ ეხება კომერცი-

ული ბანკების მიერ ანგარიშის გახსნის პროცედურას „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებაში. კერძოდ, კომერციულმა ბანკებმა თავიანთი მომსახურების მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შემონმებისას უნდა იცოდნენ თავიანთი მომსახურების მომხმარებელთა ვინაობა, საქმიანობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე. ამასთან, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია, აგრეთვე უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე.

გარდა ზემოაღნიშნული მოთხოვნისა, კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, კომერციულ ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას. საბანკო საქმიანობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს<sup>50</sup>.

გარდა ამისა, კომერციულ ბანკს არ აქვს უფლება, რომელიმე კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების განევის პირობაა ამ ბანკის ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება, თუ კლიენტს არ მიეცა აღნიშნული არასაბანკო მომსახურების სხვა მომწოდებლისგან მიღების შესაძლებლობა.

---

<sup>50</sup> ამ მუხლის აღნიშნული რედაქცია მოქმედებს 2012 წლის 8 მაისიდან.

კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადით შეინახონ ყველა საბუთი, რომელიც მათ თითოეულ გარიგებას შეეხება, კერძოდ:

ა) შუამდგომლობები და ყველა სახელშეკრულებო საბუთი, რომლებიც გარიგებას შეეხება (კრედიტთან, გარანტიასა და გირაოსთან დაკავშირებული შეთანხმებების ჩათვლით);

ბ) ბანკის პარტნიორების (მსესხებლებისა და გარანტორების ჩათვლით) ფინანსური ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მონობები, რომლებსაც ეყრდნობა ბანკი გარიგების დამტკიცებისას;

გ) გარიგების დამტკიცების შესახებ ბანკის გადაწყვეტილების ხელმოწერილი ჩანაწერი;

დ) ეროვნული ბანკის ნორმატივებით გათვალისწინებული სხვა საბუთები.

აღნიშნული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით შეინახვის ვადა განისაზღვრება არანაკლებ 15 წლით.

კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ აგრეთვე შეღავათიანი პირობებით ნებისმიერი ადმინისტრატორისათვის, მაკონტროლებელი პირისათვის, მონათესავე საწარმოსათვის ან მათთან დაკავშირებულ პირთათვის საბანკო საქმიანობაში შემავალი ნებისმიერი პროდუქტის მიცემა ან ნებისმიერი საბანკო მომსახურების განევა სესხის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის, უზრუნველყოფის საშუალების, ღირებულების ან რაიმე სხვა პირობების მიუხედავად.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კომერციული ბანკების მიმართ არაერთი შეზღუდვა მოქმედებს. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ კომერციული ბანკები იმდენაც მძლავრი ინსტიტუტებია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის, რომ მათი საქმიანობის თავისუფლებამ შესაძლოა უმძიმესი შედეგები მოუტანოს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკას, არამედ ნებისმიერი მოქალაქის ფინანსურ მდგომარეობას. ამის საუკეთესო მაგალითია XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის საქართველო, როცა ე.წ. „პირამიდის“ მეთოდით მომუშავე კომერციულმა ბანკებმა საქართველოს არაერთი მოქალაქე უსახლკაროდ დატოვა და რასაც დაახლოებით იგივე შედეგები მოჰყვა, რაც ამერიკის შეერთებუ-

ლი შტატების „დიდი დეპრესიის“ დროს მოხდა, როდესაც ხალხი, თავიანთი აქციების გაუფასურებისა და გალატაკების გამო, ფანჯრებიდანაც კი ხტებოდნენ.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ამგვარი საკანონმდებლო ჩარჩოებისა და მკაცრი მოთხოვნებისა, ამგვარი პირობების დაწესება კომერციული ბანკების მიმართ აუცილებელია.

## **§2. კომერციული ბანკის დაფუძნება და მართვის ორგანოები**

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო ლიცენზიის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როცა კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „ბანკი“ ჩანს, რომ იგი არ აწარმოებს ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ იურიდიულ პირს ენოდოს ბანკი, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საბანკო ლიცენზია.

კომერციული ბანკების დაფუძნება და მათი ლიცენზირების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საჯარო საბანკო სამართლისთვის. ევროკავშირის ქვეყნებში სპეციალური ნორმები და მოთხოვნები არსებობს კომერციული ბანკების დაფუძნება-ლიცენზირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის მსგავს მოთხოვნებს ითვალისწინებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონიც.

იმისათვის, რომ იურიდიულმა პირმა (საწარმომ) მიიღოს საბანკო ლიცენზია, ამისათვის აუცილებელია ჯერ თავად იურიდიული პირი დაფუძნდეს.

როგორც ცნობილია, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საკითხს არეგულირებს „მენარმეთა შესახებ“

1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ა) ინდივიდუალური საწარმო (მენარმე), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი. აღნიშნული ფორმებიდან ინდივიდუალური საწარმო არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო დანარჩენი ფორმები, მიუხედავად პასუხისმგებლობის განსხვავებული ფარგლებისა, წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლს პირველი პუნქტის მიხედვით, „კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით“. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან აარჩია მხოლოდ სააქციო საზოგადოება.

აღსანიშნავია, რომ სააქციო საზოგადოებები დიდი კაპიტალის მობილიზებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ფორმაა. სწორედ ამიტომ აირჩია კანონმდებელმა კომერციული ბანკის დასაფუძნებლად მხოლოდ აღნიშნული სამართლებრივი ფორმა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლამდე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში, გარდა სააქციო საზოგადოებისა, შესაძლებელი იყო, კომერციული ბანკები შექმნილიყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით, მაგრამ განხორციელებული ცვლილებების შედეგად შპს-ს ფორმა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში აიკრძალა და დარჩა მხოლოდ სააქციო საზოგადოება.

სააქციო საზოგადოების შესაქმნელად, 2008 წლის 18 მარტს „მენარმეთა შესახებ“ კანონში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებების შედეგად, აღარ მოითხოვება მინიმალური კაპიტალის ქონა, ანუ შესაძლებელია სააქციო საზოგადოება შეიქმ-

ნას სიმბოლური 1 ლარის კაპიტალითაც<sup>51</sup>. რამდენად დადებითი ან უარყოფითი შედეგები მოიქანა კანონმდებლობაში განხორციელებულმა აღნიშნულმა ცვლილებებმა, საბანკო სამართლისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ამიტომ აღნიშნულზე აღარ შევჩერდები<sup>52</sup>.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის ლიბერალური მიდგომის მიუხედავად, კომერციული ბანკების მიმართ ამგვარი მარტივი დამოკიდებულება არ მოქმედებს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისის №144-ე ბრძანების პირველი პუნქტის მიხედვით, „საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი კომერციული ბანკებისა და უცხოური კომერციული ბანკების ფილიალებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს **12 (თორმეტი) მილიონი ლარით**“<sup>53</sup>. ამასთან, აუცილებელია, რომ აღნიშნული კაპიტალის შევსება განხორციელდეს მხოლოდ ფულადი ფორმით და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ვალუტით<sup>54</sup>.

მოკლედ, კომერციული ბანკის დაფუძნებისათვის აუცილებელია 12 მილიონი ლარის ფულადი ფორმით შევსებული საზედამხედველო კაპიტალი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ „კო-

---

<sup>51</sup> 2008 წლის 18 მარტის ცვლილებებამდე სააქციო საზოგადოების მინიმალური კაპიტალი განისაზღვრებოდა 15 000 ლარით.

<sup>52</sup> აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შესახებ იხ. ი. ბურდული. შესავალი სააქციო სამართალში, თბ., 2010.

<sup>53</sup> აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტით განისაზღვრა ის ვადები, რა პერიოდშიც უნდა მომხდარიყო საზედამხედველო კაპიტალის 12 მილიონ ლარამდე შევსება: კერძოდ, „2. საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს:

ა) არანაკლებ 9.2 (ცხრა მილიონ ორასი ათასი) მილიონ ლარს 2006 წლის 31 დეკემბრისათვის;

ბ) არანაკლებ 12 (თორმეტი) მილიონ ლარს 2007 წლის 30 ივნისისათვის.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დადგომამდე საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7.8 (შვიდი მილიონ რვაასი ათასი) მილიონ ლარს“.

<sup>54</sup> იმავე ბრძანების მე-3 პუნქტი.

მერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი ერთმანეთი-საგან განასხვავებს საზედამხედველო კაპიტალის, სააქციო კაპიტალის, განცხადებული სანესდებო კაპიტალისა და განალღებული სანესდებო კაპიტალის ცნებებს.

საზედამხედველო კაპიტალში იგულისხმება კაპიტალის ის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების ან ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად. მისგან განსხვავებით, სააქციო კაპიტალი გულისხმობს კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალს, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;

რაც შეეხება გაცხადებულ და განალღებულ სანესდებო კაპიტალს, ის უშუალოდ უკავშირდება აქციონერთა ნება-სურვილს, თავად დაადგინოს ბანკის წესდებით კაპიტალის ოდენობა. ამასთან, განცხადებულ სანესდებო კაპიტალში იგულისხმება საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული სანესდებო კაპიტალი, ხოლო განალღებულ სანესდებო კაპიტალში – განცხადებული სანესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის მნიშვნელოვანია სწორედ საზედამხედველო კაპიტალის დადგენილი ოდონობით შევსება.

გარდა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნისა, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ თითოეულ კომერციულ ბანკს აქვს წესდება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ წერილობით დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნულ ბანკს.

სააქციო საზოგადოების კანონმდებლობით დადგენილი წესით ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ აღნიშნული იურიდიული პირი ვალდებულია საბანკო ლიცენზიის მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავენ წერილობით (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა (წარმომადგენლობისა), მის მიერ განსაზღვრული წესებისა და ფორმის მიხედვით. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) დამფუძნებელი დოკუმენტების დედნები ან მათი სანოტარო წესით ან აპოსტილით დამოწმებული ანდა ლეგალიზებული ასლები;

ბ) ინფორმაცია ადმინისტრატორების ამ კანონით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

გ) კომერციული ბანკის ცნობა განცხადებული სანესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მონაცემებს შესაბამისი კომერციული ბანკის განცხადებული სანესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ. უცხოეთის ბანკის ფილიალი წარმოადგენს ინფორმაციას სათავო ბანკის მიერ მისთვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის შესახებ;

დ) ამ კანონის 8<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შესაფერისობის დეკლარაცია<sup>55</sup> მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე

---

<sup>55</sup> მუხლი 8<sup>1</sup>. შესაფერისობის დეკლარაცია

1. პირი (შემდგომში — დეკლარანტი), რომელიც აპირებს შეიძინოს კომერციული ბანკის წილი იმ რაოდენობით, რომ მისი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მონაწილეობა ამ ბანკის კაპიტალში გადააჭარბებს 10, 25 ან 50 პროცენტს, ვალდებულია ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაფერისობის დეკლარაცია (შემდგომში — დეკლარაცია).

2. დეკლარაციაში დეკლარანტი მიუთითებს:

ა) მის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) ინფორმაციას, რომ იგი არ არის ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ან აღნიშნავს, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ოპერაციის შედეგად ასეთი ბენეფი-

ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;

ე) ეროვნული ბანკის წესებით გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს სანესდებო კაპიტალისა და სხვა ფინანსური რესურსების, კომერციული ბანკის სათავო დანესებულებისა და ფილიალების ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში;

ვ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება კომერციული ბანკი ან მისი ფილიალი.

სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>56</sup>.

---

ციარი მესაკუთრე (მესაკუთრეები) არ იქნება;

დ) ინფორმაციას, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრე არ არის ნასამართლევ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

ე) მის საკუთრებაში არსებული წილის რაოდენობას ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში;

ვ) მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, იმ ბენეფიციარი მესაკუთრის საკუთრებაში აღმოჩენილი წილის რაოდენობას, რომლის წილიც აჭარბებს 10, 25 ან 50 პროცენტს;

ზ) დასკვნას ბენეფიციარი მესაკუთრის დეკლარაციაზე (მისი წარმოდგენის შემთხვევაში), რომელშიც აისახება, ადასტურებს თუ არა იგი ბენეფიციარი მესაკუთრის დეკლარაციაში მოყვანილი ინფორმაციის სიზუსტეს.

2<sup>1</sup>. შესაძლებლობის შემთხვევაში დეკლარანტი თავის დეკლარაციას დაურთავს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მიერ შევსებულ დეკლარაციას (დეკლარაციებს).

3. თუ დეკლარანტის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრე არ არსებობს, იგი ამის შესახებ მიუთითებს დეკლარაციაში და არ ავსებს დეკლარაციის იმ ნაწილებს, რომლებიც შეეხება ბენეფიციარ მესაკუთრეს.

<sup>56</sup> „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ 2003 წლის 12 აგვისტოს საქართველოს კანონის მე-1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საბანკო საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი არის 500 (ხუთასი) ლარი.

საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ შუამდგომლობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 3 თვისა, ეროვნული ბანკი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირზე, რომლის განაღდებული სანესდებო კაპიტალის ოდენობა და საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად დაკავებული ფართობი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ადმინისტრატორი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი შეესაბამებიან ამ კანონით განსაზღვრულ კომერციული ბანკის ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის<sup>57</sup> მფლობელი აქციონერის შესაფერისობის კრიტერიუმებს. სათავო ბანკის მიერ აღნიშნული ფილიალისათვის გამოყოფილი რესურსის ოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება უცხოეთის ბანკის ფილიალს, გარდა კანონით გათვალისწინებული უცხოური სანდო ბანკის<sup>58</sup> ფილიალისა, მასზე საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად ბანკი უფლებამოსილია სათავო დანესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში მიიზიდოს დეპოზიტები. ასეთ შემთხვევაში მასზე ლიცენზია გაიცემა, თუ წარმოდგენილი იქნება იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული.

---

<sup>57</sup> მნიშვნელოვან წილში იგულისხმება კომერციული ბანკის განმცხადებელი თუ განაღდებული სანესდებო კაპიტალის წილის 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს სანესდებო კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;

<sup>58</sup> უცხოური სანდო ბანკი – განვითარებული ქვეყნის ბანკი, რომელსაც აქვს კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული, გარკვეული დონის ან მასზე მაღალი რეიტინგი; ეროვნული ბანკი ადგენს კომპეტენტურ საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციათა ნუსხას და თითოეული კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიხედვით განსაზღვრავს რეიტინგის დონეს.

ეროვნული ბანკი უცხოური სანდო ბანკის ფილიალზე შესაბამისი სახეობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:

ა) დამფუძნებელი ბანკის განცხადება;

ბ) იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული;

გ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ დამფუძნებელ ბანკს, მინიჭებული რეიტინგის თანახმად, კანონიდან გამომდინარე, ენიჭება უცხოური სანდო ბანკის სტატუსი;

დ) ფილიალის ადმინისტრატორების დანიშვნის აქტი;

ე) იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

უცხოური სანდო ბანკის ფილიალზეც ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის დადგენილი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, იგი რეგულირდება ცალკე ნორმატიული აქტით, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი“. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, კომერციული ბანკებისათვის ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 10%, ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 15%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა. ამასთან, ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 5%.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი საგანგებო ყურადღებას უთმობს კომერციული ბანკის მნიშ-

ვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების განსაზღვრას. კერძოდ, პირს ეკრძალება იყოს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

კანონი, გარდა აკრძალვისა, ცალკე განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი. კერძოდ, პირი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, თუ:

ა) იგი სასამართლომ არ ცნო ქმედუუნაროდ;

ბ) იგი არ არის ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

გ) აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;

დ) იგი, ამავე დროს, არ არის სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი;

**კანონის მიხედვით,** ეროვნული ბანკს აქვს უფლებამოსება ცალკე ნორმატიული აქტით განსაზღვროს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის დამატებითი კრიტერიუმებიც.

სწორედ აღნიშნულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის №234-ე ბრძანებით დამტკიცებულ იქნა დებულება „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ“. დებულების მიხედვით, შესაფერისობის კრიტერიუმები ეხებათ ბანკის შემდეგ ადმინისტრატორებს:

ა) ბანკის დირექტორატის წევრებს;

ბ) ბანკის ფილიალის და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, მის მოადგილესა და მათი უფლებამოსილების

განმხორციელებელ პირებს;

გ) ბანკის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს, ფილიალის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს და მათი უფლებამოსილების განმხორციელებელ პირებს;

დ) ბანკის სხვა ადმინისტრატორებს, რომლებიც ბანკის შინაგანაწესით უფლებამოსილი არიან საბანკო საქმიანობის განხორციელებისას (მათ შორის კონკრეტული საქმიანობის გაძლოლისას) დამოუკიდებლად ანდა ერთ ან მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით იკისრონ ვალდებულებები.

დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები უნდა ეფუძნებოდეს პირის კვალიფიციურობას, პროფესიულ გამოცდილებას, კომპეტენტურობასა და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადმინისტრატორის თანამდებობაზე დასანიშნი პირი ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ბანკის დირექტორატის წევრს, ფილიალის და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, საბუღალტრო საქმე ან სამართლისმცოდნეობა;

ბ) ბანკის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს, ფილიალის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი და საბუღალტრო საქმე;

გ) ბანკის დირექტორატის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, მას უნდა გააჩნდეს საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 4 წლის სტაჟი, მათგან ხელმძღვანელ თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე) მუშაობის 2 წლის სტაჟი;

დ) ბანკის ფილიალის დირექტორსა და მის მოადგილეს, ბან-

კის განყოფილების (სერვის-ცენტრის) ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, რისთვისაც მას უნდა გააჩნდეს საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟი, მათგან ხელმძღვანელ თანამდებობებზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე) მუშაობის – 1 წლის სტაჟი;

ე) ბანკის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეს საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟი;

ვ) ბანკის ფილიალის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეს საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 2 წლის სტაჟი;

ზ) დასანიშნი პირი არ უნდა იყოს ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან სარევიზიო კომისიის წევრი და/ან სხვა კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის და/ან სხვა სანარმოს დირექტორატის წევრი ან სხვა ადმინისტრატორი;

თ) არ უნდა არსებობდეს ეროვნული ბანკის მოთხოვნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსადმი და/ან დირექტორთა საბჭოსადმი დასანიშნი პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

ი) დირექტორატის წევრი არ უნდა იყოს ამავე ბანკის დირექტორატის წევრის მეუღლე, შვილი ან ახლო ნათესავი;

კ) ბანკის მთავარი ბუღალტერი და მისი მოადგილე, მისი ფილიალის მთავარი ბუღალტერი და მისი მოადგილე არ უნდა იყვნენ ამ ბანკის ან ამავე ფილიალის დირექტორის ან მისი მოადგილის მეუღლე, შვილი ან ახლო ნათესავი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების მიხედვით, პირს ეკრძალება იყოს ბანკის ადმინისტრატორი, თუ:

ა) მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს და შელახა კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის დეპოზიტორთა ან სხვა კრედიტორთა უფლებები,

ანდა გამოიწვია კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება;

ბ) კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში – საკრედიტო კავშირში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები;

გ) წარსულში იყო კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი გადახდისუნარო გახდა;

დ) კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის მიმართ არ შეასრულა ერთი ან მეტი ფინანსური ვალდებულება;

ე) გამოცხადებულია გაკოტრებულად, ნასამართლებია ეკონომიკური დანაშაულისათვის და არა აქვს გაქარწყლებული ნასამართლობა, ანდა მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აკრძალვები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შერჩევისას (ძირითადად, იგულისხმება დირექტორატის წევრები) ხელმძღვანელობდეს სწორედ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებით.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას კომერციული ბანკის საქმიანობაზე. იგი შედგება სულ მცირე 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს.

კანონი ადგენს, რომ კომერციული ბანკის დირექტორი (დირექტორები) შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები). იგი (დირექტორები) არ შეიძლება წარმოადგენდეს უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს სრულ შემადგენლობაში, და არ უნდა მონაწილეობდეს საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეეხება დირექტორატის (აღმასრულებელი ორგანოების) საქმიანობის ზედამხედველობას, მათი ანგარიშების დამტკიცებასა და შეფასებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია.

კომერციული ბანკის აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხს. აკრძალულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიმართ რაიმე სახის წახალისების ზომების გამოყენება კომერციული ბანკის ხარჯებიდან.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საბჭოდან უნდა გამოყვანილ იქნეს პირი, რომელიც:

ა) არის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი საქართველოში რეგისტრირებულ შვიდზე მეტ სანარმოში;

ბ) არის საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ ბანკის კონტროლ-სადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლ-საც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი;

გ) კანონის შესაბამისად არ არის უფლებამოსილი, დაიკავოს ადგილი სამეთვალყურეო საბჭოში;

დ) გამოცხადებულია გაკოტრებულად.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი აპელირებს რა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებზე, განსაზღვრავს, რომ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

ა) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ბ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;

გ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებსა და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;

დ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა (23.10.2001 №1115).

კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან ბანკის საქმეებს უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და სალად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობებს, წარმოშობილი ზიანისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს ბანკის წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე. რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ბანკის უარი ან კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია ბანკის კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუნარიანია ან გაკოტრების თავიდან აცილების ანდა საბანკო საქმიანობის შეწყვეტის მიზნით მოურიგდება თავის კრედიტორებს. თუ ანაზღაურება აუცილებელია ბანკის კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, ბანკის ადმინისტრატორთა ვალდებულება არ წყდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მოქმედებენ აქციონერთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

სავალდებულოა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. მათ უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, კომერციული ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერილობით ჩამოყალიბება. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, ბანკის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ კომერციული ბანკის დირექტორებს. ისინი

პასუხისმგებელი არიან ბანკის საქმეების მართვასა და მისი ფუნქციების შესრულებაზე. დირექტორატი შედგება 3 დირექტორისაგან მაინც, რომელთაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არა უმეტეს 4 წლის ვადით. მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

კომერციული ბანკის დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრის თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც: ა) ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს; ბ) კანონის შესაბამისად არ აქვს უფლება დაიკავოს ადგილი დირექტორატში; გ) გამოცხადებულია გაკოტრებულად;

დ) არის ამ ბანკის დირექტორატის წევრის მეუღლე, შვილი ან ახლო ნათესავი.

კომერციული ბანკის დირექტორატს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება.

გარდა ზემოაღნიშნული ორგანოებისა, კანონის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოსთან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება დამოუკიდებელი წევრებისაგან. წევრი ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის არ არის კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირი და მას ან/და მასთან ნათესაური კავშირის მქონე იმ პირებს, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან პირველ და მეორე რიგში ირიცხებიან<sup>59</sup>,

---

<sup>59</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით, პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან:

გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები

არ აქვთ კომერციული ბანკის მიმართ ფინანსური ვალდებულება.

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და მისი ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

აღსანიშნავის ის, რომ კანონის მიხედვით, თითოეული კომერციული ბანკის მართვა ხორციელდება შინაგანანესით, რომელმაც მისი წესდების შესაბამისად უნდა განსაზღვროს:

ა) ბანკისა და მისი საოპერაციო და ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა, მათი შემადგენელი ერთეულები და ფუნქციები, მმართველობითი თანამდებობები და ანგარიშვალდებულებები;

ბ) თითოეული დეპარტამენტის დირექტორისა და მის დაქვემდებარებაში და კონტროლის ქვეშ მყოფი განყოფილების მოვალეობანი;

გ) აუდიტის კომიტეტის ფუნქციები;

დ) ადმინისტრატორებისა და ბანკის სხვა თანამშრომელთა უფლებამოსილება, ანარმონ საბანკო ოპერაციები ბანკის სახელით და მის ხარჯზე.

---

კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან:

გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისნულები და ძმისნულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

ამასთან, თითოეული კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს წესდებას, შინაგანაწესს და იმ თანამდებობის პირთა სიებს, რომლებსაც აქვთ ბანკის წარმომადგენლის უფლებამოსილება, მათი ხელმოწერის ნიმუშებთან ერთად და მათი უფლებამოსილების ფარგლების აღნიშვნით.

კომერციულ ბანკებზე საბანკო ლიცენზიები გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და მათი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემისას დაურთოს მას გარკვეული პირობები და შეზღუდვები, თუ სრულად არ არის დაკმაყოფილებული კანონის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები. შემდგომში პირობები და შეზღუდვები საბანკო საქმიანობის ლიცენზიას შეიძლება დაერთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი სისტემატურად არღვევს საბანკო კანონმდებლობას, ეროვნული ბანკის ინსტრუქციებს, დებულებებს, წესებს, დადგენილებებს, მოთხოვნებს, და მხოლოდ დარღვევათა აღმოსაფხვრელად საჭირო ფარგლებში.

### **§ 3. კომერციული ბანკების საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება, დარღვევები და სანქციები**

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების პირობებს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას მათ მიმართ გასატარებელ სანქციებს.

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, საბანკო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით:

ა) კომერციული ბანკის თხოვნის საფუძველზე, ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;

ბ) ამ კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო;

გ) ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე გარემოების გამო:

გ.ა) ლიცენზია გაცემულია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ შუამდგომლობაში ყალბი განცხადების ან სხვა უზუსტობების საფუძველზე;

გ.ბ) კომერციულმა ბანკმა არ გამოიყენა ლიცენზია მისი ძალაში შესვლის თარიღიდან 6 თვის განმავლობაში;

გ.გ) კომერციული ბანკის სხვა ბანკთან შერწყმის, მიერთების ან გამოყოფის შემთხვევაში;

გ.დ) კომერციულ ბანკს აღარ აქვს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საწესდებო კაპიტალის ან საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა, ან მან დაკარგა კრედიტორების ნდობა მათ წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ან ბანკს აღარ შეუძლია მისთვის მინდობილი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ.ე) კომერციული ბანკის პარტნიორებმა (აქციონერებმა) გადაწყვიტეს ბანკის გაუქმება ან ლიკვიდაცია ან ბანკმა შეწყვიტა არსებობა, როგორც იურიდიულმა პირმა;

გ.ვ) კომერციული ბანკი ეწევა ან ეწეოდა ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის საფრთხის შემქმნელ ან არაჯანსაღ საბანკო პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მის დეპოზიტორებს;

გ.ზ) აქციონერთა გადანყვეტილებით, კომერციული ბანკი ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება;

გ.თ) კომერციული ბანკი გადახდისუუნაროა.

ეროვნული ბანკი ვალდებულია გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მოქმედება უცხოეთის ბანკის ფილიალს და შვილობილ ბანკს, თუ ბანკის სათავო დანესებულებას ჩამოერთვა მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში სათანადო ოპერაციების წარმოების უფლება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი თავად კომერციული ბანკის წერილობითი თხოვნაა. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, კომერციულ ბანკს შეუძლია წერილობით სთხოვოს ეროვნულ ბანკს, გაუუქმოს მას ლიცენზია.

ეროვნული ბანკი აღნიშნული თხოვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს კომერციულ ბანკს (უარის შემთხვევაში – მისი საფუძვლის მითითებით).

კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ გადაწყვეტილება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოებში. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების დღიდან ან თვით ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა თარიღიდან.

აღსანიშნავია, რომ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან კომერციულ ბანკს ეკრძალება ამ ლიცენზიით მინიჭებული ყოველგვარი საქმიანობა და კანონის 37-ე მუხლით დადგენილი წესით უნდა მოხდეს მისი ლიკვიდაცია. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან კომერციული ბანკი მოვალეა უმოკლეს ვადაში გაანაღდოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ვალდებულება. საქმიანობის შეწყვეტის პერიოდში ყველა ვალდებულების განაღდებამდე კომერციული ბანკი ემორჩილება ამ კანონის დებულებებს ისევე, როგორც ლიცენზირებული ბანკი.

კომერციული ბანკის გადახდისუნარიობასა და გაკოტრებაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი.

საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგი საფუძველია, თუ კომერციული ბანკი დაარღვევს კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნები კი გულისხმობს კომერციული ბანკის მიერ ქვემოთ მითითებული ეკონომიკური ლიმიტების დაცვას:

ა) სანესდებო და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

ბ) ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად;

გ) ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

დ) ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე (ინსაიდერსა და აუტსაიდერზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერ-

თო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;  
ე) ბანკის მიერ ყველა ინსაიდერზე (ბანკთან, ასევე ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;

ვ) ყველა გაცემული კრედიტისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის მაქსიმალურად დასაშვები მთლიანი მოცულობა, რომელიც გამოიხატება პროცენტულად ბანკის მიერ გაცემულ ყველა კრედიტთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება გასცეს ბანკმა 10 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე (მათ შორის, ინსაიდერებსა და ურთიერთდაკავშირებულ პირებზე).

გარდა ამისა, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა სახის ეკონომიკური ნორმატივების მოთხოვნებიც:

ა) ლიკვიდური სახსრების მინიმალური ერთობლივი თანხის ან ასეთი სახსრების კონკრეტულ სახეობათა თანაფარდობა აქტივების (მიღებული გარანტიებისა და გირაოს ჩათვლით) ღირებულებასთან ან მათი ღირებულების ცვლილებასთან. ასეთი თანაფარდობა შეიძლება დაწესდეს ზოგადად აქტივებთან ან ვალდებულებებთან (გარესაბალანსო ვალდებულებების ჩათვლით) ან მათ კონკრეტულ სახეობებთან. ბანკს აქვს ლიკვიდურობის დაცვის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ბანკში შესაბამისი სახსრების განთავსების უფლება;

ბ) კრედიტებისა და ინვესტიციების, ან მათი განსაკუთრებული სახეების მაქსიმალური ერთობლივი თანხის შესახებ;

გ) აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება, ასევე ის ვადები და პირობები, რომლებითაც აქტივების მიხედვით მისაღები თანხები აღარ აღირიცხება შემოსავალში, გარდა ნაღდად მიღებულისა;

დ) აკრძალვების, შეზღუდვების ან პირობების შესახებ, რომლებიც შეეხება:

დ.ა) გაცემული კრედიტებისა და განხორციელებული ინვესტიციების სახეობები და ფორმები;

დ.ბ) აქტივებისა და ვალდებულებების (გარესაბალანსო და

სხვა ვალდებულებების) მიხედვით დაბრუნების ვადებისა და პროცენტების შესაბამისობა;

დ.გ) დადგენილი ლიმიტების გადამეტებით წარმოქმნილი ღია პოზიციები უცხოურ ვალუტაში, ძვირფას ლითონებში ან ძვირფას ქვებში.

იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ დაირღვა ზემოთ მითითებული ეკონომიკური ნორმატივიდან რომელიმე მათგანი, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს კომერციულ ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე, სავალდებულოა ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება. ლიკვიდაციის პროცესს არეგულირებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება კომერციული ბანკის ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია ამ კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირის ლიკვიდატორად დანიშვნა. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება იძულებითი აღსრულება<sup>60</sup>.

თუ ლიკვიდირებული კომერციული ბანკი იყო საგადახდო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ ფუნქციების შესრულების დაწყებამდე სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“<sup>61</sup> საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშნიდან 3 თვის გან-

---

<sup>60</sup> იძულებითი აღსრულებას პროცედურებს არეგულირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 1999 წლის 16 აპრილს მიღებული საქართველოს კანონი..

<sup>61</sup> აღნიშნული კანონი მიღებულია 2012 წლის 25 მაისს.

მავლობაში შეადგინოს აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი გადასცეს ეროვნულ ბანკს გამოსაქვეყნებლად. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესით.

კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია საჯარო აუქციონზე გაყიდოს ბანკის აქტივები ან აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, სხვა ბანკს გადასცეს სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლება და ორგანიზება გაუწიოს ამ ბანკებისათვის ვალდებულებათა გადაცემას.

ლიკვიდატორს დანიშვნის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეუძლია შეწყვიტოს:

ა) გარიგება ბანკის თანამშრომლის დაქირავების შესახებ;

ბ) კონტრაქტები მომსახურეობის შესახებ, რომლის განხორციელებაშიც ბანკი იღებდა მონაწილეობას;

გ) ბანკის ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჯარისა, თუ მეიჯარეს (რომელიც 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ ბანკი აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა იმ თანხისა, რომელიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს ასეთი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას.

კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვონ მათი ბათილობა, თუ ამის შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შელავათით, რამაც გამოიწვია ბანკისათვის (მისი კრედიტორებისათვის) ზიანის მიყენება.

ლიკვიდატორმა დანიშნიდან ორი თვის ვადაში უნდა:

ა) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა რწმუნებული პირის ყველა იმ ფუნქციის შეწყვეტისათვის, რომელსაც ასრულებდა დაწესებულება, დაუბრუნოს დაწესებულების, როგორც რწმუნებული

პირის კუთვნილი ყველა აქტივი და საკუთრება მათ მესაკუთრეს და განახორციელოს ყველა ანგარიშსწორება რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით;

ბ) გაუგზავნოს დაზღვეული წერილით ამონაწერები მოთხოვნათა ხასიათისა და თანხის შესახებ ბანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად ყველა მესაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს, კლიენტებს, რომლებიც ბანკის სეიფებში ინახავენ ფასეულობას, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, რომელსაც განაგებს დაწესებულება; ამონაწერში აღინიშნება, რომ ლიკვიდატორისათვის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში, აგრეთვე ის, რომ კლიენტებს შეუძლიათ თავიანთი ფასეულობის მიღება.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, კომერციული ბანკის ტერიტორიაზე შენახული ქონება, რომელიც ამონაწერში მითითებულ ვადებში არ არის გამოთხოვილი, მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომლებიც ბანკზე ირიცხება ხელშეკრულების საფუძველზე, ითვლება მოუკითხავ რესურსად და გადადის ეროვნული ბანკის მფლობელობაში, მესაკუთრის გამოვლენის მიზნით.

კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს ფინანსური გირაოს მოგირავნეს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც კომერციულ ბანკს წარმოეშვა ვალდებულება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;

ბ) ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები არა უმეტეს 1500 ლარისა;

გ) ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) იურიდიულ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები;

ე) საბიუჯეტო დავალიანებები, მათ შორის საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

ვ) კომერციული ბანკის მიმართ დანარჩენი მოთხოვნები.

თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ზემოთ მითითებული აღნიშნული მოთხოვნების სრულად დასაფარავად, მაშინ ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.

ისეთი აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე კომერციული ბანკის აქტივი იყო, ის ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული ბანკის აქტივად, რომლის განკარგვის უფლებასაც იძენს ეროვნული ბანკი. თუ ლიკვიდირებული ბანკის ამოღებული აქტივი არის ფულადი სახსრები, ისინი უნდა გადაირიცხოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ლიკვიდირებული ბანკების მოუკითხავი თანხების ანგარიშზე და განაწილდეს ლიკვიდატორის მიერ საბოლოოდ წარმოდგენილი ვალდებულებების დაზუსტებული რიგითობის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. არაფულადი სახის მატერიალური აქტივის ამოღების შემთხვევაში, მისი განკარგვის მიზნით, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც განსაზღვრავს ამოღებული აქტივის განკარგვის წესს ლიკვიდირებული ბანკის ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია, რომ, გარდა ზემოთ მითითებული ეკონომიკური ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში საბანკო ლიცენზიის გაუქმებისა და კომერციული ბანკების ლიკვიდაციის პროცესისა, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ეროვნული ბანკების მიერ კომერციული ბანკებისათვის კონკრეტული დარღვევების შემთხვევაში შესაბამისი სანქციების დაკისრებასა და საჭიროების შემთხვევაში დროებითი ადმინისტრაციის დანიშნვასაც.

კერძოდ, კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კომერციული ბანკის, მისი ადმინისტრატორებისა და მაკონტროლებელი პირების მიმართ გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილი სანქციები, თუ ბანკმა ან მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა:

ა) დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;

ბ) დაარღვია ნებისმიერი პირობა ან შეზღუდვა, რომელიც დართული აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზიას ან ეროვნული ბანკის შესაბამის დებულებას;

გ) დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;

დ) დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

ე) დაარღვია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

აღნიშნული დარღვევების გამოვლენისას ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და კომერციული ბანკის აქტივების არსებული თუ შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) კომერციულ ბანკს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) დაანესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ კომერციულმა ბანკმა შეწყვიტოს და შემდგომში არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს დარღვევის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები;

გ) კომერციულ ბანკს დააკისროს ფულადი ჯარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ბანკის საკუთარი სახსრებისა;

დ) კომერციულ ბანკს გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, თუ ადმინისტრატორის ქმედებამ ფინანსური ზარალი მიაყენა ბანკს

ან დაუშვა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა;

ე) ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან თანამდებობიდან განთავისუფლება;

ვ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს მოსთხოვოს კომერციული ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა დარღვევათა განსახილველად და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება;

ზ) კომერციულ ბანკს შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების განაწილება, დივიდენდებისა და პრემიების გაცემა, ხელფასების გაზრდა და დეპოზიტების მოზიდვა;

თ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება კომერციული ბანკის მენაბრეთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესებს, შეუჩეროს მას აქტიური ოპერაციები, შემოიღოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;

ი) მოითხოვოს კომერციული ბანკის მაკონტროლებელი პირისაგან კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა ეროვნული ბანკისათვის საფინანსო ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. ასეთ გაუქმებას ან შეზღუდვას უნდა ახლდეს პირობები და ვადები, რომლებსაც ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს არსებული გარემოებებიდან გამომდინარე;

კ) კომერციულ ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

მნიშვნელოვანია ის, რომ სანქცია უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სერიოზულობას და კომერციული ბანკის აქტივებისათვის მიყენებულ ზარალს ანდა შესაძლო საფრთხეს. დაკისრებული ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საბანკო ლიცენზიის პირობათა დარღვევა, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს კომერციულ ბანკში დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია.

კანონის 32-ე მუხლის მიხედვით, დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება: ა) დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საფუძვლები; ბ) დროებითი ადმინისტრატორის (ადმინისტრატორების) სახელი და გვარი; გ) დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა; დ) გაფრთხილება ბანკის კლიენტთა ანაბრებისა და სხვა სახსრების შესაძლო გაყინვის შესახებ; ე) ზომები, რომლებიც გამოიყენება ბანკის ადმინისტრატორების მიმართ.

დროებითი ადმინისტრაცია მოვალეობათა შესრულებას იწყებს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული დღიდან. გადაწყვეტილება ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში.

კანონის მიხედვით, დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის დღისა, აცნობოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების შესახებ იმ საგადახდო სისტემის ოპერატორს, რომლის სისტემის მონაწილეც არის კომერციული ბანკი, რომელსაც დროებითი ადმინისტრაცია მართავს.

დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დღიდან დაუშვებელია ნებისმიერი ქმედების განხორციელება კომერციული ბანკის სახელით და მის ხარჯზე დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დროებით ადმინისტრატორზე გადადის კომერციული ბანკის ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) სრული უფლებამოსილება. შესაბამისად, იგი ვალდებულია უმოკლეს ვადაში აღძრას შუამდგომლობა საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი თანამდებობის პირთა სიაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, მიიღოს აუცილებელი ზომები კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, მისი ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ქვედანაყოფების

გაყიდვის ან დახურვის, ბანკის მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების ჩათვლით. დროებითი ადმინისტრატორი ასევე უფლებამოსილია, მოახდინოს კომერციული ბანკის სხვა კომერციულ ბანკთან შერწყმა, მისი კაპიტალის განახლება ან მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ან მათი ნაწილის სხვა კომერციულ ბანკზე გასხვისება. დროებითი ადმინისტრატორის მიერ სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

გარდა ამისა, კომერციული ბანკის დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის ნებისმიერ მომენტში მთლიანად ან ნაწილობრივ მოახდინოს ბანკში ფიზიკური და იურიდიული პირების ნებისმიერი ფულადი სახსრების ბლოკირება დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადით, იმ პირობით, რომ მიიღებს აუცილებელ ზომებს მათი სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად, თუ ეს არ ეწინააღმდეგება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

გარდა დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის პროცედურისა, კანონი ითვალისწინებს დროებითი ადმინისტრაციის გაუქმების პროცედურასაც. კერძოდ, კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, დროებითი ადმინისტრაცია უქმდება:

- ა) მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რის შესახებაც ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში;
- ბ) ეროვნული ბანკის დასაბუთებული გადაწყვეტილებით;
- გ) ბანკისათვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში.

### თავი 3. არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, როგორც საბანკო სამართლის სუბიექტები

#### §1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირება

გარდა კომერციული ბანკებისა, საბანკო სამართლის ერთ-ერთი სუბიექტის როლს ასრულებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სხვა დატვირთვა აქვთ პოსტსაბჭოური ქვეყნების ანალოგიური ინსტიტუტებისაგან განსხვავებით. კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადად შექმნილნი არიან კონკრეტული ბაზრის სეგმენტისთვის (მაგალითად, აგროსექტორი, ტურიზმის სექტორი და ა.შ.) იაფი კრედიტებით უზრუნველყოფისათვის<sup>62</sup>. ამიტომაც, ხშირად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არა აქვთ მკვეთრად გამოხატული მოგებაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტის ფორმა და ისინი არაკომერციული იურიდიული პირის ფორმითაც კი იქმნებიან.

ევროკავშირის ქვეყნებში ხშირად აღნიშნული ინსტიტუტების უკან სახელმწიფოები დგანან და დაფინანსების დიდი ნაწილიც სწორედ სახელმწიფო დოტაციებზე მოდის.

მისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინეს. კერძოდ, ისინი ისეთივე დატვირთვის ფინანსური ინსტიტუტები გახდნენ, როგორც კომერციული ბანკები. მათ შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მაღალი საკრედიტო რისკის მქონე სეგმენტზე მუშაობენ და ძირითადად ორიენტირებულნი არიან მყარი უზრუნველყოფის საშუალებებით მოვალეებისაგან თავის დაცვაზე.

---

<sup>62</sup> microfinance in Germany and Europa. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. <http://tk.eversjung.de/www/downloads/microfinance-in-germany-and-europe.pdf>

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი, დაახლოებით იმავე სასესხო პროდუქტებზე მუშაობენ, როგორც კომერციული ბანკები. ასე, მაგალითად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი ნაწილი მსესხებლებს სთავაზობს იპოთეკურ, ავტო და აგრო სესხებს. ეს კი ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მცირე სესხების დაკრედიტების ბაზარზე კომერციული ბანკების კონკურენტებად იქცნენ.

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას არეგულირებს **2006 წლის 18 ივლისის კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“**, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული კანონის მიზანია საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება და მათი განვითარებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.

კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.

როგორც კანონის განმარტებიდან ჩანს, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, განსხვავებით კომერციული ბანკისგან, შეიძლება შეიქმნას როგორც სააქციო საზოგადოების, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მაგრამ, კომერციული ბანკის მსგავსად, კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციასაც უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს და აუცილებელ მოთხოვნებს როგორც მინიმალურ სანესდებო კაპიტალთან, ისე, მართვის ორგანოებთან დაკავშირებით.

კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, რომლის მიმართაც გამოყენებულ უნდა იქნეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თაობაზე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.

შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობის განსაზღვრისა და მათი უფლებამოსილებათა დაზუსტებისათვის კანონი მითითებას აკეთებს „მენარმეთა შესახებ“ კანონზე. კერძოდ, კანონის 55-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც განმარტავს, რომ „თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2-10 პუნქტები დეტალურად განსაზღვრავენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისა და უფლებლამოსილების წესებს, რომლებიც პირდაპირ მოქმედებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები).

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ. თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – მოადგილე იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს, ხოლო მისი არყოფნისას – მოადგილეს შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით:

ა) სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ) სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ე) სამეთვალყურეო საბჭო ამონმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

ვ) ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს;

ზ) იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი.

დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა) სანარმოს 50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება;

ბ) ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;

გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;

დ) ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენო-

ბას; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

ე) დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;

ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;

ზ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამონწვევა;

ი) საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კ) ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ) საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

მ) იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების

უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადანყვეტილებების შესასრულებლად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ასეთის არსებობისას, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებით შეიძლება აღნიშნული ვალდებულება ძალაში დარჩეს ამ პირთა თანამდებობიდან ნასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის ოდენობა და გადახდის წესი ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება.

აღსანიშნავია, რომ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა უფლებამოსილი, თავის საფირმო სახელწოდებაში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა, შეიტანოს ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“.

ამასთან, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემომწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა<sup>63</sup> ან მიიღოს გადანყვეტილება

---

<sup>63</sup> ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №25/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუქტების, და ფულადი გზავნილების განმარტაციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესები“.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი ზუსტად განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას. კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა;

ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქალაქებში;

გ) ფულადი გზავნილების განხორციელება;

დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;

ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების განწევა;

ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;

ზ) იურიდიული პირების სანესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სანესდებო კაპიტალის 15%-ს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები, მათ შორის მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ ზემოჩამოთვლილი საქმიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომერციული ბანკების მსგავსად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართაც მოქმედებს ე.წ. „Numerus Clausus“ („ამომწურავი ჩამონათვალის“) პრინციპი. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მაგალითად, ეკრძალება დეპოზიტების მიღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონით პირდაპირაა გათვალისწინებული, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეიძლება საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, რეგისტრაციის შემდეგ, რომლის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვალს №33/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობებით“.

აღნიშნული ნორმატიული აქტის მე-2 მუხლის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია ხდება სპეციალური ფორმით შევსებული განცხადებისა და დოკუმენტების ეროვნულ ბანკში წარდგენის საფუძველზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) საფირმო სახელწოდების შესახებ; ბ) სამართლებრივი ფორმის შესახებ; გ) იურიდიული მისამართის შესახებ; დ) ფულადი ფორმით განაღდებული კაპიტალის ოდენობის შესახებ.

აღნიშნულ განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) რეგისტრირებული წესდების დედანი ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული კაპიტალის სრული ოდენობით შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) დოკუმენტები სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, მისი თავმჯდომარის არჩევისა და დირექტორების დანიშვნის თაობაზე;

ე) ცნობა დირექტორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების<sup>64</sup> ნასამართლეობის შესახებ;

---

<sup>64</sup> „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მნიშვნელოვანი წილი გულისხმობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტია ან

ვ) დირექტორების ხელწერილი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შესაფერისობის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის თაობაზე;

ზ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც განთავსებული იქნება მისო;

თ) ინფორმაცია დირექტორთა განათლებისა ან/და გამოცდილების შესახებ.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციისას სხვა პირობებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორ მთავარ კრიტერიუმს: არის თუ არა შევსებული კანონით დადგენილი საწესდებო კაპიტალი ფულადი ფორმით სრულად და მეორე, რამდენად აკმაყოფილებენ ორგანიზაციის დირექტორების კანონით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

საქმე ისაა, რომ კომერციული ბანკების მსგავსად, ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართაც რეგისტრაციისას ითხოვს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის შევსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას.

კომერციული ბანკისაგან განსხვავებით, რომელსაც მოეთხოვება მინიმუმ 12 მილიონი ლარის საზედამხედველო კაპიტალის ქონა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მინიმალური ფულადი ფორმით შევსებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 250 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულს პირდაპირ განსაზღვრავს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი. ამასთან, კანონი ადგენს, რომ ამ თანხის ზემოთ წესდებით დადგენილი საწესდებო კაპიტალის სრული ოდენობის ფულადი ან/და არაფულადი ფორმით შევსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ 250 000 ლარს ზემოთ კაპიტალი შეიძლება შეივსოს როგორც ფულით, ასევე არაფულადი ფორმით შესაბამისი აუდიტორული დასკვნით

---

10 პროცენტზე მეტ წილს, რომელსაც პირი ფლობს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით.

ქონების შეფასების საფუძველზე.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს, მათ განსაზღვრავს როგორც კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, ასევე „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები“.

კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) არ შეიძლება იმავდროულად იყოს რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი (აქციონერი), სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პირს ეკრძალება, იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი, თუ:

ა) მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ან შელახა კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის დეპოზიტართა ან სხვა კრედიტორთა უფლებები, ან გამოიწვია კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუნარიობა ან გაკოტრება;

ბ) წარსულში იყო კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად აღნიშნული კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გადახდისუნარო გახდა;

გ) არ შეასრულა ფინანსური ვალდებულება რომელიმე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ;

დ) ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

ე) არა აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება.

კანონი პირდაპირ ადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორს ეკრძალება მონაწილეობა იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის მიმართაც მას პირადი ინტერესი აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში იღებს შესაბამის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოაქვს ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ იურიდიულ პირს განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის განმავლობაშიც ჩერდება კანონით დადგენილი ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული იურიდიული პირისათვის მისოდ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

რეგისტრაციის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის თაობაზე აწარმოებს ელექტრონულ რეესტრს, რომელშიც შეიტანება ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, საკონტაქტო ნომრის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების სახელებისა და გვარების თაობაზე. რეესტრში აგრეთვე მიეთითება რეგისტრაციის ან/და რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და მისი მიღების თარიღი, აგრეთვე რეგისტრაციის

გაუქმების მიზეზი<sup>65</sup>.

ამასთან, გარდა კანონის მოთხოვნისა, ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა პერიოდულად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუდგინოს დამატებითი მოთხოვნებიც<sup>66</sup>.

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრაქტიკული მიმართულება იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემაა. ყველა დანარჩენი საქმიანობის მიმართულება (ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქალაქებში, ფულადი გზავნილების განხორციელება, სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება, მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების განევა, სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან, იურიდიული პირების სანესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა

---

<sup>65</sup> მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აღნიშნული რეესტრი გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

<sup>66</sup> ასე, მაგალითად, 2012 წლის მაისიდან თბილისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის, ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული მისო, ვალდებულია უზრუნველყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა ნამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებსა და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრებსა და მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ დაინტერესებული მენარმე სუბიექტი მისოს რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.

ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სანესდებო კაპიტალის 15%-ს, აგრეთვე სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები, მათ შორის მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები, ვფიქრობ, რომ დამატებითა და ეს უკანასკნელნი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დიდი შემოსავლის წყაროს დღეის მდგომარეობით არ წარმოადგენენ.

რაც შეეხება მიკროკრედიტს, იგი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მიერ მსესხებლებზე გაცემული საბანკო კრედიტისგან განსხვავებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეზღუდულია მსესხებლისთვის გასაცემ ფულად რესურსში და მას დიდი ფინანსური პროექტების დაფინანსება კანონის მიხედვით პირდაპირ ეკრძალება.

მიკროსესხის გაცემის თაობაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

სესხი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, უზრუნველყოფილი ან საბლანკო. მიკროსესხის გაცემის წესებსა და პირობებს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ასევე ადგენს საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს კონტროლი მსესხებლის მიერ კრედიტის გამოყენების მიზნობრიობაზე, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორ-

განიზაცია უზრუნველყოს ასეთი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობით. თუ მსესხებელი არ შეასრულებს კრედიტის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას კრედიტის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების შესრულებაზე გაუცემელი კრედიტის ნაწილში და მოითხოვოს კრედიტის გაცემული ნაწილის ვადამდე დაფარვა.

კანონის მე-10 მუხლი ადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში არსებული ინფორმაცია მსესხებლის შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ თავად მსესხებელს, მის წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემათ მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით ან მსესხებელთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის საჯარო გამოყენება.

გარდა ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების წესებს. კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) აწარმოოს გამჭვირვალე ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება და დაიცვას საჯაროობის პრინციპი;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს შიდა კონტროლის სისტემა და პროცედურები;

გ) ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდ-

არტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ანგარიშგების ფორმა და წარდგენის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით;

ვ) იყოს პასუხისმგებელი ანგარიშგების უტყუარობაზე, ასევე ინფორმაციისა და ანგარიშგების სრულად წარდგენაზე;

ზ) ყოველწლიურად გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება და გარე აუდიტორული დასკვნა.

კანონით განსაზღვრულია, რომ, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გათვალისწინებულ ფინანსურ ანგარიშგებას ზედიხედ ორჯერ არ წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს მის მიერვე დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააუქმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია.

ამასთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ნ წლის განმავლობაში შეინახოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;

ბ) საბუღალტრო წიგნში ჩანანერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის გაუქმება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვალის №33/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობებით“. კერძოდ, აღნიშნული აქტის მე-4 მუხლის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც უნდა მიეთითოს რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წამომადგენლობაზე

უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად დეპოზიტების მიღება იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;

გ) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი სიყალბე;

დ) თუ შემომწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არღვევს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ე) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამოღება;

ვ) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით ეროვნული ბანკისთვის ზედიზედ ორჯერ ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა;

ზ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

## **§ 2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები**

საბანკო სამართალში, გარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეორე სახის ფინანსურ ინსტიტუტს – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას (საკრედიტო კავშირს).

საკრედიტო კავშირების ისტორია იწყება ჯერ კიდევ 1852 წლიდან, როდესაც გერმანელმა ეკონომისტმა ფრანც ჰერმან შულცემ დააარსა იმ დროისათვის ახალი საპილოტო პროექტი გერმანიის ორ პატარა ქალაქში. სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში საკრედიტო კავშირები უკვე მთელი ევროპის მასშტაბით სთავაზობდნენ თავიანთ წევრებს სესხისა გაცემისა და ანაბრის შემოტანის გამარტივებულ, მოქნილ და გამჭვირვალე პროცედურებს, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭეს. თანამედროვე მსოფლიოში საკრედიტო კავშირები წარმოადგენენ

მძლავრ ფინანსურ დაწესებულებებს ასეულობით ათასი წევრითა და მოცულობითი აქტივებით.

საკრედიტო კავშირი არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, რომელიც თავისი წევრებისგან იღებს ანაბრებს და გასცემს მათზე სესხებს. უფრო მარტივად, საკრედიტო კავშირი არის წევრებისგან (მეპაიეებისგან) შემდგარი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც იზიდავს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს მხოლოდ თავის წევრებზე.

საკრედიტო კავშირები თავისი შინაარსით განსხვავდებიან როგორც კომერციული ბანკებისგან, ისე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგანაც. ამასთან, მათ აღნიშნულ ფინანსურ ინსტიტუტებთან გარკვეული ნიშნების მსგავსებაც გააჩნიათ.

საკრედიტო კავშირსა და კომერციულ ბანკს შორის მსგავსება ისაა, რომ ორივე სტრუქტურა არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული, მასზე (საკრედიტო კავშირზე) ვრცელდება თითქმის ყველა რეგულირება დადგენილი ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით, რაც ვრცელდება კომერციულ ბანკებზე. თუმცა საკრედიტო კავშირები გაცილებით ლიბერალურნი არიან, რაც ბანკთან შედარებით თავისი წევრების მომსახურებაში მეტ მოქნილობასა და უპირატესობას ანიჭებს. საკრედიტო კავშირს, ისევე როგორც ბანკს, უფლება აქვს მოიზიდოს დეპოზიტები და გასცეს სესხები, ერთის განსხვავებით, რომ საკრედიტო კავშირს სესხების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა შეუძლია მხოლოდ თავის წევრებზე (მეპაიეებზე). სხვაობას ასევე წარმოადგენს ის, რომ საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირის ძირითადი მიზანს წარმოადგენს თავიანთ წევრებზე ზრუნვა, მოქნილობა და გამჭირვალეობა. მაშინ როდესაც ბანკი ოპერირებს და ქმნის მოგებას მხოლოდ მისი დამფუძნებლებისათვის/მეანაბრებისათვის, რომელთან რაოდენობა ბანკის კლიენტებთან შედარებით ძალიან მცირეა, საკრედიტო კავშირი ზრუნავს თითოეული მისი წევრის, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს აქციონერს, მაქსიმალურ სარგებელზე, იქნება ეს მსესხებელი თუ მეანაბრე.

საკრედიტო კავშირის ძირითადი უპირატესობა არის მის

წევრებზე ბანკთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რადგან საკრედიტო კავშირი მომავალი მოგების დიდ წილს წინასწარ უნაწილებს თავიანთ წევრებს.

ბანკის მიმართ საკრედიტო კავშირის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ოპერაციების სიმარტივე, ანაბრის მიღებისა და სესხის გაცემის გამჭვირვალობა, გადაწყვეტილების მიღებაში თითოეული წევრის მონაწილეობის შესაძლებლობა, კავშირის წევრებზე ორიენტირებული ოჯახური გარემო, კავშირის საერთო მიზნების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება. საკრედიტო კავშირი მის წევრებს აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს კავშირის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, იქნება ეს საქველმოქმედო პროგრამები, ეკლესიების მშენებლობების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა.

მაგრამ, გარდა აღნიშნული უპირატესობებისა, საკრედიტო კავშირებს სუსტი მხარეებიც გააჩნიათ ბანკთან მიმართებაში. ასე, მაგალითად, საკრედიტო კავშირს არ გააჩნია კლიენტების მიმდინარე ანგარიშები. საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკრედიტო კავშირებს შედარებით უფრო მცირე ისტორია გააჩნიათ, ვიდრე კომერციულ ბანკებს, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ისინი წარმოჩენილები არიან, როგორც გაცილებით უფრო სტაბილური ფინანსური დაწესებულებები, რომლებმაც აღმოაჩინდათ ფინანსური კრიზისისადმი უფრო მეტი მდგრადობა, ერთი მხრივ, მაღალი ლიკვიდურობის, მეორე მხრივ, გაცილებით დიდი ფინანსური გამჭირვალობისა და წევრების საკრედიტო კავშირის საქმიანობაში მაღალი ჩართულობის გამო.

რაც შეეხება საკრედიტო კავშირსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის მსგავსება-განსხვავების საკითხებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთა რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უფრო სუსტია, ვიდრე ლიცენზირებული საკრედიტო კავშირების, რომელთა მიმართაც ეროვნულ ბანკს გააჩნია რეგულირების მკაცრი ნორმები ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით.

გარდა ამისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონით ეკრძალებათ 50 000 ლარზე მეტი ერთ მსესხებელზე სესხის გაცემა, მაშინ როდესაც საკრედიტო კავშირებზე ასეთი შეზღუდვა არ არის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ანაბრებისა და დეპოზიტების მოზიდვა, საკრედიტო კავშირებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეუძლიათ თავიანთი წევრებისგან დეპოზიტებისა და ანაბრების მოზიდვა. ხოლო ძირითად და უპირატეს განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ საკრედიტო კავშირის დეპოზიტარიც და მსესხებელი იმავდროულად არის საკრედიტო კავშირის წევრი, მეპაიე, რომელსაც შეუძლია კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

საკრედიტო კავშირების საქმიანობა საქართველოში რეგულირდება „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ 2002 წლის 4 ივლისის საქართველოს კანონით (ძალაშია 2002 წლის 1 ოქტომბრიდან).

აღნიშნული კანონის მიხედვით, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი არის კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება.

როგორც აღნიშნული დეფინიციიდან ნათლად ჩანს, საკრედიტო კავშირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ეს დამატებით განასხვავებს საკრედიტო კავშირს კომერციული ბანკისგან, რომელიც უნდა შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან, რომელიც შეიძლება შეიქმნას როგორც სააქციო საზოგადოების, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და მის მართვის ორგანოებს არეგულირებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონი შეიცავს სპეციალურ ნორმებს საკრედიტო კავშირის

მართვის ორგანოთა შემადგენლობისა და მათი ფუნქციების შესახებ.

კერძოდ, კანონის მე-6 მუხლი განმარტავს, რომ „საკრედიტო კავშირის საქმიანობას მართავენ საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა“.

აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა წევრები, გარდა დაქირავებული აღმასრულებელი დირექტორისა, უნდა იყვნენ იმავე საკრედიტო კავშირის წევრები. ხელმძღვანელ ორგანოში შეიძლება იყოს ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო კავშირის ყველა წევრი ერთი ოჯახის წევრია ან მის წევრთა უმრავლესობა წარმოდგენილია ოჯახის წევრებით.

საკრედიტო კავშირის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელიც კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული უფლებების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს საკრედიტო კავშირის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საერთო კრება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ბალანსის სამეურნეო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში განხილვისა და დამტკიცებისათვის.

საკრედიტო კავშირის საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა არჩევა-გადარჩევა;

გ) გამგეობის მიერ წარდგენილი საკრედიტო კავშირის საქმიანობის წლიური ანგარიშისა და მის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის დამტკიცება;

დ) საკრედიტო კავშირის შემოსავლების გამოყენების, აგრეთვე ზარალის დაფარვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

ე) საერთო რეზერვის შექმნა, მისი მოცულობის დადგენისა და გამოყენების პროცედურების განსაზღვრა;

ვ) ფილიალების შექმნა;

ზ) საკრედიტო კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის

თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

თ) საკრედიტო კავშირის უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და გამოუყენებელი სახსრების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

ამასთან, კანონი ადგენს რომ საკრედიტო კავშირის ფილიალის შექმნასთან და კავშირის რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობა.

კანონის მიხედვით, საკრედიტო კავშირის საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 60 პროცენტისა, ხოლო საგანგებო კრებას – 40 პროცენტისა. საერთო კრების განმეორებით მოწვევის შემთხვევაში იგი ჩაითვლება გადაწყვეტილებაუნარიანად, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. საერთო კრება მოიწვევა ერთიდან სამ კვირამდე დროის განმავლობაში, მისი მოწვევის თაობაზე წესდებით გათვალისწინებულ გაზეთში ან ამავე წესდებით განსაზღვრული სხვა საშუალებით განცხადების გამოქვეყნებით.

საკრედიტო კავშირის გამგეობის საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს საერთო კრება 2 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს – არანაკლებ 3 და არა უმეტეს 15 წევრისა.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საკრედიტო კავშირის პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა;

ბ) თავისი ინიციატივით, საერთო კრების ან წევრთა 10 პროცენტის მოთხოვნით საკრედიტო კავშირის საქმიანობის შემოწმების მიზნით აუდიტის მოწვევა;

გ) საგანგებო კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საკრედიტო კავშირის არადაამაკმაყოფილებელი მუშაობის ან მისი საქმიანობის მოსალოდნელი გაუარესების თავიდან ასაცილებლად ღონისძიე-

ბების განსახორციელებლად, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ანდა ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

დ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის უფლება არა აქვთ გამგეობის წევრებს.

საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის გარეშე საერთო კრებას წლიური ანგარიშის დამტკიცების უფლება არა აქვს. გარდა ამისა, ის გასცემს თანხმობას გამგეობის თითოეული წევრისათვის სესხის გაცემის თაობაზე. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს საგანგებო კრების მოწვევამდე ხელმძღვანელი ორგანოს წევრს შეუჩეროს უფლებამოსილება.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

საკრედიტო კავშირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონდე ორგანოა გამგეობა, რომელსაც ირჩევს საერთო კრება 2 წლის ვადით. გამგეობის წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს – არანაკლებ 3 და არა უმეტეს 9 წევრისა. გამგეობას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისივე შემადგენლობიდან დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი.

საკრედიტო კავშირის გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) საკრედიტო კომიტეტის არჩევა;
- ბ) საკრედიტო კავშირის პოლიტიკის განსაზღვრა;
- გ) საკრედიტო კავშირში ახალი წევრის მიღება, წევრის უფლებამოსილების შეჩერება და გარიცხვა;
- დ) აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლება;
- ე) საკრედიტო კავშირის წევრთათვის გასაწევი მომსახურების, მათ შორის, ანაბრების მიღების პირობებისა და წესების განსაზღვრა;
- ვ) დაუბრუნებელი სესხების ჩამონერის დამტკიცება საქართ-

ველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის თანახმად;

ზ) კანონით გათვალისწინებული სარეზერვო სახსრების გამოყენება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით;

თ) წლიური ანგარიშის შედგენა და მისი საერთო კრებისათვის განსახილველად წარდგენა;

ი) ინვესტიციების განხორციელების თაობაზე პროცედურების შემუშავება;

კ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

გარდა ზემოაღნიშნული მართვის ორგანოებისა, კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ სპეციფიკურ ორგანოს – საკრედიტო კომიტეტს. საკრედიტო კომიტეტი არის გამგეობის წინაშე ანგარიშვალდებული სპეციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო კავშირის საკრედიტო საქმიანობისთვის. იგი ვალდებულია განეული საქმიანობის შესახებ სრული ანგარიში ყოველთვიურად წარუდგინოს გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოს.

საკრედიტო კომიტეტს ირჩევს გამგეობა 2 წლის ვადით. იგი შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წესდებით.

საკრედიტო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საკრედიტო კავშირის წევრთა განცხადებების განხილვა სესხის გამოყოფის თაობაზე და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე გამგეობის წევრთა მიერ სესხის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვა და აღნიშნულის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოსათვის წინადადებების წარდგენა;

ბ) საკრედიტო პორტფელის პერიოდული კონტროლი და განხილვა, ყველა გირაოს ან სხვა სახის უზრუნველყოფის შეფასება, ნებისმიერ სესხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, სესხის ამოღების მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

გ) სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ზარალის ასანაზღაურებლად ზომების მიღება;

დ) სესხების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

ე) სესხის დაბრუნების კონტროლი;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

კანონის მიხედვით, საკრედიტო კავშირის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, აგრეთვე დაქირავებულ პირებს უფლება არა აქვთ იყვნენ საკრედიტო კომიტეტის წევრები.

საკრედიტო კომიტეტის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც. განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება ოქმში, რომელიც ეგზავნება გამგეობას საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეაგირებისათვის.

„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრების ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. კერძოდ, კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე ბანკის ან სხვა საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის წევრი. ამასთან, პირს ეკრძალება იყოს საკრედიტო კავშირის გამგეობის წევრი, თუ:

ა) იგი მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს ან სხვა საკრედიტო კავშირს;

ბ) კომერციულ ბანკში ან სხვა საკრედიტო კავშირში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება;

გ) წარსულში იყო კომერციული ბანკის ან სხვა საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად კომერციული ბანკი ან სხვა საკრედიტო კავშირი გახდა გადახდისუნარი;

დ) არ შეასრულა ფინანსური ვალდებულება რომელიმე კომერციული ბანკის ან სხვა საკრედიტო კავშირის მიმართ.

ე) მასზე ვრცელდება კანონით გათვალისწინებული სხვა აკრძალვები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკრედიტო კავშირი კონკრეტული ფუნქციების მატარებელია და შესაბამისად მისი საქმიანობაც გარკვეულ პრინციპებს ეფუძნება. საკრედიტო კავშირის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: ა) ნევრობის ნებაყოფლობითობა; ბ) ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება; გ) ნევრთა უშუალო მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი სახის ფინანსური საქმიანობა:

ა) მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი ნევრებისაგან;

ბ) გასცეს სესხები მხოლოდ თავის ნევრებზე;

გ) განახორციელოს ინვესტიციები სახაზინო ვალდებულებებში, კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი დეპოზიტების სახით და სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით.

დ) გასწიოს ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება, სასესხო ვალდებულებების აღების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ საკრედიტო კავშირის მიერ მოზიდული ანაბრები არის საკრედიტო კავშირის სახსრების ფორმირების ძირითადი წყარო. იგი ანაბრებს იღებს მხოლოდ თავისი ნევრებისაგან. ანაბარი შეიძლება იყოს მოთხოვნამდე ან ვადიანი, რომელზედაც შეიძლება გაიცეს შემნახველი წიგნაკი. საკრედიტო კავშირმა უნდა უზრუნველყოს აქტივებისა და ვალდებულებების იმგვარად მართვა, რომ ანაბარზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდეს გაცემულ სესხზე საპროცენტო განაკვეთს. საკრედიტო კავშირმა სესხის მიმღებისაგან შეიძლება მოითხოვოს ანაბრის დაგირავება ან მისი ბლოკირება გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო კავშირმა ნებისმიერ დროს შეიძლება განახორციელოს სესხის მიმღების მიმართ მისი ანაბრისა და ვადაგადაცილებული სესხის ურთიერთგაქვითვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

რაც შეეხება საკრედიტო კავშირის მიერ მის ნევრებზე სესხის გაცემას, მას კანონმდებლობის მიხედვით ეკრძალება სესხის გაცემა მესამე პირებზე. ამიტომაც სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ კავშირის ნევრებზე მოხდეს. ამასთან, კავშირის ნევრები

შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები და საკრედიტო კავშირის წევრად მიღებული პირს ევალება საკრედიტო კავშირის წესდებით განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით პაის შეტანა.

საკრედიტო კავშირის მიერ გაცემული სესხი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი. უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წევრის პაი, ანაბარი, უძრავი ან მოძრავი ქონება ან სხვა გადახდისუნარიანი პირის თავდებობა ან/და საბანკო გარანტია. გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოსა და საკრედიტო კომიტეტის წევრს არა აქვს უფლება, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაუდგეს თავდებად ან გასცეს გარანტია საკრედიტო კავშირის მიერ გაცემულ რომელიმე სესხზე.

ნებისმიერი ინფორმაცია საკრედიტო კავშირის წევრის ანაბრისა და სასესხო ოპერაციის შესახებ კონფიდენციალურია და იგი შეიძლება მიეცეს მხოლოდ საკრედიტო კავშირის შესაბამის წევრსა და მის წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს<sup>67</sup>. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემათ მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მას უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკრედიტო კავშირისაგან საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად.

რაც შეეხება საკრედიტო კავშირის მიერ ინვესტიციების განხორციელების უფლებამოსილებას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკრედიტო კავშირს შეუძლია ჭარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით განახორციელოს ინვესტიციები სახაზინო ვალდებულებებში; კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი დეპოზიტების სახით; სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით.

---

<sup>67</sup> საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის პროცედურა რეგულირდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N2 ბრძანებით – „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესით“.

გარდა ამისა, საკრედიტო კავშირის ქარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით შეუძლია ასევე განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული სხვა სახის ინვესტიციები. მაგრამ აღნიშნული ინვესტიციების სახეობათა მიხედვით ერთ სანარმოში ინვესტირებული თანხების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო კავშირის აქტივების 15 პროცენტს, ხოლო ისინი ერთობლივად არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო კავშირის აქტივების 30 პროცენტს. აღნიშნული ლიმიტების გადაჭარბება დასაშვებია საერთო კრების გადაწყვეტილებით და იგი უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

საკრედიტო კავშირი უნდა დაფუძნდეს კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, საკრედიტო კავშირებმა თავიანთ საფირმო დასახელებაში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა,<sup>68</sup> უნდა შეიტანონ ტერმინი „საკრედიტო კავშირი“. კანონის მიხედვით იკრძალება საკრედიტო კავშირის მიერ საფირმო სახელწოდებაში რაიმე ფორმით სიტყვა „ბანკი“-ს გამოყენების უფლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონის მიხედვით, არავის არა აქვს უფლება, თავის დასახელებაში გამოიყენოს ტერმინი „საკრედიტო კავშირი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით, თუ მას არა აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რამ დანესებულია ან აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან როდესაც სახელწოდებიდან აშკარაა, რომ იგი არ ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობას.

საკრედიტო კავშირის კოოპერატივის ფორმით სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, იგი ვალდებულია წარადგინოს შუამდგომლობა საქართველოს ეროვნულ ბანკში საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად.

---

<sup>68</sup> კოოპერატივის შემთხვევაში გამოიყენება მისი შემოკლებული აბრევიატურა – „რკ“ (რეგისტრირებული კოოპერატივი)

საკრედიტო კავშირის ლიცენზიის მისაღებად განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლის ვინაობა და იურიდიული მისამართი, ფილიალების ჩათვლით;

ბ) მოთხოვნა ლიცენზიის მიღების თაობაზე;

გ) განცხადების წარდგენის თარიღი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

დ) განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხა;

ე) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები.

ეროვნულ ბანკში წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სადამფუძნებლო დოკუმენტების (მათ შორის, წესდების) დედნები ან მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლები;

ბ) ცნობა განცხადებული კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

დ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე საკუთრებას ან სხვა უფლებას, რომელშიც განთავსებული იქნება საკრედიტო კავშირი;

ე) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკრედიტო კავშირის მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი არ ყოფილა ნასამართლევ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

ვ) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკრედიტო კავშირის მმართველი ორგანოს წევრებს აქვთ სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;

ზ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

ლიცენზირების შესახებ განცხადების მიღების დღიდან 1 თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ან მასზე უარის თქ-

მის შესახებ, რის თაობაზედაც გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით აცნობებს საკრედიტო კავშირს. საქართველოს ეროვნული ბანკი ლიცენზიას სალიცენზიო მოწმობის სახით აძლევს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ საკრედიტო კავშირს, რომელსაც აქვს განადგებული სანესდებო კაპიტალი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნის ოდენობით და რომლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

საქმიანობის ლიცენზია არ გაიცემა, თუ საკრედიტო კავშირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. მისი სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს გაცემული ლიცენზიების უწყებრივ რეესტრს და ვალდებულია, მონაცემები ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების, აგრეთვე ასლის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში შეიტანოს რეესტრში.

კანონი ცალკე განსაზღვრავს საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საკითხებსაც. კერძოდ, ლიცენზიას საქართველოს ეროვნული ბანკი აუქმებს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საკრედიტო კავშირმა დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და ამას დაეთანხმა საქართველოს ეროვნული ბანკი;

ბ) საკრედიტო კავშირმა ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში არ დაიწყო ამ კანონით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობა;

გ) დადგინდა, რომ ლიცენზია გაცემულია ყალბი მონაცემების ან უზუსტობების შემცველი საბუთების საფუძველზე;

დ) დადგინდა საკრედიტო კავშირის გადახდისუუნარობა<sup>69</sup>;

---

<sup>69</sup> საკრედიტო კავშირის გადახდისუუნარობის საკითხებს დეტალურად არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2002 წლის 16 ოქტომბრის №266-ე ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი“.

ე) ხდება საკრედიტო კავშირის რეორგანიზაცია;

ვ) საკრედიტო კავშირმა შეიცვალა საქმიანობის საგანი;

ზ) საკრედიტო კავშირს აღარ აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

თ) საკრედიტო კავშირი ამოღებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ი) სისტემატურად ირღვევა ამ კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოებში; იგი იმავდროულად ეგზავნება საკრედიტო კავშირს, რომელიც ვალდებულია, სალიცენზიო მონმობა გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღეში დაუბრუნოს საქართველოს ეროვნულ ბანკს. გადაწყვეტილება მოქმედებს მისი მიღების დღიდან ან თვით ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული თარიღიდან.

საკრედიტო კავშირს ლიცენზიის გაუქმების დღიდან ეკრძალება ამ ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით უნდა მოხდეს მისი ლიკვიდაცია. საკრედიტო კავშირი ვალდებულია, ლიცენზიის გაუქმების დღიდან უმოკლეს ვადაში გაანაღდოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება. საქმიანობის შეწყვეტის პერიოდში ყველა ვალდებულების განაღდებამდე საკრედიტო კავშირი ემორჩილება ამ კანონის დებულებებს ისევე, როგორც ლიცენზირებული საკრედიტო კავშირი.

საკრედიტო კავშირის გადახდისუუნარობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ლიცენზიის გაუქმებისთანავე იწყებს საკრედიტო კავშირის ლიკვიდაციას. საკრედიტო კავშირის ლიკვიდატორს ნიშნავს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი.

როგორც აღინიშნა, საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. ზედამხედველობა ითვალისწინებს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, ნებისმიერი სახით შემონმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, დროებითი ადმინის-

ტრაციის მეშვეობით მართვასა და ლიკვიდაციას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს შემდეგ ნორმატიულ აქტებს: ა) ფულადი ფორმით განაღდებული სანესდებო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნისა და საკრედიტო კავშირის ნევრთა მინიმალური ოდენობის შესახებ (ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით); ბ) კაპიტალის კოეფიციენტის ადეკვატურობის შესახებ; გ) რისკის დონეების შესახებ; დ) აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირების წესის შესახებ; ე) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სხვა ლიმიტებისა და ნორმატივების შესახებ.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად ამოწმებს საკრედიტო კავშირებს (დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების ჩათვლით) მათი ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, აგრეთვე საკრედიტო კავშირების საქმიანობის ამ კანონთან და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დასადგენად. საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და საკრედიტო კავშირების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და ლიცენზიის გაუქმების ჩათვლით.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ საფრთხე ემუქრება საკრედიტო კავშირის ნევრთა ანაბრებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია.

აღნიშნულ შემთხვევაში დროებით ადმინისტრაციაზე, ისევე როგორც ლიკვიდატორზე გადადის საქრედიტო კავშირის ყველა ორგანოს სრული უფლებამოსილება.

საკრედიტო კავშირის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი თანამიმდევრობით: ა) საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც ვალდებულებები საკრედიტო კავშირს წარმოეშობა ლიკვიდაციის გაუქმების შემდეგ; ბ) მესხობა; გ) სხვა მოთხოვნები საკრედიტო კავშირის მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ზემოაღნიშნული მოთხოვნების სრულად დაფარვისათვის, მაშინ ყველა მოთხოვნა უნდა დაიფაროს თანაბარი პროპორციით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონი საკრედიტო კავშირისათვის ცალკე განსაზღვრავს სანქციებს კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევაში, კერძოდ, კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და წერილობითი მითითებების, აგრეთვე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, საკრედიტო კავშირის ან მისი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;

ბ) გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება), რომ საკრედიტო კავშირმა შეაჩეროს ან შეწყვიტოს ესა თუ ის საქმიანობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიიღოს ზომები დარღვევების აღმოსაფხვრელად;

გ) დააჯარიმოს საკრედიტო კავშირი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

დ) გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა აღმასრულებელ დირექტორს ან გამგეობის წევრს, თუ მისმა ქმედებამ ფინანსური ზარალი მიაყენა საკრედიტო კავშირს;

ე) საკრედიტო კავშირის აღმასრულებელ დირექტორს და ბუღალტერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუჩეროს ხელმოწერის უფლება;

ვ) მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა დარღვევათა განსახილველად, მათი აღმოფხვრი-

სათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად ან ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის განსაახლებლად;

ზ) შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების განაწილება, დივიდენდების გაცემა, ხელფასების გაზრდა და ანაბრების მოზიდვა, პრემიებისა და სხვა ჯილდოების გაცემა;

თ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება საკრედიტო კავშირის შეანაბრეთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესებს, შემოიღოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;

ი) გააუქმოს საკრედიტო კავშირის ლიცენზია.

საკრედიტო კავშირის მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ზომებსა და ჯარიმების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის №257-ე ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესი“.

# ნაწილი 3. საბანკო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი

## თავი 1. ანგარიშსწორების ხელშეკრულება

### § 1. ანგარიშსწორების ხელშეკრულების არსი

ანგარიშსწორების ხელშეკრულება საბანკო მომსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა. თანამედროვე პირობებში, სწორედ ანგარიშსწორების საშუალებით ახდენენ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები ერთმანეთის მიმართ გარიგებებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებების შესრულებას<sup>70</sup>.

დღესათვის საბანკო ანგარიშების მეშვეობით უნაღდო ანგარიშსწორება კომერციული ბანკებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა<sup>71</sup> და იგი თამამად შეიძლება ითქვას, რომ გარდა კომერციული ხასიათისა, სოციალურ ფუნქციასაც ატარებს და შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა<sup>72</sup>. დღესათვის სწორედ უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით ხდება დასაქმებული პირებისათვის დამსაქმებლის საბანკო ანგარიშიდან ხელფასების დასაქმებულთა ანგარიშებზე გადარიცხვ<sup>73</sup>ა, უნაღდო ანგარიშსწორებით ხორციელდება პენსიონერთათვის კუთვნილი პენსიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხვა და ა.შ.

ანგარიშსწორების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-866-ე მუხლებში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო

---

<sup>70</sup> Bank- und Kapitalmarktrecht case by case. Hrsg. Gerald Spindler. Frankfurt am Main, 2005, S. 223.

<sup>71</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 581.

<sup>72</sup> Bankrecht. Währung; Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit, AGR, 40. Aufl., 2012, S. 16.

<sup>73</sup> Dorotee Einsele. Bank- und Kapitalmarktrecht, Nationale und Internationales Bankgeschäfte, 2. Aufl., 2010, S.173.

ლაქო კოდექსის აღნიშნული მუხლები უფრო ზოგადი ხასიათისაა და საბანკო ანგარიშების ცალკეულ სახეებთან დაკავშირებულ საკითხებს ცალკე განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დანესებულებებში ანგარიშების გახსნისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქცია“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლის მიხედვით, ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დანესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის 859-ე მუხლში ნახსენები საკრედიტო დანესებულება, რომელსაც უფლება აქვს ჰქონდეს კლიენტების საანგარიშსწორებო ანგარიშები, არის მხოლოდ კომერციული ბანკი. სხვა არც ერთ საკრედიტო ორგანიზაციას ანგარიშების გახსნისა და ანგარიშსწორების წარმოების უფლება არ გააჩნია.

აღნიშნული დეფინიციიდან ნათლად ჩანს, რომ ანგარიშსწორებისას კომერციულ ბანკს აქვს ორი მთავარი ფუნქცია:

1. კლიენტის დავალებით აწარმოოს მისი ანგარიშიდან სხვა საბანკო ანგარიშზე ფულის გადარიცხვა სხვა გადახდებისათვის (მაგ., კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციული ჯარიმების და ა.შ.);

2. სხვა პირის მიერ კლიენტის საბანკო ანგარიშზე გამორიცხული თანხა ჩარიცხოს (ასახოს) კლიენტის ანგარიშზე.

რასაკვირველია, როგორც წესი, აღნიშნული მომსახურება ფასიანია და კლიენტს სხვადასხვა სახის საკომისიოს გადახდის სახით უხდება მომსახურების ღირებულების კომერციული ბანკისთვის გადახდა.

აუცილებელი მოთხოვნაა ის, რომ კომერციული ბანკი საბანკო ანგარიშსწორებას, მათ შორის ფულადი თანხების ანგარიშიდან ჩამოწერას, ახორციელებდეს მხოლოდ კლიენტის თანხმობითა და მისი დავალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია კლიენტს დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი და არასწორად ჩარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს კლი-

ენტის საბანკო ანგარიშზე. აღნიშნულ ვალდებულებას პირდაპირ ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 861-ე მუხლი.

კოდექსი ითვალისწინებს, რომ ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს გააუქმოს ბანკისათვის მიცემული დავალება, ვიდრე გადარიცხვა რეალურად არ მომხდარა. სხვა შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა შესრულებაზე უარის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სათანადო პირებს. ამასთან, დავალების დროულად გაუქმების შემთხვევაში ბანკი მოვალეა კვლავ აღადგინოს თანხა მფლობელის ანგარიშზე.

ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს კომერციული ბანკისგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი საბანკო ანგარიშიდან ამონაწერის მიღება და შესაბამისად, ბანკიც ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს აღნიშნული დავალება.

საბანკო ანგარიშის მფლობელები შეიძლება იყვნენ რეზიდენტი და არარეზიდენტი პირები. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის (შემდგომში – „ინსტრუქცია“) მიხედვით, რეზიდენტი პირში იგულისხმება რეზიდენტი ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქე) და რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს სანარმო ან საქართველოს ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად), ხოლო არარეზიდენტი პირში – იურიდიული პირი, აგრეთვე ფილიალი, წარმომადგენლობა, მუდმივი დაწესებულება, ორგანიზაცია რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და ფიზიკური პირი, რომლის არარეზიდენტობის საკითხს ბანკი ადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მოქალაქეობის მიხედვით.

ანგარიშის მფლობელებს შეუძლიათ ბანკში გახსნან და ანგარიშსწორება ანარმოონ სხვადასხვა სახის საბანკო ანგარიშითა და სხვადასხვა ვალუტაში<sup>74</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო ანგარიში შეიძლება გაიხსნას როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში და ის შეიძლება იყოს როგორც ერთვალუტიანი, ასევე მულტისავალუტო.

---

<sup>74</sup> Bankrecht. Wahrung, Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit, AGR, 40. Aufl., 2012, S. 18.

ერთვალუტიანი საბანკო ანგარიშში იგულისხმება ისეთი ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში (მაგ. მხოლოდ ევროში). რაც შეეხება მულტისავალუტო საბანკო ანგარიშს., მასზე ფულადი სახსრები შეიძლება აღრიცხოს რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე (მაგ., ლარშიც, აშშ დოლარშიც და ევროშიც). მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ანგარიში რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ ანგარიშს და ამიტომაცაა, რომ ამგვარი ანგარიშების ციფრების კომბინაცია ერთმანეთს ემთხვევა<sup>75</sup>.

აღსანიშნავია, რომ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მიხედვით, კომერციულ ბანკში პირს შეიძლება გაეხნას შემდეგი სახის ანგარიშები: ა) მიმდინარე ანგარიში; ბ) სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში; გ) საკორესპონდენტო ანგარიში; დ) საკასო მომსახურების ანგარიში; ე) ნომინალური მფლობელობის ანგარიში.

**ა) მიმდინარე ანგარიში.** აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს საბანკო ანგარიშის სახეს, რომელზეც აღრიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით<sup>76</sup>. აღნიშნული ტიპის ანგარიში მოიცავს საბარათე ანგარიშებსაც და ბინათმესაკუთრეთა მიერ გახსნილ საანგარიშგებო ანგარიშებსაც. აღნიშნული ანგარიშის ბანკში გახსნის უფლება აქვთ რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს, გარდა სხვა კომერციული ბანკისა. იგი შეიძლება გაიხსნას როგორც ეროვნულ (ლარში), ასევე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) და მიმდინარე ანგარიშის განმკარგველი შეიძლება იყოს როგორც ერთი პირი, ისე რამდენიმე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნულ ანგარიშს ეწოდება ერთობლივი ანგარიში და მისი განკარგვის უფლებამოსილება აქვს აღნიშნულ პირებს, როგორც წესი, ერთობლივად.

მიმდინარე ანგარიშის განკარგვის ცალკეული პირობები განისაზღვრება ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით.

**ბ) სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში.** აღნიშნული ანგარიში არ

---

<sup>75</sup> Bedingungen für den Überweisungsverkehr von 31.10.2009, S. 1558, in: Bankrecht. Währung, Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit, AGR, 40. Aufl., 2012.

<sup>76</sup> Dorotee Einsele. Bank- und Kapitalmarktrecht, Nationale und Internationale Bankgeschäfte, 2. Aufl., Tübingen, 2010, S.174.

წარმოადგენს, კლასიკური გაგებით, საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშს და მასზე აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები. გარდა ამისა, დეპოზიტად არ მიიჩნევა შიდასაბანკო ანგარიშებზე<sup>77</sup> ბანკის მიერ განთავსებული საბანკო გარანტიისა და აკრედიტივის უზრუნველყოფის თანხები, გაცემული გარანტიისა და გახსნილი აკრედიტივის ფარგლებში, ასევე გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით დაჯავშნული თანხები, ათვისებული ოდენობის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ სადეპოზიტო ანგარიშები, მიუხედავად ციფრობრივი ერთობლიობის თვალსაზრისით მიმდინარე ანგარიშთან მსგავსებისა, არ გამოიყენება ანგარიშსწორებისათვის. იგი უფრო დაგროვების ფუნქციის მატარებელია და ხელს უწყობს კომერციული ბანკის მიერ კლიენტისათვის ანაბრის განთავსებისას ტექნიკური პროცედურების განხორციელებას. ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულებაზე ქვემოთ ცალკე იქნება საუბარი და აღნიშნულ საკითხს დეტალურად იქ განვიხილავ.

**გ) საკორესპონდენტო ანგარიში.** აღნიშნული ანგარიში ძალზე სპეციფიკურია და ცალსახად განსხვავდება სხვა სახის საბანკო ანგარიშებიდან. მისი განმასხვავებელი მთავარი ნიშანი ის არის, რომ აღნიშნული სახის ანგარიშის გახსნის უფლება აქვს მხოლოდ ერთ კომერციულ ბანკს მეორე კომერციულ ბანკში. საკორესპონდენტო ანგარიშის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს ბანკებს ერთმანეთს შორის განხორციელებულ ანგარიშსწორებაში.

საქმე ის არის, რომ ანგარიშსწორების დიდი ნაწილი სხვადასხვა ბანკის კლიენტებს შორის ხორციელდება. ამიტომაც ბანკებს სჭირდებათ სხვა ბანკებში სპეციალური, საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა, რათა ერთმანეთს შორის მოახდინონ აქტივ-პასივების ურთიერთჩათვლა. ამასთან, ინსტრუქციის მიხედვით, სათავე ბანკებს საკორესპონდენტო ანგარიშები გაეხსნებათ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში ან სხვა (სათავე) კომერციულ ბანკში.

---

<sup>77</sup> შიდასაბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელიც არ არის კლიენტის საბანკო ანგარიში (ინსტრუქციის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტი);

**დ) საკასო მომსახურების ანგარიში.** აღნიშნული სახის საბანკო ანგარიში წარმოადგენს ბანკის, ბანკის ფილიალის, განყოფილების (სერვის-ცენტრის) ანგარიშს ეროვნულ ბანკში და/ან სხვა კომერციულ ბანკში (მის ფილიალში), რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციების, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციების, ასევე ამ ანგარიშზე არსებული თანხების სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე გადარიცხვის მიზნებისათვის.

როგორც აღნიშნული განმარტებიდან ნათლად ჩანს, ამ ანგარიშის გახსნის უფლება აქვს მხოლოდ კომერციულ ბანკს (მის ფილიალს ან სერვის-ცენტრს) საქართველოს ეროვნულ ბანკში ან სხვა კომერციულ ბანკში (ან მის ფილიალში) და ეს ანგარიში ძირითადად გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების განსახორციელებლად, აგრეთვე საკორესპონდენტო ანგარიშებით ანგარიშსწორების ხელშეწყობისათვის. ამასთან, კომერციულ ბანკს, მის ფილიალს ან განყოფილებას (სერვის-ცენტრს) საკასო მომსახურებისათვის ეროვნულ ბანკში ან/და კომერციულ ბანკში (ან მის ფილიალში) შეიძლება გაეხსნას მხოლოდ ერთი საკასო მომსახურების ანგარიში თითოეულ ვალუტაში.

**ე) ნომინალური მფლობელობის ანგარიში.** აღნიშნული სახის საბანკო ანგარიში იყოფა ორ ტიპად: ნომინალური მფლობელობის ერთობლივ ანგარიშად და ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიშად.

ნომინალური მფლობელობის ერთობლივ ანგარიშში იგულისხმება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობისა და ხელშეკრულების (სანოტარო აქტის) საფუძველზე განსაზღვრული, მისი კლიენტის (კლიენტების) ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხავად.

რაც შეეხება ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებულ ანგარიშს, მასში მოიაზრება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, რომელიც გამოიყენება კანონმდებლობისა და ხელშეკრულების (სანოტარო

აქტის) საფუძველზე განსაზღვრული, მისი ერთი კლიენტის ან/და ერთი რეგისტრირებული მესაკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად.

ისევე როგორც სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშს, ნომინალური მფლობელის ანგარიშიც არ წარმოადგენს, კლასიკური გაგებით, ანგარიშსწორების ანგარიშს და იგი უფრო „სეიფში შენახვის“ მსგავსი ფუნქციის მატარებელია. ამიტომაცაა, რომ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე აკრძალულია უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალებით ოპერაციების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება ჩაირიცხოს ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს კლიენტის დავალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კლიენტთან ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკი ვალდებულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშის მფლობელისაგან მოიპოვოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.

ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ანგარიშის მფლობელის დავალებით ბანკი ახორციელებს ოპერაციებს კანონმდებლობის და კლიენტთან დადებული ხელშეკრულების ან სანოტარო აქტის ფარგლებში.

ზემოთ მითითებული პირობებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ანგარიშის გახსნისას რეზიდენტ ან არარეზიდენტ პირს უფლება აქვს მომსახურებისათვის აირჩიოს ერთი ან რამდენიმე ბანკი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანგარიშის გახსნა და მომსახურება ხორციელდება მხარეთა შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე<sup>78</sup>. კანონმდებლობის მიხედვით,

---

<sup>78</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 581.

დასაშვებია, რომ კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ ელექტრონული ფორმით იყოს გაფორმებული. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ქართული კომერციული ბანკი კლიენტთან აფორმებს ზოგადი ხასიათის, ე.წ. „გენერალური მომსახურების ხელშეკრულებას“, სადაც მითითებულია კომერციული ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული სხვადასხვა საბანკო პროდუქტის მომსახურების შესახებ, ხოლო ცალკეული მომსახურების ტარიფები კი მოცემულია შესაბამისი კომერციული ბანკის ვებგვერდზე. შესაბამისად, „გენერალური მომსახურების ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით კლიენტი უერთდება ბანკის საიტზე განთავსებულ მომსახურების სტანდარტულ პირობებს, რომელიც შეიძლება ბანკის მიერ პერიოდულად იცვლებოდეს კიდევ. ეს კი, საბოლოო ჯამში, ხშირად კლიენტების მხრიდან ინვეს დიდ გაუგებრობებსა და უკმაყოფილებას, რადგან აღმოჩნდება, რომ ბანკთან თავდაპირველად შეთახნმებული ტარიფები შეცვლილია (როგორც წესი, ბანკის სასარგებლოდ).

სწორედ ამის გამო ინსტრუქციაში მითითებულია, რომ საბანკო მომსახურების (ანგარიშის გახსნის) შესახებ ხელშეკრულების პირობებზე კლიენტის მიერ თანხმობის ელექტრონული ფორმით გამოხატვის შემთხვევაში, ბანკმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი ხელშეკრულების და მასში შეტანილი ცვლილებების შენახვა თავდაპირველი შინაარსისა და ფორმის დაცვით.

ანგარიშის გახსნისას ბანკს უფლება აქვს პირს (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა), რომელსაც ამავე ბანკში უკვე გახსნილი აქვს ანგარიში, გაუხსნას ახალი ანგარიში მხოლოდ განაცხადისა და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე, ხოლო არამეწარმე ფიზიკურ პირს – მხოლოდ განაცხადის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ანგარიშის გახსნისას ბანკმა უნდა მოახდინოს კლიენტის გადამოწმება (ვერიფიკაცია).

არსანიშნავია, რომ ინსტრუქცია დეტალურად ადგენს ჩამონათვალს იმ დოკუმენტებისა, რაც უნდა იქნეს წარდგენილი კომერციულ ბანკში კლიენტის მიერ ანგარიშის გახსნისას. მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ არის ანგარიშის გამხსნელი – რეზიდენტი თუ არარეზი-

დენტი პირი, ფიზიკური პირია იგი თუ იურიდიული პირი, თავად კომერციული ბანკია ანგარიშის გამხსნელი თუ ამხანაგობა და ა.შ.

ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტები, გარდა ანგარიშის გახსნისათვის საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი კანონქვემდებარე აქტებისა (მაგალითად, ს.ს.ი.პ. ან საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშის გახსნისას), ბანკს წარედგინება ორიგინალის ან შესაბამისი წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული ასლის სახით ანგარიშის გახსნასა და/ან განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადად ანგარიშის გამხსნელი ფიზიკური პირის მიერ. ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში და ანგარიშის გასახსნელად ბანკისთვის წარედგინილი ნებისმიერი დოკუმენტის ასლი მოწმდება ნოტარიუსის ან ბანკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლის მიერ, ხოლო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ამოწმებს ბანკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელი.

ბანკს, კანონმდებლობის მიხედვით, უფლება აქვს პირის თანხმობის საფუძველზე ბანკსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს პირის პირადობის დადასტურებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირებს შორის შესაძლებელია ანგარიშსწორების განხორციელება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, თუ ეს დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით. ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ შეზღუდვებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც იკრძალება უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის მიხედვით, დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება, გარდა:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მინოდებასა და/ან მომსახურების განწევასთან დაკავშირებული გადახდებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექპორტ-იმპორტთან;

ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში<sup>79</sup> რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდებისა.

ამასთან, აუცილებელია, რომ უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას გადარიცხვის დოკუმენტებში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება.

იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 30000 ლარს ან ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი ვალდებულია გადამხდელი მენარმე სუბიექტისაგან დამატებით მოითხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. ბანკი ვალდებულია შეინახოს ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები. ასლების შენახვა შესაძლებელია ელექტრონული ასლის ფორმით. აღნიშნული შეზღუდვა განპირობებულია „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ გადახდებზე.

თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ შეზღუდვებიდან და კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, კომერციულ ბანკებს ევალებათ ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას. კომერციული ბანკის აღნიშნული ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. აღნიშნული საკითხის მოგვარებას სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ ავალდებულებს ბანკს.

საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ ნებისმიერ დროს<sup>80</sup>. ამასთან, სამოქალაქო კოდ-

---

<sup>79</sup> თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ პირებთან დაკავშირებით იხ. „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონი.

<sup>80</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: Paul H. Assies, Dirk Beule, Julia

ექსის 864-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკრედიტო დანესე-  
ბულებას შეუძლია მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ  
ანგარიშის მფლობელმა სხვაგვარად შეძლოს საანგარიშსწორებო  
მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეწყვეტი-  
სათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

რაც შეეხება ინსტრუქციას, მისი მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის  
მიხედვით, ბანკში პირის ანგარიში დაიხურება:

ა) ანგარიშის მფლობელის განცხადებით;

ბ) ლიკვიდატორის განცხადებით (გარდა ეროვნულ ბანკში  
გახსნილი სალიკვიდაციო ანგარიშებისა) და/ან პირის ლიკვიდა-  
ციის პროცესის დასრულების შემთხვევაში;

გ) ეროვნულ ბანკში გახსნილი კომერციული ბანკის სალიკვი-  
დაციო ანგარიშის შემთხვევაში – ლიკვიდაციის დასრულების შეს-  
ახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
შესაბამისად;

დ) ფილიალის შემთხვევაში – მისი სათავო საწარმოს (ორ-  
განიზაციის) განცხადებით, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციის  
შემთხვევაში – ანგარიშის გახსნაზე თანხმობის გამცემი ორგანოს  
განცხადებით;

ე) ფიზიკური პირის მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მონმო-  
ბის წარმოდგენის შემთხვევაში, გარდა სპეციალურად გათვალ-  
ისწინებული შემთხვევებისა;

ვ) დადგენილი წესით პირის (გარდა არამენარმე ფიზიკური  
პირის) გაკოტრებულად ცნობის შემთხვევაში;

ზ) სასამართლოს გადაწყვეტილებით;

თ) ანგარიშზე ანგარიშის მომსახურებისათვის და/ან დახურ-  
ვისათვის ბანკში განსაზღვრული საკომისიოს ოდენობის ნაშთის  
და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ოპერაციების არარსე-  
ბობისას, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს;

ი) მოქმედი კანონმდებლობისა და საბანკო მომსახურების  
ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ბანკს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მე-12 მუხლის

---

Heise, Hartmut Stube, Patrik Rösler. Handbuch des Fachanwalts. Bank- und  
Kapitalrecht, 2. Aufl., Köln, 2010, S. 212.

მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის (ანგარიშების) არდახურვის შესახებ იმ შემთხვევებში, თუკი ამავე კლიენტს ბანკში გახსნილი აქვს სხვა ანგარიში (ანგარიშები), რომლებზეც იმავე პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა კლიენტის ოპერაციები.

## **§2. IBAN – საბანკო ანგარიშებით ანგარიშსწორება**

იმისათვის, რომ ამა თუ იმ საბანკო ანგარიშიდან ანგარიშსწორება განხორციელდეს, აუცილებელია, რომელიმე სახის ანგარიშის არსებობა.

2010 წლამდე საქართველოში საბანკო ანგარიში წარმოადგენდა არაბული ციფრების ერთობლიობას და შესაბამისად, ანგარიშსწორების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო როგორც ანგარიშის მიმღების საბანკო ანგარიშის, ისე მიმღები ბანკის სპეციალური საბანკო კოდის ცოდნაც.

თავისი ლოკალური შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ საბანკო ანგარიშებზე ტრანსაქციების განხორციელება ბევრ ტექნიკურ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რაც აფერხებდა დროული ტრანსაქციების წარმოებას.

2010 წლის 17 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №44/01 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს საბანკო დანესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქცია“, რომელმაც საქართველოს კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება გამოიწვია.

კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ საქართველოს საბანკო ლიცენზიის მქონე ყველა ბანკი 2010 წლის 3 მაისიდან, ვალდებულია კლიენტებისთვის ახალი საბანკო ანგარიშების გახსნისას (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში), ანგარიშს მიანიჭოს სპეციალური საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელსაც შემოკლებით საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში IBAN-ს უწოდებენ. IBAN-ი წარმოადგენს ინგლისური ტერმინის – International Bank Account Number შემოკლებას და სწორედ აღნიშნული აბრევიატურით გამოიყენება იგი პრაქტიკაშიც.

რაც შეეხება აღნიშნული ინსტრუქციის ამოქმედებამდე არსებულ საბანკო ანგარიშებს, კომერციულ ბანკებს დაევალებათ, რომ ყველა ანგარიშის გარდაქმნა IBAN-ის ანგარიშებად უნდა დასრულდეს 2013 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნული ინსტრუქციის მიზანია საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების პრინციპებისა და პროცედურის დადგენა, საბანკო ანგარიშების ნომრის სტანდარტიზაცია, საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენებით უნაღლო ანგარიშსწორების ხელშეწყობა და საერთაშორისო გადარიცხვების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის სიზუსტის ხარისხის გაზრდა. აგრეთვე, ამ ინსტრუქციით განისაზღვრება საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის სტრუქტურა და ფორმატი, გენერირებისა და ვალიდაციის (სანდოობის შემოწმება) ტექნიკა, ასევე ელექტრონულ და მატერიალიზებულ დოკუმენტებზე საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის ასახვის მოთხოვნები.

ინსტრუქციის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN) წარმოადგენს ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით და ISO 13616 სტანდარტის შესაბამისად გენერირებულ უნიკალურ საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც წარმოადგენს ლათინური სიმბოლოებისა და არაბული ციფრების 22 (ოცდაორი) ერთეულის კომბინაციას, და რომელიც გამოიყენება საბანკო ანგარიშის აღნიშვნისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ IBAN-ი, ძველი საბანკო ანგარიშებისგან განსხვავებით, არის მრავალი სიმბოლოს კომბინაცია და მასში გაერთიანებულია როგორც არაბული ციფრები, ასევე ლათინური სიმბოლოებიც.

როგორც აღინიშნა, საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გენერირებული IBAN შედგება 22 (ოცდაორი) სიმბოლოსაგან და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) ქვეყნის კოდს;
- ბ) საკონტროლო გასაღებს;
- გ) ბანკის კოდს;
- დ) ბანკის მიერ ანგარიშისათვის მინიჭებული არაბული ციფრების კომბინაციას.

IBAN-ში აკრძალულია ნებისმიერი სიმბოლოს გამოყენება,

გარდა არაბული ციფრებისა 0-დან 9-მდე და ლათინური დიდი ზომის სიმბოლოებისა A-დან Z-მდე. ამასთან, IBAN არის ერთიანი და დაუშვებელია მისი რომელიმე ნაწილის განცალკევებით გამოყენება ანგარიშსწორებისას ან საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

ინსტრუქციის მე-6 და მე-7 მუხლები ზუსტად განსაზღვრავენ კომერციული ბანკების მიერ IBAN-ის გამოყენებისა და მათი შემონახვის (ვალიდაციის) წესებს. კერძოდ, მე-6 მუხლის მიხედვით, კომერციული ბანკები ვალდებული არიან:

ა) უზრუნველყონ IBAN-ის გამოყენება ბანკის კლიენტების ანგარიშების მიმართ (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), ასევე შიდასაბანკო ანგარიშების მიმართ (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), რომლებიც გამოიყენება ბანკთაშორის ანგარიშსწორებაში;

ბ) უზრუნველყონ IBAN-ის გამოყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ანგარიშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ, როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ ფორმებზე დოკუმენტზე;

გ) უზრუნველყონ IBAN-ის გამოყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ანგარიშებთან დაკავშირებულ ელექტრონულ საგადახდო შეტყობინებებში და ამ ანგარიშებთან დაკავშირებული ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულებისას;

დ) უზრუნველყონ IBAN-ის ვალიდაცია ამ ინსტრუქციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

ე) ამ ინსტრუქციით დადგენილ ვადებში, სხვა სახის ანგარიშის ნომრით აღნიშნული ანგარიშებისათვის მოახდინონ IBAN-ის გენერირება და უზრუნველყონ ანგარიშის მფლობელის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.

ბანკი ვალდებულია IBAN-ის გენერირება მოახდინოს ინსტრუქციის სპეციალურ დანართში აღწერილი პროცედურის შესაბამისად. ანგარიშის ნომერი, რომლის გენერირების პრინციპი არ შეესაბამება ამ ინსტრუქციას, მიიჩნევა სხვა სახის ანგარიშის ნომრად. გარდა ამისა, ბანკი ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს თავისი შიდა საბანკო სისტემების მზადყოფნა IBAN-ის გამოყენებისათვის.

რაც შეეხება კომერციული ბანკის მიერ IBAN-ის შემოწმების (ვალიდაციის) პროცესს, იგი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) ქვეყნის კოდის შემოწმებას;

ბ) ფორმატში სიმბოლოების რაოდენობის კონტროლს ქვეყნის კოდის მიხედვით;

გ) ორნიშნის რიცხვითი საკონტროლო გასაღების შემოწმებას;

დ) ფორმატის შემადგენელი ალფაბეტური და ციფრული სიმბოლოების სტრუქტურის კონტროლს (მხოლოდ საქართველოს ბანკების მიერ გენერირებული IBAN-თვის);

ე) IBAN-ში ბანკის აღმნიშვნელი კოდის კონტროლს (მხოლოდ საქართველოს ბანკების მიერ გენერირებული IBAN-თვის).

ინსტრუქცია ითვალისწინებს, რომ კომერციული ბანკების მიერ გამოსაყენებელი IBAN-ის ფორმატის რეგისტრაცია მოახდინოს ეროვნულმა ბანკმა მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოებაში (SWIFT). ამიტომაცაა, რომ ეროვნული ბანკი ყველა კომერციულ ბანკს ანიჭებს სპეციალურ ორნიშნა ბანკის კოდს და უზრუნველყოფს მის რეგისტრაციას მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოებაში (SWIFT). ამასთან, ბანკის კოდი წარმოადგენს ორი ლათინური სიმბოლოს კომბინაციას, რომელიც წარმოადგენს IBAN-ის ნაწილს და გამოიყენება იმ ბანკის იდენტიფიკაციისათვის, რომელშიც გახსნილია ანგარიში;

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ბანკის კოდების ცნობარის წარმოებას, გამოქვეყნებასა და მომსახურებას. ბანკის კოდები ქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე – [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

რაც შეეხება მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოებას – SWIFT-ს (The Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication), იგი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტელესაკომუნიკაციოსისტემას, რომელიც მომსახურებას უწევს ფინანსურ კომპანიებს (ძირითადად კომერციულ ბანკებს), რაც გამოიხატება სხვადასხვა

ფინანსური ხასიათის ინფორმაციების გადაცემაში. ეს სისტემა დაარსებულ იქნა ბრიუსელში, 1973 წელს, 15 ქვეყნის 239 ბანკის მიერ<sup>81</sup>.

დღეისათვის SWIFT სისტემა აერთიანებს ორასი ქვეყნის 7500-ზე მეტ ფინანსურ კომპანიას. მათ შორის არიან ბანკები, საინვესტიციო კომპანიები, საბროკერო ფირმები, ბირჟები, საკლირინგო პალატები და სხვა ფინანსური ორგანიზაციები.

SWIFT-ი ითვლება ფინანსური ტელეკომუნიკაციების სფეროში წამყვან კომპანიად, რომელიც ყოველდღიურად მილიონობით ფინანსური ინფორმაციის გადაცემას ახორციელებს თავისი არხების მეშვეობით დაბალი მომსახურების საკომისიოს და მაღალი უსაფრთხოების სისტემების მეშვეობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, SWIFT-ი აქტიურად მუშაობს ბანკებისთვის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტების შექმნაზეც. ასე, მაგალითად, სწორედ SWIFT-ის შექმნილია ISO 9362 (ბანკების საიდენტიფიკაციო კოდები BIC) და ISO 15022 (ფასიანი ქაღალდების შესახებ შეტყობინებათა სტანდარტი).

SWIFT-ის ბაზაზეა შექმნილი 50-ზე მეტი ქვეყნის ნაციონალური საკლირინგო სისტემები. იგი ითვლება ევრობანკინგის ასოციაციის (Euro Banking Association) მთავარ საანგარიშსწორებო სისტემად და ცნობილი „TARGET“ სისტემის საფუძვლად. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში, SWIFT-ის ბაზაზე აწყობილი სისტემები უზრუნველყოფენ მთელი მსოფლიოს ფულადი საკლირინგო გადარიცხვების 60%-ზე მეტს და ამ სისტემას აქტიურად იყენებს მსოფლიოს „დიდი შვიდეულიდან“ ხუთი – დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, კანადა და საფრანგეთი<sup>82</sup>.

ამიტომაცაა, რომ აღნიშნულ სისტემებს აქტიურად იყენებენ ქართული ბანკებიც და კომერციული ბანკების მიერ გამოსაყენებელი IBAN-ის ფორმატის რეგისტრაციას ეროვნული ბანკი სწორედ ამ სისტემაში ახდენს.

---

<sup>81</sup> იხ. ვებგვერდი: [www.swift.com](http://www.swift.com)

<sup>82</sup> SWIFT-ის სისტემების გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. <http://corefin.ru>-ზე;

### § 3. საბანკო პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება

ანგარიშსწორების ხელშეკრულებას პირდაპირ უკავშირდება საბანკო პლასტიკური ბარათები და მათი სამართლებრივი პრობლემატიკა. თანამედროვე პირობებში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება იმდენად ხშირი გახდა, რომ სპეციალისტებსაც კი უჭირთ მკვეთრი ზღვარის გავლება, თუ სად იწყება პლასტიკური ბარათებით ტრანსაქციები და სად სრულდება ანგარიშსწორება<sup>83</sup>.

საბანკო პლასტიკური ბარათები ადამიანთა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც მინიმალური ლეგალური შემოსავალი მაინც აქვს და არ ჰქონია პრაქტიკული შეხება საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენებასთან.

საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათებით ტრანზაქციების განხორციელება აქტიურად ბოლო ათწლეულში განვითარდა. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის ხელფასს საბანკო პლასტიკური ბარათებით იღებს. ეს ფორმა მოქმედებს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისათვის. მაგრამ, საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელთა დიდ ნაწილს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს მათ შინაარსსა და ბარათებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებზე.

თავად პლასტიკური ბარათი არ წარმოადგენს ფასიან ქალაქს. ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვისთვის გადასაცემად, გასასხვისებლად ან დასაგირავებლად. პლასტიკური ბარათი წარმოადგენს ანგარიშსწორების ინსტრუმენტს, რომლის მიხედვითაც ხდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის საბანკო ანგარიშიდან თანხის განაღდება ან სხვაგვარი ტრანსაქცია.

ისევე, როგორც ნებისმიერი ინოვაციური პროდუქტის შემოტანამ, პლასტიკური ბარათების საქართველოში დანერგვამაც მრავალი სამართლებრივი პრობლემა შექმნა. ხშირია შემთხვევები არასწორი ტრანსაქციების, ბარათებისა და მისი ე.წ. „პინ-კო-

---

<sup>83</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 1948.

დების“ ერთად ტარებისა და მათი მოპარვის შემთხვევები, ჰაკერების მიერ საბარათე ანგარიშების „გატეხვისა“ და ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შემთხვევები და ა.შ.<sup>84</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ჯერ 2007 წლის 15 მარტის #70 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ დებულება“ (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „დებულება“), ხოლო მოგვიანებით 2011 წლის 16 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №38/04 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საგადახდო ბარათების შესახებ დებულება“ (შემდგომში – დებულება), რომელმაც გააუქმა „საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ“ დებულება და ახლებურად დაარეგულირა საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივი საკითხები.

2011 წლის 16 მაისს მიღებული დებულების ძირითადი არსის არის, რომ მან პლასტიკური ბარათები გააერთიანა ერთიან ცნებაში – საგადახდო ბარათებში. თავად საგადახდო ბარათებში კი ცალკე გამოყო პერსონიფიცირებული<sup>85</sup> და არაპერსონიფიცირებული<sup>86</sup> ბარათები, სადებეტო<sup>87</sup> და საკრედიტო<sup>88</sup> ბარათები, ნი-

---

<sup>84</sup> აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას ევროპაშიც. ევროკავშირი სპეციალური მკაცრი ზომების შემოტანით ცდილობს დაიცვას პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ტრანსაქციები არასანქცირებული ჩარევისაგან. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 1339.

<sup>85</sup> პერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც ასახულია მფლობელის სახელი (შესაძლოა, მხოლოდ ინიციალი) და გვარი. ასევე, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი ჩანერილია ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;

<sup>86</sup> არაპერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც არ არის ასახული ბარათის მფლობელის სახელი ან/და გვარი. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია არ არის ჩანერილი მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;

<sup>87</sup> სადებეტო ბარათი – ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტსა და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე ისარგებლოს ოვერდრაფტით;

<sup>88</sup> საკრედიტო ბარათი – ბარათი, რომელიც ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბარათის მფლობელს საშუალებას

ნასწარი გადახდის<sup>89</sup>, ვირტუალური<sup>90</sup> და კომერციული<sup>91</sup> ბარათები.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვფიქრობ, რომ ძირითად საგადახდო ბარათს პლასტიკური ბარათი წარმოადგენს და შესაბამისად, სამართლებრივი რეგულირებისას სწორედ მათ უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

2011 წლის 16 მაისის დებულების პირველი მუხლის მიხედვით, „ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოში კომერციული ბანკების (შემდგომში – ბანკი) მიერ უნაღდო გადახდების ინსტრუმენტის – საგადახდო ბარათების (საკრედიტო, სადებეტო, წინასწარი გადახდის და სხვ.) გამოშვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ემიტენტსა და ბარათის მფლობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, ასევე მოთხოვნებს, რის საფუძველზეც მოხდება მხარეთა ინტერესების დაცვა.

დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, საგადახდო ბარათი (შემდგომში – ბარათი) არის ბანკის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტი (მათ შორის საბანკო პლასტიკური ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდა, ნაღდი ფულის მიღება, ვალუტის გადაცვლა, ფულადი გზავნილის განხორციელება და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ოპერაციების შესრულება.

---

აძლევს ოპერაციები მოახდინოს ემიტენტის მიერ მინიჭებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში; საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით იხ. *Kommentar zum Kreditrecht. Praxiskommentar zum darlehens- und Kreditsicherungsrecht des BGB*, Hrsg. Gerd Noble, Band 1, 2. Aufl., Heidelberg, 2012, S. 477.

<sup>89</sup> წინასწარი გადახდის ბარათი – ბარათი, რომელიც არ საჭიროებს ბარათის მფლობელის ან ბარათის შემძენის სახელზე საბარათე ანგარიშის გახსნას. აღნიშნული ბარათით ოპერაციები სრულდება მხოლოდ წინასწარ ჩარიცხული თანხის ფარგლებში (საკრედიტო ლიმიტი არ დაიშვება);

<sup>90</sup> ვირტუალური ბარათი – მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ემიტენტის მიერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით;

<sup>91</sup> კომერციული ბარათი – სადებეტო ან საკრედიტო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის ან მენარმე ფიზიკური პირის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები;

ზემოაღნიშნული დეფინიციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბანკო პლასტიკურ ბარათს აქვს შემდეგი ფუნქციები:

ა) საბანკო პლასტიკური ბარათი არის საგადაამხდლო ინსტრუმენტი;

ბ) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია უნაღდო ანგარიშსწორება პროდუქციის ან მომსახურების შესაძენად;

გ) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია ნაღდი ფულის მიღება (ანგარიშზე განთავსებული თანხის განაღდება);

დ) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია ვალუტის გაცვლა (კონვერტაცია);

ე) საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია კანონმდებლობით დაშვებული სხვა ოპერაციების განხორციელება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საბანკო პლასტიკური ბარათების გამოშვებას (ემისიას) ახორციელებს ემიტენტი ბანკი. ბარათის ემისია მოიცავს შემდეგი პროცედურების განხორციელებას: ა) ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას; ბ) საბანკო ანგარიშის გახსნას; გ) ბარათის პერსონიფიცირებას; დ) ბარათის და პინ-კოდის გაცემას; ე) ბარათების საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებას.

იმისათვის რომ, სწორად გავერკვეთ საბანკო პლასტიკური ბარათების სამართლებრივ პრობლემებში, უფრო დეტალურად განვიხილოთ ბარათის თითოეული ფუნქცია.

**ა) საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც საგადაამხდლო ინსტრუმენტი.**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბარათი არ არის ფასიანი ქაღალდი. იგი წარმოადგენს ემიტენტი ბანკის მიერ, სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, ემიტირებულ (გამოშვებულ) პლასტიკისაგან დამზადებულ ბარათს. მასზე ე.წ. „მაგნიტურ ზოლზე“ ან სპეციალური „მიკროჩიპის“ საშუალებით დატანილია ინფორმაცია ბარათის მფლობელის ანგარიშზე არსებული თანხების შესახებ.

იმისათვის, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირი გახდეს საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელი, იგი ვალდებულია ემიტენტი ბანკთან გააფორმოს სპეციალური ხელშეკრულება „ბარათით მომსახურების შესახებ“. აღნიშნული ხელშეკრულება, ისევე როგორც კომერციული ბანკების მიერ კლიენტებთან გა-

ფორმებული საბანკო მომსახურების შესახებ სხვა ტიპის ხელშეკრულებები, წარმოადგენს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. აღნიშნული პირობები, როგორც წესი, კომერციული ბანკის მხრიდან წინასწარაა დადგენილი და მასში კლიენტის მხრიდან ცვლილებების შეტანა ან შენიშვნების გათვალისწინება იშვიათად ხდება.

დებულების მე-3 მუხლი ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა აუცილებელ პირობებს უნდა შეიცავდეს ემიტენტ ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ბარათით მომსახურების შესახებ“. კერძოდ, ასეთი აუცილებელი პირობებია:

- ა) ბარათის დასახელება და ტიპი;
- ბ) ბარათის გამოყენების წესი, შეზღუდვები, ყველა შესაძლო საკომისიო და საპროცენტო განაკვეთი;
- გ) ბარათის სტოპ-სიაში შეყვანის, გაუქმებისა და ამოღების წესები;
- დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- ე) ბარათის დაკარგვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
- ვ) ბარათით წარმოებული ოპერაციების და სხვა უზუსტობების გასაჩივრების ვადები;
- ზ) დავის გადაწყვეტის პროცედურა და ვადები;
- თ) საჯარიმო სანქციების ამოქმედების წესი;
- ი) შესრულებულ ოპერაციებზე ინფორმაციისა და/ან ანგარიშიდან ამონაწერის მიწოდების პირობები.

„ბარათით მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რამდენიმე კალენდარულ დღეში, ხდება შესაბამისი კატეგორიის საბანკო პლასტიკური ბარათის დამზადება და მისი საგადამხდლო ინსტრუმენტად გამოყენება.

დებულება განსაზღვრავს იმ ძირითად პარამეტრებს, რაც აუცილებელია საბანკო პლასტიკური ბარათების დამზადებისა და იდენტიფიცირებისათვის. კერძოდ, საბანკო პლასტიკური ბარათის იდენტიფიკაციის მიზნით, აგრეთვე ბარათის არასანქცირებული მოხმარებისაგან დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნეს სულ მცირე ქვემოთ მოცემული მექანიზმებიდან ერთ-ერთი: ა) საბარათე ქვითარზე ხელმოწერის შედარება ბარათზე დატანილ ხელმოწ-

ერასთან; ბ) პინ-კოდი; გ) ელექტრონული (ინტერნეტ) გადახდის დროს ბარათის უკანა მხარეს არსებული „ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი“ (CVC2 ან CVV2), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არარეზიდენტი პირი მომსახურების/საქონლის მიწოდებისას არ ითხოვს ასეთ ინფორმაციას. ამასთან, დამატებითი იდენტიფიცირების მიზნით დასაშვებია მფლობელის სურათის დაბეჭდვა ბარათზე.

როგორც წესი, ბარათს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ელექტრონული ავტორიზაციისათვის საჭირო ერთ-ერთი მექანიზმი: მაგნიტური ზოლი, ჩიპი; მაგნიტური ზოლი და ჩიპი ერთად და სხვა, სადაც დაშიფრული სახით ჩანერილი იქნება ბარათის მფლობელის მონაცემები. ამასთან, ბარათზე მითითებული უნდა იყოს: ბარათის წინა მხარეს – კლიენტის სახელი და გვარი (შესაძლებელია სახელის შემოკლება ან ტიტულის დამატება). ამის კარგი მაგალითია ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით კი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია, როგორც უდიდესი საბანკო ტრადიციების მქონე ქვეყნები. კერძოდ, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ხშირად გამოიყენება არისტოკრატიული წარმოშობის დამადასტურებელი ტიტულები, როგორიცაა გრაფი, ლორდი, სერ; აგრეთვე სამეცნიერო ხარისხის ან აკადემიური თანამდებობის აღმნიშვნელი ისეთი შემოკლებები, როგორიცაა პროფ. დოქ. და სხვ.), ბარათის მოქმედების ვადა (ძირითადად მიეთითება თვე და წელი, – ზ.გ.), საბარათე საგადაამხდლო სისტემისა (მაგალითად, VISA, MasterCard, American Express და ა.შ.) და ემიტენტის დასახელება (მაგ., თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ბანკი რესპუბლიკა და ა.შ.), მათი ლოგოტიპები (საფირმო ნიშნები, ბრენდები, კონკრეტული საბანკო პროდუქტის ლოგოები (მაგ. საქართველოს ბანკის მიერ ემიტირებულია სპეციალური ბარათი „სოლო“, სპეციფიკური ლოგოთი და ა.შ.), ბარათის ნომერი (საერთაშორისო საგადაამხდლო სისტემის ასოციაციებთან (VISA International, MasterCard Incorporated, American Express Company) შეთანხმებით, გამონაკლისი დაიშვება „ბარათის ნომრის“ მითითებასთან დაკავშირებით); ბარათის უკანა მხარეს – ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი (ე.წ. CVC ან CVV2 – ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კლიენტის ხელმოწერის ადგილი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პლასტიკური

ბარათის უკანა მხარეს გამოყოფილ სპეციალურ ადგილს, სადაც ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის მიღებისთანავე გააკეთოს მისი ხელმოწერის ნიმუში (ფაქსიმილე), რომელიც აღიქმება პირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ საშუალებას ბარათით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

პლასტიკური ბარათის დამზადების შემდგომ ხდება მისი ბარათის მფლობელზე გადაცემა. ბარათის გადაცემასთან ერთად, კლიენტს გადაეცემა ბარათის მოხმარების წესები და სპეციალური პინ-კოდი.

ბარათის პინ-კოდი წარმოადგენს სპეციალურ უნიკალურ კოდს, რომელიც არის პერსონიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნომერი. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოსტ-ტერმინალებში ტრანსაქციების შესასრულებლად. საქართველოში საბანკო პლასტიკური ბარათის პინ-კოდი ძირითადად შედგება ოთხი ციფრისაგან, თუმცა უცხოეთის ბანკების მიერ გაცემული პლასტიკური ბარათების პინ-კოდები უფრო მეტი ციფრის კომბინაციისაგან შედგება. ასე, მაგალითად, აშშ-სა და ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედ კომერციულ ბანკებში დაიშვება თორმეტიანი კოდების გამოყენებაც.

საბანკო პლასტიკური ბარათის პინ-კოდი მიიჩნევა ბარათის მფლობელის ელექტრონულ იდენტიფიკატორად და შესაბამისად, დაუშვებელია ფურცელზე დანერილი პინ-კოდის ტარება პლასტიკურ ბარათთან ერთად, რადგან მათი მოპარვის შემთხვევაში, ბარათის უკანონო მფლობელს თავისუფლად შეეძლება ბარათზე არსებული ლიმიტის სრულად განაღდება ბანკომატიდან ან პოსტ-ტერმინალების მეშვეობით სასურველი პროდუქციის შეძენა.

**ბ) საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება პროდუქციის ან მომსახურების შესაძენად.**

საბანკო პლასტიკური ბარათი „მიბმულია“ კონკრეტულ საბარათე ანგარიშთან. საბარათე ანგარიში შეიძლება იყოს როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარში), ასევე თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებში (აშშ დოლარში, ევროში და ა.შ.). ბოლო წლებში საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული პლასტიკური ბარათების უმრავლესობა ე.წ. „მულტისავალუტოა“,

რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ბარათის „მიბმა“ შესაძლებელია რამდენიმე საბარათე ანგარიშზე, საიდანაც ერთი ანგარიშში გახსნილია ქართულ ლარში, მეორე ანგარიში აშშ დოლარში, ხოლო მესამე ანგარიში – ევროში. ამ შემთხვევაში, ემიტენტი ბანკი ბარათის გაცემისას ბარათის მფლობელს სთხოვს დააფიქსიროს ბანკში რომელიმე სავალუტე ანგარიშის პრიორიტეტი სხვა ანგარიშებთან მიმართებაში. ასე, მაგალითად, ბარათის მფლობელს შეუძლია მიუთითოს, რომ პრიორიტეტის მიხედვით პირველ ადგილზე იქნება ლარი, მეორეზე ევრო, ხოლო მესამეზე – აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ საბარათე ანგარიშებზე პრიორიტეტების მინიჭებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ვალუტაში არსებული საბარათე ანგარიშები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია<sup>92</sup>. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ანგარიშის პრიორიტეტად ბანკში მითითებული აქვს ევრო და აღნიშნული ბარათით უნაღდო ანგარიშსწორებით ყიდულობს საქონელს ქართულ მაღაზიაში ლარში, მაშინ ბარათის პოსტ-ტერმინალში გატარებისას, აღნიშნული ნასყიდობის თანხა კლიენტს ჩამოეჭრება არა სალარე ანგარიშიდან, არამედ ევროს ანგარიშიდან შესაბამისი კონვერტაციის კურსით, რაც, როგორც წესი, ნამგებიანია ბანკის მიერ ევროს ლართან ყიდვა-გაყიდვის კურსებს შორის არსებული სხვაობის გამო. ამიტომ საბარათე ანგარიშზე პრიორიტეტულობის განსაზღვრას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საბანკო პლასტიკური ბარათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მისი საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორება. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ბარათის მფლობელს იმ სავაჭრო ან მომსახურების ობიექტებში, რომელშიც დაიშვება ბარათით ანგარიშსწორება, კლიენტს არ სჭირდება ნაღდი ფულის გამოყენება. ამ დროს ანგარიშსწორება ხდება ბარათის სპეციალურ პოსტ-ტერმინალში მოთავსებით და უნაღდო ტრანს-

---

<sup>92</sup> Kommentar zum Kreditrecht. Praxiskommentar zum darlehens- und Kreditsicherungsrecht des BGB, Hrsg. Gerd Noble, Band 1, 2. Aufl., Heidelberg, 2012, S. 479.

აქციის მეშვეობით შესაბამისი ნასყიდობის თანხის ანგარიშიდან ჩამონერით.

დებულების მე-2 მუხლის „ს“ პუნქტის მიხედვით, პოს-ტერმინალი წარმოადგენს ელექტრონულ პროგრამულ-ტექნიკურ მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება ბანკში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად.

პოს-ტერმინალის საშუალებით უნაღდო ანგარიშსწორებისას პლასტიკური ბარათი თავსდება სპეციალურ აპარატში, ხოლო კლიენტს ევალება პინ-კოდის აკრეფით, ხოლო ჩეკის ამობეჭდვის შემდეგ, ხელმოწერით დაადასტუროს ანგარიშსწორება.

დღეისათვის პოს-ტერმინალის გამოყენებით პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ტრანსაქციების ნახევარი სწორედ პოს-ტერმინალების გამოყენებით საბანკო პლასტიკური ბარათებით უნაღდო ანგარიშსწორებაზე მოდის<sup>93</sup>.

**გ) საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც ნაღდი ფულის განაღდებას საშუალება.**

საბანკო პლასტიკური ბარათის შემდეგი ფუნქციაა მისი გამოყენებით ნაღდი ფულის მიღება. ნაღდი ფულის მისაღებად პრაქტიკაში გამოიყენება ორი ძირითადი საშუალება: ა) პლასტიკური ბარათის წარდგენა ბანკში, სადაც ოპერატორი სპეციალური საბანკო პროგრამის გამოყენებით ახდენს საბარათე ანგარიშიდან თანხის მოხსნას და სალაროს მეშვეობით ნაღდი ფულის განაღდებას. ბ) ბანკომატის მეშვეობით თანხის განაღდება.

ბანკომატი წარმოადგენს თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკურ მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც პლასტიკური ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, უნაღდო გადახდების განხორციელება და სხვა<sup>94</sup>.

---

<sup>93</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 1992.

<sup>94</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 1338.

„ბარათით მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმებისა და ბარათის დამზადების – ე.წ. „ემბოსირების“<sup>95</sup> შემდეგ, ბანკი ბარათის მფლობელს გადასცემს ინსტრუქციას ბარათის გამოყენების შესახებ, სადაც დეტალურადაა მოცემული ბანკომატში თანხის განაღდებას ინსტრუქცია. კერძოდ, ბარათი თავსდება ბანკომატში, მფლობელი ირჩევს შესაბამის ენას, შემდეგ კრეფს პინ-კოდს და უთითებს სასურველი თანხის ოდენობას. რამდენიმე წამის შემდეგ ბანკომატი უბრუნებს მფლობელს ბარათს და მითითებულ ნაღდ ფულს.

**დ) საბანკო პლასტიკური ბარათი, როგორც ვალუტის გაცვლის (კონვერტაციის) საშუალება.**

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზემოთ მითითებული ოპერაციისა, ბანკომატის მეშვეობით შესაძლებელია ავტომატურ რეჟიმში ვალუტის კონვერტაცია და შესაბამისი სასურველი ვალუტით თანხის განაღდება. ასე, მაგალითად, თუ ბანკომატში ბარათის მფლობელი ათავსებს ბარათს, რომელიც „მიბმულია“ სალარე ანგარიშზე და მფლობელი აირჩევს სასურველ ვალუტაში აშშ დოლარს ან ევროს, ავტომატურ რეჟიმში ბანკომატი მოახდენს ლარის გაცვლას (კონვერტაციას) აშშ დოლარზე შესაბამისი ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით და მფლობელს დაუბრუნებს ნაღდ ფულს შესაბამის უცხოურ ვალუტაში.

ეს ფუნქცია ბანკომატებს ბოლო წლებში დაემატა და საკმაოდ ეფექტური პრაქტიკული დანიშნულება შესძინა საბანკო პლასტიკურ ბარათებს, რადგან სურვილის შემთხვევაში მფლობელებს აღარ ესაჭიროებათ ვალუტის კონვერტაციისთვის კომერციულ ბანკში ან სავალუტე ჯიხურებში წასვლა.

**ე) საბანკო პლასტიკური ბარათით სხვა ოპერაციების განხორციელება.**

დღეისათვის პლასტიკურმა ბარათმა სხვა დამატებითი ფუნქციებიც შეიძინა. მაგალითად, პლასტიკური ბარათის გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ ნაღდი ფულის გამოტანა,

---

<sup>95</sup> ემბოსირება – ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების (როგორცაა ბარათის ნომრის, მოქმედების ვადის, მფლობელის სახელისა და გვარის ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების) რელიეფური ფორმით ბარათზე დაბეჭდვა.

არამედ, პირიქით, ნაღდი ფულის საბარათე ანგარიშზე შეტანაც<sup>96</sup>. ბოლო წლებში აღნიშნული ფუნქცია საქართველოს ბანკომატებ-მაც შეიძინეს.

გარდა ამისა, პლასტიკური ბარათები ხშირად ჩართულია სხვადასხვა გათამაშებაში, ქულების დაგროვებისა და პრიზების მიღების პროგრამებში და ა.შ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია, ცნობილი პლასტიკური ბარათების ემიტენტი კომპანიის, „ამერიქან ექსპრესის“ (American Express) დაგროვებითი პროგრამა „Membership Rewards“-ი<sup>97</sup>, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ბარათის გადახდისას ავტომატურად გროვდება ქულები და მფლობელს შეუძლია ეს ქულები გადაცვალოს შესაბამის პრიზებზე.

---

<sup>96</sup> Schimansky, Bunte, Lwowski. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011, S. 1339.

<sup>97</sup> „Membership Rewards“-ის დაგროვებითი სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ინტერნეტსაიტზე [www.americanexpress.ge](http://www.americanexpress.ge)

## თავი 2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

### §1. საბანკო კრედიტის არსი

საბანკო კრედიტი ფინანსური ინსტიტუტების მთავარი საბანკო პროდუქციაა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ინსტიტუტების შემოსავლის 70%-ზე მეტი სწორედ საბანკო კრედიტის გაცემიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელიდან მიღებულ შემოსავალზე მოდის<sup>98</sup>.

იურიდიული ბუნებით საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. საბანკო კრედიტს ეთმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-873-ე მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის მიხედვით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. გარდა აღნიშნული განმარტებისა, კრედიტის დეფინიციას შეიცავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, „კრედიტი გულისხმობს დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას“.

აღსანიშნავია, რომ საბანკო კრედიტი ძალიან ჰგავს სესხის ხელშეკრულებას. უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ კრედიტის გამცემი მსესხებელს სესხის სახით აძლევს საბანკო კრედიტს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ სესხის ხელშეკრულებასა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას შორის მაინც არსებობს განსხვავება, რაც იმაში გამოიხატება, რომ საბანკო კრედიტის გამცემი ორგანო აუცილებლად უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი, მაშინ,

---

<sup>98</sup> Jürgen Ellenberger, Claudia Lange. Allgemeine Vorschriften für Darlehensvertrag, in: Kommentar zum Kreditrecht. Praxiskommentar zum darlehens- und Kreditsicherungsrecht des BGB, Hrsg. Gerd Noble, Band 1, 2. Aufl., Heidelberg, 2012, S. 417.

როცა სესხის ხელშეკრულების მხარე შესაძლებელია იყოს ნებისმიერი რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

თუმცა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილი მკვეთრი ზღვარი ცნებებს – „კრედიტი“ და „სესხი“ – შორის არ არსებობს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს მომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლიდან, სადაც მითითებულია, რომ კრედიტის გამცემი მსესხებელზე გასცენს სესხს. ეს მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსი ცალკე არეგულირებს სესხის ხელშეკრულებას (სამოქალაქო კოდექსის 623-628-ე მუხლები) და ცალკე განსაზღვრავს საბანკო კრედიტს – როგორც დამოუკიდებელ ხელშეკრულებას (სამოქალაქო კოდექსის 867-873-ე მუხლები). გარდა ამისა, არც სესხის და არც საბანკო კრედიტის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს მითითებით ნორმებს მეორე ხელშეკრულების ნორმათა ანალოგიით გამოყენების შესახებ. ეს კი, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ორი ხელშეკრულების გამიჯვნის აუცილებლობას.

„სესხსა“ და „კრედიტს“ შორის მკვეთრი განსხვავება არ არსებობს სპეციალურ საბანკო კანონმდებლობაშიც. ასე, მაგალითად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კომერციული ბანკის საქმიანობის საგანია „სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით“. აღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ არ არსებობს ამ ორ ცნებას შორის მკვეთრი ზღვარი. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კანონის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი კრედიტი ცალკე განმარტებასაც იძლევა: „კრედიტი გულისხმობს დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის სანყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას“.

ანალოგიური მიდგომაა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს „იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; რაც შეეხება საკრედიტო კავშირებს, აქ გამოყენებულია მხოლოდ ტერმინი „სესხი“, მაშინ, როდესაც საკრედიტო კავშირი წარმოადგენს დეპოზიტების მიმღებ და ეროვნული ბანკის ლიცენზირებას დაქვემდებარებულ საკრედიტო ორგანიზაციას. კერძოდ, „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია „გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე“.

ამიტომ ვფიქრობ, რომ აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით მოხდეს „საბანკო კრედიტისა“ და „სესხის“ ცნებათა გამიჯვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მრავალი ისეთი გაუგებრობა, რაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეები არიან კრედიტის გამცემი და მსესხებელი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კრედიტის გამცემი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული სუბიექტი. ამგვარი სუბიექტები კი, კანონმდებლობის მიხედვით, მიუხედავად ზემოთ მითითებული ტერმინოლოგიური პრობლემებისა, შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად), მიკროსაფინანსო ორგანიზაციები („მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად) და საკრედიტო კავშირები („არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად).

რაც შეეხება მსესხებელს, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი რეზიდენტი თუ არარეზიდენტი, ფიზიკური და იურიდიული პირი. საბანკო კრედიტის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად

აკმაყოფილებს მსესხებელი კონკრეტული კრედიტის გასაცემად საკრედიტო ორგანიზაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

როგორც აღვნიშნე, საბანკო კრედიტი სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. შესაბამისად, მსესხებელი ვალდებულია კრედიტის გამცემს კრედიტის ძირითად თანხასთან ერთად დაუბრუნოს საპროცენტო სარგებელიც.

სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

მყარ საპროცენტო განაკვეთში იგულისხმება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო სარგებელი, რომელიც საბანკო კრედიტის ვადიანობისა და ბაზარზე არსებული განაკვეთების რყევების მიუხედავად, არ იცვლება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. ამიტომაც მსესხებლისათვის გაცილებით ხელსაყრელია მყარი საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში, ვიდრე ცვალებადი პროცენტის ქონა.

იმის გამო, რომ, მიუხედავად ფორმატული იურიდიული თანასწორობისა, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეთაგან დომინირებული მდგომარეობა კრედიტის გამცემს უკავია და როგორც წესი, მსესხებელს მის მიერ წინასწარ დადგენილ სტანდარტულ პირობებს სთავაზობს, კანონმდებელი და ზედამხედველი ორგანო ცდილობს კრედიტის გამცემისთვის გარკვეული ზღვრული ჩარჩოების დაწესებას. ეს, პირველ რიგში, ეხება ცვალებად საპროცენტო სარგებელს.

ცვალებადია საპროცენტო სარგებელი, რომელსა შესაძლებელია პერიოდულად გადაიხედოს კრედიტის გამცემის მიერ და შესაბამისად მისი წინასწარ პროგნოზირება მსესხებლისათვის ძალიან რთულია. ცვალებადი საპროცენტო სარგებლის შეცვლის მიზეზები შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, პრაქტიკაში იგი დამოკიდებულია საბანკო კრედიტის გრძელვადიანობასთან, საკრედიტო აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის პერიოდულ ცვლილებებთან და ა.შ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, თუ შეთანხმებით გათვალ-

ისწინებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრა შეეძლო კრედიტის გამცემს, იგი ვალდებულია, ეს განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე; იგი ასევე მოვალეა საბაზრო-საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი.

საბანკო კრედიტის პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.

გარდა აღნიშნული მოთხოვნებისა, კოდექსი მხარეებს ავალდებულებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დადებისას, თუ ითვალისწინებენ ცვალებად საპროცენტო განაკვეთს, წინასწარ განსაზღვრონ საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით საპროცენტო განაკვეთის ცვლილება დაშვებულია კრედიტის გამცემის მიერ, მაშინ იგი ვალდებულია მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ. მისაღებ ფორმაში იგულისხმება მსესხებლისათვის ოფიციალური წერილის ფოსტით გაგზავნა, შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აგრეთვე კრედიტის გამცემი საკრედიტო ორგანიზაციის მიერ მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით. პრაქტიკაში კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები სწორედ ამ უკანასკნელ მეთოდს იყენებენ, რაზედაც საკრედიტო ხელშეკრულებაში წინასწარ მიუთითებენ.

იმ შემთხვევაში, თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი. თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათვალისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება. ამ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელში იგულისხმება ოფიციალური ორგანოების მიერ დადგენილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი.

მეორე პრობლემა, რაც დაკავშირებულია საბანკო კრედიტის გაცემისას საპროცენტო განაკვეთის ოდენობასთან, არის

ის, რომ საკრედიტო ორგანიზაციები ხშირად ისე ანაწევრებენ საპროცენტო განაკვეთს, მსესხებელს უჭირს გაერკვეს, თუ რა არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეალური საპროცენტო სარგებელი. კომერციული ბანკები საპროცენტო განაკვეთის დანაწევრების მეთოდს წმინდა მარკეტინგული მიდგომით იყენებენ, რათა მაქსიმალურად „შეფუთონ“ საპროცენტო სარგებლის რეალური ოდენობა. ისინი საპროცენტო სარგებლის ოდენობას აფიქსირებენ უფრო ნაკლებს, ხოლო დანარჩენ სარგებელს ითვალისწინებენ ისეთ საკომისიოებში, როგორცაა, მაგალითად, „კრედიტის გაცემის საკომისიო“, „საკრედიტო ანგარიშის მომსახურების საკომისიო“ და სხვა.

ზემოაღნიშნული მეთოდით სარგებლობა იმდენად პრობლემური გახდა, რომ 2011 წლის 13 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №35/04 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვეისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მინოდების წესი“<sup>99</sup> (შემდგომში – „ინსტრუქცია“). აღნიშნული ინსტრუქცია არეგულირებს კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირებისათვის სამომხმარებლო კრედიტის გაცემისა და სადეპოზიტო მომსახურების განვეის დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მინოდების საკითხებს. მისი მიზანია ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის, ასევე, საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის და კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი ფინანსური პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე საკრედიტო რისკების შემცირებას.

ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ეს წესი ვრცელდება ფიზიკური პირებისათვის ყველა სახის სამომხ-

---

<sup>99</sup> ძალაში შევიდა 2011 წლის 1 ივნისიდან.

მარებლო კრედიტის, მათ შორის, ოვერდრაფტისა და საკრედიტო ბარათის გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე, როდესაც კრედიტის მთლიანი თანხა აღემატება 300 (სამას) ლარს და ნაკლებია 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარზე (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), ასევე, ფიზიკური პირების ყველა სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე, რომელთა პირველადი შენატანი ნაკლებია 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარზე (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).

როგორც აღნიშნული ნორმიდან ნათლად ჩანს, ეს ინსტრუქცია ვრცელდება ფიზიკური პირების მიერ პრაქტიკაში ყველაზე აქტიურად გამოყენებად საბანკო კრედიტის სახეზე – სამომხმარებლო კრედიტზე, აგრეთვე ანაბრის (სადეპოზიტო ხელშეკრულებებზეც). გარდა ამისა, დადგინდა საბანკო კრედიტის თანხის მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტი (300-50000 ლარამდე ფარგლებში), რომლის ფარგლებშიც აუცილებელია აღნიშნული წესის მოთხოვნათა გათვალისწინება. აღნიშნული სახის კრედიტზე ქვემოთ ცალკე იქნება საუბარი და ამიტომ აქ აღარ შევჩერდები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, „აღნიშნული წესით განსაზღვრული ნორმების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის და უცხოური ბანკების ფილიალებისათვის“.

ინსტრუქციის მე-3 მუხლი ბანკს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საბანკო მომსახურების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, რომელიც მომხმარებელს არ უბიძგებს ისეთი გადანყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში. ბანკის მიერ არ უნდა მოხდეს საბანკო პროდუქტის მახასიათებლების შესახებ ისეთი ინფორმაციის განცხადება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება ან შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი. გარდა ამისა, ბანკს უნდა ჰქონდეს პრეტენზიების მიღების/განხილვის სტანდარტული წერილობითი პროცედურა. ბანკი უფლებამოსილია დამატებით იქონიოს პრეტენზიების მიღებისა და განხილვის სტანდარტული ელექტრონული პროცედურა.

საც მომხმარებლის შემოსავლები არ არის ჰეჯირებული სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მასში მოცემული პირობების ბანკის მიერ ცალმხრივი ცვლილების შესაძლებლობას, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ხელშეკრულების თავსართში.

კომერციული ბანკი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე მომხმარებელს გააცნოს ხელშეკრულებაში ინსტრუქციის შესაბამისად დადგენილი „ფინანსური ხარჯები“ და თანხმობის შემდეგ გააფორმოს მასთან ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული ფინანსური ხარჯები გულისხმობს ისეთ ხარჯს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს, კერძოდ:

- ა) საპროცენტო ხარჯები/შენატანები;
- ბ) მომსახურებაზე ბანკის მიერ დაწესებული გადასახდელები;
- გ) ბანკის მიერ დაწესებული ტრანსაქციისა და საკომისიო ხარჯები;
- დ) აუცილებელი დაზღვევის ხარჯები;
- ე) ქონების ღირებულების შეფასების ხარჯები;
- ვ) სანოტარო ხარჯები;
- ზ) ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური;
- თ) გადასახდელი, რომელსაც მომხმარებელი უხდის მესამე პირს საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულების დროს, თუ ეს წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულების და ხელშეკრულებამდე არსებული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელ პირობას;
- ი) ბანკის სხვა პროდუქტით სარგებლობასთან დაკავშირებული აუცილებელი გადასახდელები/შენატანები, თუ აღნიშნული პროდუქტით სარგებლობა წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
- კ) სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელები, რომელთა შესახებ

ბანკმა შეიტყო ამ ინსტრუქციით დადგენილი ვალდებულების შესრულებისას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ხარჯს მომხმარებელი უხდის მესამე პირს და ბანკს არ შეუძლია ზუსტი ფინანსური ხარჯის ოდენობის დადგენა, ბანკმა ის უნდა განსაზღვროს აღნიშნული ხარჯის მოსალოდნელი საბაზრო ღირებულების საფუძველზე. თუ მომხმარებლის მიერ ფინანსური ხარჯის გადახდის საჭიროება დგება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპებზე და რომლის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ბანკს წინასწარ არ შეუძლია, ფინანსური ხარჯი შეფასებულ უნდა იქნეს მიმდინარე საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ხარჯებს არ მიეკუთვნება ის ხარჯები, რომელთა გადახდაც მომხმარებლისათვის სავალდებულო იქნებოდა იმ შემთხვევაშიც თუ მომხმარებელი კრედიტის გამოყენების გარეშე თავად განახორციელებდა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შეძენას ან/და რომელთა მომხმარებლის მიერ გადახდაც მოსალოდნელია საკრედიტო პროდუქტის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი აღემატება ამავე საქონლის/მომსახურების ნაღდი ანგარიშსწორების ფასს, აღნიშნული დადებითი სხვაობა ფასებს შორის უნდა მიეკუთვნოს ფინანსურ ხარჯებს.

საკრედიტო მომსახურების ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ნერილობით ან ელექტრონული ფორმით. ბანკმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების დედანი და სადაც ეს შეუძლებელია, ხელშეკრულების ასლი. ხელშეკრულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო რეკვიზიტების გარდა მოცემული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური სტანდარტული ინფორმაცია:

- ა) კრედიტის ვადა;
- ბ) კრედიტის მთლიანი თანხა;
- გ) კრედიტის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის პირობები, მათ შორის: გასატანი თანხის ოდენობა, პერიოდულობა/გატანის

თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა;

დ) კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ან განაკვეთები თუ აღნიშნული განსხვავებულ მნიშვნელობებს იღებს მომხმარებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე თითოეული გარემოების მითითებით;

ე) კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ იმ ცალკეული გარემოებების/წესების მითითებით, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ცვლილებები, ასევე, მოსალოდნელი ცვლილებების მომხმარებლისათვის წინასწარ შეტყობინების წესი;

ვ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ის ინდექსი, რომელზეც კრედიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;

ზ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, იმ ინდექსის საჯარო ხელმისაწვდომობის წყარო, რომელზეც კრედიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;

თ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რეგულარულობითა და ფორმით მიეწოდება მომხმარებელს ინფორმაცია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მიერ მიღებული მნიშვნელობების შესახებ;

ი) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი;

კ) კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დამრგვალებული სულ მცირე მეთედამდე;

ლ) საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის გამოყენების შემთხვევაში ინსტრუქციის დანართის გათვალისწინებული ორი სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;

მ) უცხოური ვალუტით გაცემული საკრედიტო პროდუქტისათვის, დამატებით, ინსტრუქციის დანართში მოცემული ლარის შესაძლო 15%-იანი ნღრური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;

ნ) სადაც შესაძლებელია, კრედიტის დასაფარად შენატანების

ოდენობა, სიხშირე/შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები და საერთო რაოდენობა; შენატანების ოდენობა გამოსახული უნდა იყოს სულ მცირე თანხობრივად;

ო) კრედიტის გაცემას და შენარჩუნებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები;

პ) ინფორმაცია იმ ფინანსური ხარჯების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში;

ჟ) ის დაშვებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც გამოყენებულ იქნა კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში;

რ) შესაძლო პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი;

ს) ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;

ტ) წინასწარ კრედიტის დაფარვის უფლება და შესაძლო დამატებითი ხარჯები, რომელიც წარმოიშობა ამ უფლების გამოყენებისას, აღნიშნული ხარჯების სიდიდე ან გამოთვლის მეთოდი;

უ) ბანკში პრეტენზიის წარდგენის ფორმები, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყარო, მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე, ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა, ასევე პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები;

ფ) დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების შემთხვევაში, იმ საქონლის /მომსახურების ნაღდი ანგარიშსწორების ფასი, რომლის შესყიდვასაც აფინანსებს დაკავშირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტი. ასევე, აღნიშნული საქონლის/მომსახურების ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმების შედეგად;

ქ) იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი ბანკისგან იღებს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო მომსახურების მიღებისათვის სავალდებულო სხვა სახის დამატებით მომსახურებას, ყველა ფინანსური ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული დამატებითი მომსახურების მიღებასთან.

აღსანიშნავია, რომ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაძლებლობას, ბანკმა მომხმარებელს უნდა შესთავაზოს საპროცენტო განაკვეთის წინასწარი შეტყობინების არსებული წერილობითი ან ელექტრონული ალტერნატივები და ხელშეკრულებაში ჩადოს წინასწარი შეტყობინების წესი. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესაბამისად მოსალოდნელია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ბანკმა აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს უნდა აცნობოს ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების ფორმით ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე.

ინსტრუქცია უშვებს ბანკსა და მომხმარებელს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმებას. ბანკსა და მომხმარებელს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების პირობების ცვლილება მომხმარებლის სასარგებლოდ.

მსესხებლის მიერ საკრედიტო პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა მას ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:

ა) სესხის ნაშთი;

ბ) სესხის შემდგომი შენატანის ვადა და ოდენობა, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო;

გ) საშელავათო ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მათ შესახებ და ამ პირობის გამოყენებისათვის არსებული ვადები და საჭირო შენატანები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო.

მსესხებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია მას დაუყოვნებლივ მატერიალური ან ელექტრონული ფორმით მიაწოდოს ხელშეკრულების ასლი, რომელიც შესა-

ძლებლობის შემთხვევაში უნდა იყოს დამონმებული. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ბანკმა მსესხებელს დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განახლებული მომავალი შენატანებისა და გამოტანების დეტალური გრაფიკი, და მისი ამონაწერი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, საპროცენტო განაკვეთი, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები.

როგორც ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ანალიზიდან ნათლად ჩანს, კომერციულ ბანკებს ევალებათ გაცილებით გამჭვირვალე გახადონ სამომხმარებლო კრედიტის გაცემისას მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო ხელშეკრულების ცალკეული პირობები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთთან მიმართებაში. ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. იგი ასევე მწვავედ დგას ევროპის ქვეყნებშიც. ამიტომ ევროკავშირის ქვეყნებშიც სხვადასხვა დამცავი ნორმის გამოყენებით კანონმდებლობა აიძულებს ბანკებს უფრო გამჭვირვალე გახადონ ურთიერთობა მსესხებლებთან და ინფორმაცია სრულად და გასაგებად მიაწოდონ მათ<sup>101</sup>.

აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, საბანკო კრედიტი გაიცემა სანივთო (იპოთეკა, გირავნობა) ან პიროვნული (თავდებობა) უზრუნველყოფით. პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როცა კრედიტი გაიცემა უზრუნველყოფის გარეშე. ამგვარ კრედიტს საბანკო სამართალში საბლანკო კრედიტს უწოდებენ. ძირითადად საბლანკო კრედიტები გამოიყენება ბანკისათვის კარგად ცნობილი და ნაკლები რისკის მქონე მსესხებლების მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 870-ე მუხლი განსაზღვრავს საბანკო კრედიტის დროს დამატებითი უზრუნველყოფის

---

<sup>101</sup> Joachim Henrichs. Informationspflichten bei Darlehensgeschäften – Insbesondere bei Festdarlehen mit alternativen Tilgungsinstrumenten., in FS Kümpel, 2003, S. 241-242.

გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, თუ კრედიტის გაცემისას შეთანხმებულია სანივთო ან პიროვნული უზრუნველყოფა, მაშინ კრედიტის გამცემს სესხის არასრულად დაფარვისას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება. ამ დროს კრედიტის გამცემი მოვალეა კრედიტის ამლების მოთხოვნით დააბრუნოს უზრუნველყოფა, რომელიც აღემატება დაფარვის შეთანხმებულ ფარგლებს.

თუ კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდისათვის, მაშინ კრედიტის ამლებს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის ამლები მომხმარებელია და კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით, მაშინ შეწყვეტის უფლება წარმოიშობა კრედიტის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ. შეწყვეტის ვადა კი შეადგენს სამ თვეს.

რაც შეეხება უფრო გრძელვადიან საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს, ათი წლის გასვლის შემდეგ შეწყვეტის უფლება არსებობს ნებისმიერ შემთხვევაში. შეწყვეტის ვადა აღნიშნულ შემთხვევაში შეადგენს ექვს თვეს.

რაც შეეხება ცვალებადი საპროცენტო სარგებლის შემცველ საკრედიტო ხელშეკრულებას, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზრაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის საკითხებსაც. კერძოდ, კოდექსის 872-ე მუხლის მიხედვით, „თუ კრედიტის ამლები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირე-

ბულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება“.

კანონმდებლობით დაიშვება კრედიტის გამცემის მხრიდან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ზედიზედ მინიმუმ ორჯერ აცილებს ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებულ კრედიტის ნაწილის დადგენილ ვადას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, „კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას.

აღნიშნული ხელშეკრულება წყდება მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება მსესხებლის მიერ შეთანხმებული სესხის ნაწილის გადახდა.

## §2. საბანკო კრედიტის სახეები

საბანკო კრედიტი სამართლებრივი კონსტრუქციის მიხედვით ერთიანი ხელშეკრულებაა. მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით და მისი გაცემის მიზნობრიობის მიხედვით იგი შეიძლება რამდენიმე სახედ დაიყოს.

იმის გამო, რომ საქართველოს დამოუკიდებელ საბანკო სისტემას დაახლოებით 20 წლის ისტორია და გამოცდილება აქვს, შესაბამისად, არცთუ ისე დიდია საბანკო კრედიტის ცალკეული პროდუქტების ჩამონათვალი<sup>102</sup>. მისგან განსხვავებით, ევროპისა და აშშ-ს ქვეყნის ბანკებს გაცილებით საბანკო კრედიტის ცალკეულ პროდუქტთა საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი აქვთ<sup>103</sup>.

ქართულ საბანკო პრაქტიკაში ძირითადად გამოყოფენ სამი სახის საბანკო კრედიტს: ბიზნეს კრედიტი, იპოთეკური კრედიტი და სამომხმარებლო კრედიტი. რაც შეეხება ისეთ საბანკო კრედი-

<sup>102</sup> Achim Albrecht, Davud Karahan, Markus Lenenbach. Fachanwaltsbuch Bank- und Kapitalmarkrecht, Münster, 2010, S. 644-683.

<sup>103</sup> Hans-Peter Schwintowski. Bankrecht, München, 2004, S. 117-125.

ტის სახეებს, როგორცაა, მაგალითად, ოვერდრაფტი, ენერგო-კრედიტი, აგრო კრედიტი, ავტოკრედიტი და სხვა, ისინი სწორედ ზემოაღნიშნული საბანკო კრედიტის ნაირსახეობას წარმოადგენენ და ძირითადად, ვინრო მიზნობრიობით კრედიტის გაცემას გულისხმობენ.

**1. ბიზნეს კრედიტი.** ბიზნეს კრედიტი წარმოადგენს საბანკო კრედიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს. ის კომერციული ბანკები, რომლებიც ბაზარზე დომინანტური მდგომარეობით ოპერირებენ, საკრედიტო პორტფელის დიდი ნაწილი სწორედ ბიზნეს კრედიტზე მოდის<sup>104</sup>. უფრო მეტიც, გარე აუდიტორული შემოწმებისა და ბანკების საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის დროს, შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად ბანკებისთვის სწორედ ის მიიჩნევა, თუ საკრედიტო პორტფელის რამდენი პროცენტი უკავია ბიზნეს სესხებს. ამიტომაც არის, რომ კომერციული ბანკები დიდ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული სახის საბანკო პროდუქტის განვითარებას.

ბიზნეს კრედიტს ახასიათებს მიზნობრიობა<sup>105</sup>. იგი შეიძლება გაიცეს მხოლოდ კონკრეტული მიზნით – ბიზნეს ოპერაციის დასაფინანსებლად. აქედან გამომდინარე, ბიზნეს სესხები გაიცემა მხოლოდ მენარმე სუბიექტებზე. სამენარმეო სუბიექტებად კი, ქართული სამენარმეო სამართლის მიხედვით, მიიჩნევიან შემდეგი სუბიექტები: ინდივიდუალური მენარმე (სანარმო)(ი/მ), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი (რკ)<sup>106</sup>. ზემოაღნიშნული სუბიექტებიდან მხოლოდ ინდივიდუალური მენარმე წარმოადგენს მენარმე ფიზიკურ პირს, ხოლო ყველა დანარჩენი – კომერციული იურიდიული პირებია.

---

<sup>104</sup> Günter Luz, Werner Neus, Mathias Schaber, Paul Scharpf, Peter Schneider, Max Weber (Hrsg.). Kreditwesengesetz (FWG). Kommentar zum KWG inklusive SolvV, LiqV, GroMikKV, MaRisk, 2. Aufl., Stuttgart, 2011, S.13.

<sup>105</sup> Kommentar zum Kreditrecht. Praxiskommentar zum darlehens- und Kreditsicherungsrecht des BGB, Hrsg. Gerd Noble, Band 1, 2. Aufl., Heidelberg, 2012, S. 193.

<sup>106</sup> სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ იხ. ქეთევან ქოქრაშვილი. სამენარმეო სამართალი, მე-2 გამოც., თბ., 2010.

გამონაკლისის სახით ბიზნეს კრედიტი შეიძლება გაიცეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაზე, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით, მართალია, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლებით (ერთობლისი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება), მაგრამ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის მიხედვით, იგი განეკუთვნება საწარმოს<sup>107</sup> და მეწარმე სუბიექტების მსგავსად, ჩართულია სამეწარმეო საქმიანობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნეს კრედიტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ზემოჩამოთვლილ მეწარმე სუბიექტებზე. საბანკო კრედიტის გაცემისას საკრედიტო ორგანიზაციის მხრიდან მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ აღნიშნულ საწარმოს (მსესხებელს) უნდა ჰქონდეს მოქმედი ბიზნესი და ეს ბიზნესი უნდა იყოს მომგებიანი. უცხოური ბანკებისაგან განსხვავებით, ქართული საკრედიტო ორგანიზაციები, ბაზარზე არსებული მაღალი რისკების გამო, გაურბიან საწყისი ბიზნეს პროექტების (ე.წ. start-up) ბიზნესის დაფინანსებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აუცილებელია, რომ კონკრეტული ბიზნეს კრედიტის დასაფინანსებლად, მსესხებელმა დაასაბუთოს დასაკრედიტებელი ბიზნეს ოპერაციის მიზნობრიობა და რაც მთავარია, მისი მომგებიანობა. ამიტომ აუცილებელია, რომ მსესხებელმა კომერციულ ბანკს (ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციას)

---

<sup>107</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

1. საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

ნარუდგინოს დასაბუთებული ბიზნეს გეგმა და პროექტის სა-  
ვარაუდო მომგებიანობის პარამეტრები.

აღნიშნულის შემდეგ ბანკი შესაბამის საკრედიტო კომიტეტზე  
იხილავს ამ პროექტს, აფასებს შესაბამის რისკებს და მიზანშე-  
წონილობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას საბანკო კრედი-  
ტის გაცემის შესახებ.

დადებითი პასუხის შემთხვევაში ბიზნეს კრედიტთან დაკა-  
ვშირებით ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები. როგორც  
წესი, აღნიშნულ ხელშეკრულებათა პაკეტი მოიცავს საკრედი-  
ტო რესურსების (საკრედიტო ხაზის, გენერალური საკრედიტო  
ხელშეკრულების და ა.შ.), საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისა  
და სანივთო (იპოთეკის, გირავნობის) ან ვალდებულებით-სამართ-  
ლებრივი (თავდებობა) უზრუნველყოფის ხელშეკრულებებს.

საკრედიტო რესურსების (საკრედიტო ხაზის, გენერალ-  
ური საკრედიტო ხელშეკრულების და ა.შ.) ხელშეკრულება გუ-  
ლისხმობს სასესხო ფულადი თანხის რესურსების გამოყოფას  
გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ხელშეკრულების  
მიზანია მსესხებელს წინასწარ გაუფორმოს უზრუნველყოფის  
ხელშეკრულებები იმ ღირებულების ქონებაზე, რომელიც სამო-  
მავლოდ უზრუნველყოფს საკრედიტო რესურსების ფარგლებში  
გამოყოფილი კონკრეტული საბანკო კრედიტების ან კრედიტის  
ცალკეული ტრანშების ამოღებადობას. როგორც ცნობილია, უზ-  
რუნველყოფის ხელშეკრულებათა გაფორმება (განსაკუთრებით  
სანივთო-სამართლებრივის – იპოთეკისა და გირავნობის) და-  
კავშირებულია ფინანსურ დანახარჯებთან (იპოთეკით ან გი-  
რავნობის დასატვირთი ქონების შეფასების ღირებულება, მათი  
სანოტარო და/ან საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები,  
ქონების დაზღვევის ხარჯი და ა.შ.). აღნიშნულ დანახარჯებს კი,  
როგორც წესი, მსესხებელი ფარავს. ამიტომ, მარტივად რომ ვთქ-  
ვათ, საკრედიტო რესურსების მიზანია მსესხებელთან თავიდანვე  
ერთჯერადი ხარჯის გაღებით მოახდინოს უზრუნველყოფის სა-  
შუალებათა გაფორმება-რეგისტრაცია საკრედიტო ორგანიზაცი-  
ის სასარგებლოდ და ამის შემდეგ უკვე მარტივად, კონკრეტული  
საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით, საკრედიტო რესურსების  
მაქსიმალური თანხის ფარგლებში მოახდინოს ცალკეული ოპერა-

ციების დაფინანსება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მენარმე სუბიექტს თავისი ბიზნეს ოპერაციებისა თუ ბიზნეს პროექტების დასაფინანსებლად მუდმივად სჭირდება ფულადი სახსრები, ხოლო ბანკს მუდმივად სჭირდება მსესხებელი, ნათელია, რომ საბანკო რესურსების ხელშეკრულების გაფორმება ორმხრივ ინტერესში შედის.

აღსანიშნავია, რომ საბანკო რესურსების ხელშეკრულება არ გულისხმობს კომერციული ბანკის ან მსესხებლის მხრიდან რაიმე სახის ვალდებულებას, საკრედიტო რესურსებში მითითებული მაქსიმალური თანხის სრულად გაცემის ან მისი სრულად ათვისების შესახებ. შესაბამისად, საკრედიტო რესურსების ხელშეკრულება უფრო „განზრახულობათა მემორანდუმის“ ხასიათს ატარებს, ვიდრე კონკრეტული საბანკო-საკრედიტო ვალდებულებების წარმოშობის აქტს.

საკრედიტო რესურსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. ისევე როგორც საკრედიტო რესურსების ხელშეკრულება, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაც, ბანკის მიერ წინასწარ მომზადებული, სტანდარტული სახელშეკრულებო პირობებით წარედგინება ხელმოსანერად კლიენტს. აღნიშნულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანა დამოკიდებულია ბანკის მსესხებლისადმი საქმიან ინტერესზე და რამდენად არ ეწინააღმდეგება ბანკის საკრედიტო სტრატეგიას. ამიტომ, კომერციული ბანკები, ისევე როგორც ევროპისა და აშშ-ს ქვეყნებში, საკმაოდ ხისტები არის სახელშეკრულებო ურთიერთობებში და მათში ცვლილებები იშვიათად შეაქვთ.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, სამართლებრივი თვალსაზრისით, პირობითად, შესაძლებელია ორ ნაწილად გაიყოს: პირველი სტატიკური (უცვლელი) მუხლები, რომელიც ბანკის მიერ დადგენილია და მსესხებლის ცვლის მიუხედავად, პირობები არ იცვლება და მეორე დინამიკური (ცვალებადი) მუხლები, რომლებიც კონკრეტული მსესხებლის სესხის პირობებიდან გამომდინარე იცვლება.

სტატიკურ მუხლებში შედის ისეთი ნორმები, როგორცაა: მხარეთა განცხადებები და გარანტიები, მხარეთა უფლება-ვალდებულებები, სესხის დაბრუნების ვალდებულებანი, ვადაგა-

დაცილებების ან დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები, დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავის განმხილველი ორგანოები და ა.შ.

რაც შეეხება დინამიკურ მუხლებს, მასში იგულისხმება მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, კრედიტის თანხა, კრედიტის ვადა, კრედიტის საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე, პირგასამტეხლო ვადაზე ადრე დაფარვაზე და ა.შ.

რაც შეეხება უზრუნველყოფის საშუალებებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებები.

სანივთო-სამართლებრივი საშუალებებიდან გამოიყენება უზრუნველყოფის ორივე ძირითადი ფორმა – იპოთეკა და გირავნობა.

იპოთეკის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ კომერციულ ბანკთან წინასწარ შეთანხმებული და ბანკის ექსპერტების მიერ შეფასებული უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი, კომერციული ფართი, საცხოვრებელი სახლი ან საცხოვრებელი ბინა. იპოთეკის ხელშეკრულება მხარეთა ხელშეკრულებით შესაძლებელია დამოწმდეს სანოტარო წესით და სავალდებულო სახით რეგისტრირდება ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

გირავნობის ხელშეკრულების საგანი კი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის მოძრავი ნივთი. ამ მხრივ საბანკო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული გირავნობის ფორმებია: ავტომანქანის გირავნობა, საწარმოთა აქციებისა და წილების გირავნობა, ძირითადი საშუალებების გირავნობა (საწარმოს მანქანა-დანადგარების, საქონლის მარაგების და ა.შ.), მოთხოვნის უფლებათა გირავნობა.

ავტომანქანის გირავნობის ხელშეკრულება, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია დამოწმდეს სანოტარო წესით, ხოლო სავალდებულო წესით უნდა დარეგისტრირდეს ს.ს.ი.პ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

საწარმოთა აქციების გირავნობის ხელშეკრულება რეგისტრა-

ციას ექვემდებარება იმ აქციათა რეგისტრატორთან, სადაც ინარ-  
მოება აღნიშნული აქციების რეესტრი, ხოლო კომპანიის წილების  
გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაცია უნდა მოხდეს ს.ს.ი.პ.  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამენარმეო რეესტრში,  
სადაც რეგისტრირებულია აღნიშნული კომპანია.

ძირითადი საშუალებების (საწარმოთა მანქანა-დანადგარების,  
საქონლის მარაგების) ხელშეკრულება შეიძლება ატარებდეს რო-  
გორც ფორმალურ, ისე რეგისტრირებულ ფორმას. ფორმალური  
გირავნობის დროს ძირითადი საშუალებების გირავნობის ხელშეკ-  
რულება ფორმდება მხოლოდ მხარეთა შორის და არ რეგის-  
ტრირდება არც ერთ სახელმწიფო ორგანოში, ხოლო რეგისტრი-  
რებული გირავნობის დროს კი, აღნიშნული გირავნობის ხელშეკ-  
რულება რეგისტრირდება ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტოს შესაბამის განყოფილებაში.

რაც შეეხება მოთხოვნის უფლების (მაგ., საიჯარო უფლების  
მოთხოვნა და ა.შ.) გირავნობას, ისიც, ძირითადი საშუალებების  
გირავნობის მსგავსად, შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ისე  
რეგისტრირებული ხასიათის. ფორმალური გირავნობის დროს შე-  
საბამისი მოთხოვნის უფლების გირავნობის ხელშეკრულება ფორ-  
მდება მხოლოდ მხარეთა შორის და არ რეგისტრირდება არც ერთ  
სახელმწიფო ორგანოში, ხოლო რეგისტრირებული გირავნობის  
დროს კი, აღნიშნული გირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირდ-  
ება ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის  
განყოფილებაში.

აღნიშნულ ხელშეკრულებათა პაკეტის გაფორმებისა და უზ-  
რუნველყოფის საშუალებათა შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის  
შემდეგ გაიცემა შესაბამისი ბიზნეს კრედიტი. საბანკო კრედიტის  
ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელია კრედიტი გაიცეს რო-  
გორც მთლიანი, ერთჯერადი გაცემით, ასევე ნაწილ-ნაწილ, ბი-  
ზნეს ოპერაციის დაფინანსების პროპორციულად.

რაც შეეხება ბიზნეს კრედიტის დაბრუნებას, როგორც წესი,  
მხარეები საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით წინასწარ თანხმ-  
დებიან სესხის დაფარვის პირობებზე. ამ მხრივ საბანკო პრაქტი-  
კაში ყველაზე უფრო გავრცელებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ  
დაფარვა, წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად. კრედიტის და-

ფარვის გრაფიკი წარმოადგენს საბანკო კრედიტის დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. ამიტომ გრაფიკის ნებისმიერი დარღვევა განიხილება როგორც საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობა და წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ბანკის მხრიდან მსესხებლისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვაში (ჯარიმის ან საურავის სახით), ხელშეკრულებიდან გასვლაში, შემდეგი ტრანშის გაუცემლობაში და ა.შ.

კრედიტის გრაფიკი შეიცავს ზუსტ მონაცემებს კრედიტის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადახდის შესახებ. როგორც წესი, იმისათვის, რომ ბანკმა მაქსიმალური სარგებელი ნახოს და თავიდან აიცილოს მსესხებლის მხრიდან კრედიტის ადრე დაფარვის შემთხვევაში მიუღებელი საპროცენტო სარგებელი, ცდილობს გრაფიკის იმგვარ ფორმირებას, რომ მსესხებელი თავიდანვე იხდიდეს მხოლოდ საპროცენტო სარგებელს და მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ დაიწყოს სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. ამითი ბანკი, ერთი მხრივ, ცდილობს არ დაკარგოს მსესხებელი სხვა ბანკის მიერ აღნიშნული კრედიტის „გადაფარვის“ (რეფინანსირების) შემთხვევაში და მეორე მხრივ, მაქსიმალურად მიიღოს წინასწარ აღნიშნული კრედიტიდან დაგეგმილი შემოსავლები.

კრედიტის გრაფიკში მითითებულ ვადაში შეთანხმებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი ჯერ აგზავნის მსესხებელთან შეტყობინებებს (ე.წ. „გაფრთხილების წერილებს“), ხოლო შედეგის არქონის შემთხვევაში იწყებს იძულებითი აღსრულების პროცედურებს მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, „არბიტრაჟის შესახებ“<sup>108</sup> საქართველოს კანონისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“<sup>109</sup> საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

**2. იპოთეკური კრედიტი.** ბიზნეს კრედიტისაგან განსხვავებით,

---

<sup>108</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 1999 წლის 19 ივნისს და მოქმედებს ცვლილება-დამატებებით;

<sup>109</sup> „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 1999 წლის 16 აპრილს და მოქმედებს ცვლილება-დამატებებით;

იპოთეკური კრედიტი შეიძლება გაიცეს ნებისმიერ არამენარმე ფიზიკურ პირზე. როგორც წესი, მენარმე იურიდიული პირებისთვის, თავიანთი მკვეთრად გამოხატული კომერციული მიზნების გამო, იპოთეკური სესხი არ გაიცემა<sup>110</sup>.

არამენარმე ფიზიკური პირი შეიძლება იყოს როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი (უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი). მთავარია, რომ აღნიშნულ მსესხებელს იპოთეკური კრედიტი აღების დროს ქონდეს კონკრეტული მიზანი.

იპოთეკური კრედიტი გაიცემა კონკრეტული მიზნით – უძრავი ქონების შესაძენად ან მის გასარემონტებლად.

აღნიშნული სახის კრედიტის გაცემისას უზრუნველყოფის საშუალებად გამოიყენება დატვირთვა. როგორც წესი, იპოთეკით იტვირთება გამოიყენება სწორედ ის უძრავი ქონება, რომლის შესაძენად ან გასარემონტებლადაც გაიცემა აღნიშნული კრედიტი. სწორედ აქედან მომდინარეობს აღნიშნული სახის კრედიტის დასახელებაც – იპოთეკური კრედიტი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ბანკმა ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციამ, თუ ჩათვალა, რომ აღნიშნული იპოთეკის საგანი ნაკლებად ლიკვიდურია ან შესაძლოა სამომავლოდ არალიკვიდური ან დაბალლიკვიდური გახდეს, მსესხებელს მოსთხოვოს სხვა დამატებითი სანივთო (სხვა ქონების იპოთეკა ან გირავნობა) თუ ვალდებულებით-სამართლებრივი (მესამე პირის თავდებობა) ნარმოდგენა.

იპოთეკური კრედიტის გაცემის დროს, გარდა მიზნობრიობისა, ყურადღება ექცევა მსესხებლის ლეგალურ შემოსავლებს (ხელფასს და სხვა შემოსავლებს). ბუნებრივია, რომ, რაც უფრო მაღალია მსესხებლის შემოსავალი, მით მეტი თანხის გაცემას უზრუნველყოფს ბანკი და მის დიდი საბაზრო ღირებულების უძრავი ქონების შეძენა შეუძლია მსესხებელს.

აღნიშნული შემოსავლების დამადასტურებელი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ბანკის (ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციის) მიერ ხდება იპოთეკური სეს-

---

<sup>110</sup> Günter Luz, Werner Neus, Mathias Schaber, Paul Scharpf, Peter Schneider, Max Weber (Hrsg.). Kreditwesengesetz (FWG). Kommentar zum KWG inklusive SolvV, LiqV, GroMikKV, MaRisk, 2. Aufl., Stuttgart, 2011, S.879.

ხის გაცემაზე შესაბამისი საკრედიტო კომიტეტის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღება.

დადებითი პასუხის შემთხვევაში ფორმდება საბანკო კრედიტისა და იპოთეკის ხელშეკრულებები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბანკის მოთხოვნით, დამატებით შეიძლება გაფორმდეს როგორც სხვა ქონების იპოთეკის, ასევე გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულებები.

თავდებობის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-905-ე მუხლებით დადგენილი წესები თავმდების განცხადებისა და თავდებობის ხელშეკრულების დადების შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში თავდები პირი მსესხებელთან ერთად კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას ბანკის წინაშე, იპოთეკის კრედიტით განსაზღვრული ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ბანკისთვის დაბრუნებაზე. თავდებობის ხელშეკრულებასა და თავდების განცხადებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა.

აღსანიშნავია, რომ საბანკო პრაქტიკაში, იპოთეკური კრედიტის გაცემის დროს ხშირად მხარეები ერთ პრაქტიკულ პრობლემას აწყდებიან. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ კრედიტი გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად.

საქმე ის არის, რომ უძრავი ქონების შეძენისას გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ითხოვს ნასყიდობის თანხის მისთვის გადახდას. კომერციული ბანკი კი მხოლოდ მას შემდეგ გასცემს კრედიტის თანხას, როცა აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მის სასარგებლოდ იპოთეკა იქნება რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამიტომ იქმნება ე.წ. „ჩაკეტილი წრე“ – მსესხებელს (უძრავი ქონების შემძენს) არ აქვს მთლიანი ნასყიდობის თანხა (როგორ წესი, იპოთეკის კრედიტის დროს მსესხებლის თანადაფინანსება მოითხოვება უძრავი ქონების ნასყიდობის ღირებულების 30%-მდე), რომ გადაუხადოს მყიდველს (სხვაგვარად არ მოითხოვდა ბანკისგან კრედიტის აღებას), გამყიდველი არ ენდობა მყიდველს თანხის სრულად გადახდამდე და ამიტომ უარს აცხადებს ჯერ კიდევ მის საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვაზე,

ხოლო ბანკი, თავის მხრივ, უარს აცხადებს კრედიტის გაცემაზე, სანამ აღნიშნული კრედიტი უზრუნველყოფილი არ იქნება შესაბამისი იპოთეკით.

სწორედ აღნიშნულის გამო, ქართულ საბანკო პრაქტიკაში შემუშავებულ იქნა ე.წ. შერეული ტიპის ხელშეკრულება – „ნასყიდობა-იპოთეკის“ ხელშეკრულება, რომელიც აქტიურად გამოიყენება იპოთეკური კრედიტების გაცემის დროს. კერძოდ, ერთი ხელშეკრულებით ხდება ორი გარიგების – ნასყიდობისა და ქონების იპოთეკის ხელშეკრულებათა გაფორმება და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული ორი უფლების – ახალი მესაკუთრის (მყიდველის) ასახვას საჯარო რეესტრის ამონაწერში, „ქონების მესაკუთრის“ გრაფაში, ხოლო ბანკის სასარგებლოს იპოთეკის უფლების ასახვას – საჯარო რეესტრის ამონაწერის „ვალდებულებათა“ გრაფაში. აღნიშნულით სამივე მხარის უფლებები დაცულია და ამდენად, პრაქტიკულად ყველა იურიდიული პრობლემაც ერთდროულად გვარდება.

იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაბრუნების, აგრეთვე დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკის მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტები იმავე პრინციპით რეგულირდება, როგორც ბიზნეს კრედიტის შემთხვევაში, ამიტომ აღნიშნულზე აღარ შევჩერდები.

**3. სამომხმარებლო კრედიტი.** უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო კრედიტი კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი საკრედიტო პროდუქციაა. ამიტომაცაა, რომ პრაქტიკაში იგი გაცილებით მრავალფეროვანი სახეობებითაა წარმოდგენილი, ვიდრე ბიზნეს ან იპოთეკური კრედიტი.

სამომხმარებლო კრედიტი, იპოთეკური კრედიტის მსგავსად, გაიცემა მხოლოდ რეზიდენტ (არარეზიდენტ) ფიზიკურ პირებზე.

სამომხმარებლო კრედიტს, სხვა სახის კრედიტებისგან განსხვავებით, არ ახასიათებს მიზნობრიობა. ის შეიძლება გაიცეს ნემისმიერი დანიშნულებით – სამოგზაუროდ, პირადი ვალის დასაფარავად, სასურველი ნივთების შესაძენად ან უბრალოდ

გასართობად. ამიტომ სამომხმარებლო კრედიტის გაცემისას ყურადღება ექცევა თავად მსესხებლის შემოსავლებს და არა კრედიტის მიზნობრიობას.

სამომხმარებლო კრედიტის გაცემისას, პირველ რიგში, დგინდება მსესხებლის გადახდისუნარიანობა და მისი ლეგალური შემოსავლები. ამ შემთხვევაში ლეგალურ შემოსავალში იგულისხმება ფიზიკური პირის ხელფასიდან, სანარმოთა აქციებისა და ნილების ფლობით მიღებული დივიდენდებიდან, ბანკში (ან სხვა კომპანიებში) განთავსებული (გასესხებული) ანაბრებისა და საპროცენტო სარგებლიდან, იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლებიდან მიღებული თანხები.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს წარდგენილი შემოსავლები არ ერიცხება გამსესხებელ ბანკში მის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე, მაშინ ბანკს შეუძლია მსესხებელს მოსთხოვოს შემოსავლების დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტების წარდგენა (სახელფასო ცნობა, დივიდენდების მიღების დამადასტურებელი ამონაწერები, საიჯარო ხელშეკრულებები და ა.შ.).

შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ბანკი იღებს გადაწყვეტილებას სამომხმარებლო კრედიტის გაცემაზე.

ბიზნეს და იპოთეკური კრედიტისაგან განსხვავებით, სამომხმარებლო კრედიტი არ არის გრძელვადიანი და როგორ წესი, მისი დაფარვა გაცემიდან რამდენიმე თვეში ხდება. გარდა ამისა, სამომხმარებლო კრედიტები უფრო მცირე თანხით შემოიფარგლება და ამდენად, პრაქტიკაში საკმაოდ მოხერხებულია. ამიტომაცაა, რომ სწრაფად განვითარდა და დღეისათვის სამომხმარებლო კრედიტის რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულია საკრედიტო ბარათებზე დაშვებული ე.წ. „ოვერდრაფტი“.

**„ოვერდრაფტი“** თავისი იურიდიული ბუნებით სამომხმარებლო კრედიტია, ამიტომ ოვერდრაფტის ხელშეკრულება სხვა არაფერია, თუ არა სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების ნაირსახეობა. სტანდარტული სამომხმარებლო კრედიტისგან განსხვავებით, ოვერდრაფტი დაიშვება მხოლოდ საკრედიტო ბარათებზე. შესაბამისად, მსესხებლის მიერ მისი მიღება გაცილებ-

ბით სწრაფად (ფაქტობრივად ავტომატურ რეჟიმში) ხდება, ვიდრე სტანდარტული სამომხმარებლო კრედიტისა.

ოვერდრაფტი გულისხმობს ბანკის მიერ საკრედიტო ბარათის მფლობელის ანგარიშზე ავტომატური კრედიტის (ე.წ. „მინუსის“) გამოყენების შესაძლებლობას გამუდმებული სამომხმარებლო კრედიტების გაფორმების გარეშე. საკრედიტო ბარათზე ოვერდრაფტის დაშვების შემთხვევაში, ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ოვერდრაფტის ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება ყოველთვიურად ასათვისებელი ოვერდრაფტის მოცულობა, ანუ ლიმიტი. აღნიშნული ლიმიტი, ბანკის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კლიენტის ცნობადობისა და შემოსავლების მიხედვით განისაზღვრება.

სტანდარტულად დაშვებული ოვერდრაფტის ლიმიტი სახელფასო საკრედიტო ბარათებზე შეადგენს კლიენტის ყოველთვიური ხელფასის ოდენობის 80%-ს. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ბანკს შეუძლია აღნიშნული ლიმიტის გაზრდა ან შემცირება.

გარდა ოვერდრაფტის ხელშეკრულებისა, კომერციულ ბანკებს გააჩნია სამომხმარებლო კრედიტის მრავალი სახესხვაობა. ასე, მაგალითად, არსებობს, ე.წ. „მარტივი“, „ექსპრეს“, „სამოგზაურო“ და სხვა სახის სამომხმარებლო კრედიტები.

### თავი 3. ანაბრის ხელშეკრულება

#### §1. ანაბრის ხელშეკრულების არსი

ანაბარი (დეპოზიტი) საბანკო მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ანაბრის ხელშეკრულებას ცალკე არეგულირებს. მას დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის 874-875-ე მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლის მიხედვით, ფულადი თანხის შეტანით (ანაბარი) საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

მარტივად რომ ვთქვათ, რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (მეანაბრეებს) უფლება აქვთ კანონით ზუსტად განსაზღვრულ საკრედიტო დაწესებულებაში შეიტანონ განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ფულადი თანხა. თანხის შეტანისთანავე საკრედიტო დაწესებულება მასზე მოიპოვებს საკუთრების უფლებას, ხოლო მეანაბრეს რჩება მოთხოვნის უფლება არა მხოლოდ შეტანილ თანხაზე, არამედ მისაღებ სარგებელზეც.

აღსანიშნავია, რომ ანაბარი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბანკო მომსახურების სახეა. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მოსახლეობის გარკვეული ფენა, ძირითადად პენსიონერები, რომლებიც თავიანთი დანაზოგებიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობენ. აღნიშნულ პირებს ევროპაში „რანტიეს“ (ფრანგული სიტყვიდან – Rentier) უწოდებენ. აღნიშნულ პირთა ძირითად შემოსავალს სწორედ ბანკში განთავსებული ანაბრებიდან, სხვადასხვა პირებზე გაცემული სესხიდან, აგრეთვე აქციებიდან, ობლიგაციებიდან, თამასუქებიდან და სხვა ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი წარმოადგენს.

ამიტომაც ანაბრის ხელშეკრულება არ უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკე მდგომი, ელიტარული, მხოლოდ ბიზნეს წრეებისთვის განკუთვნილი საბანკო პროდუქტი. ის ისეთივე ყოველდღიურობაა ადამიანებისთვის, როგორც, მაგალითად, საბანკო ანგარიშის ქონა.

იმის გამო, რომ ანაბრებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები ადამიანთა ფართო ფენებს ეხება, სახელმწიფო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს მეანაბრეთა ინტერესების დაცვისათვის. ძალიან ბევრმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა ბიზნეს ურთიერთობების გამოცდილება და საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მიჩვეული იყო სახელმწიფოს კუთვნილ ბანკებში დანაზოგის განთავსებით და ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის მიღებით, უმძიმესი გარდამავალი პერიოდი გაიარა.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეიქმნა ასობით მცირე მოცულობის „ბანკი“, რომელიც დღევანდელი გადმოსახედიდან, სხვა არაფერი იყო, თუ არა კლასიკური „პირამიდული“ სისტემის მქონე აფერა. ყოველდღიურად იხსნებოდა „ბანკები“, რომლებიც მოსახლეობას მათ მიერ აღნიშნულ ბანკში შეტანილი „ანაბრების“ სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ ყოველთვიურ 30-50% საპროცენტო სარგებელს, რაც წელიწადში 360-600% სარგებელს ნიშნავდა. გაუთვითცნობიერებელი მოსახლეობა კი ყიდდა სახლებს, ავტომანქანებს, ძვირფასეულობას, რათა ეს თანხები განეთავსებინა აღნიშნულ „ბანკებში“ და უფრო ძვირად ღირებული სახლები და ავტომანქანები შეეძინა. შედეგად კი მათ ხვდებოდათ დაკეტილი და გაკოტრებული ბანკები და მოტყუებული „მეანაბრები“ კი მთელ თავის ქონებას კარგავდნენ.

სამწუხაროდ, ეს პერიოდი სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ერთად საქართველომაც გამოიარა. მოგვიანებით, როდესაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოახერხა შედარებით სტაბილური საბანკო ბაზრის ფორმირება, ათობით საბანკო ლიცენზიის გაუქმება მოუხდა.

სწორედ ამის, გამოა, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს მოსახლეობის ანაბრების დაცვისათვის. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, კერძოდ, 128-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში პირდაპირ აღინიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება „მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთ ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას უფლება არ აქვს მიუთითოს საანაბრო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

არსანიშნავია, რომ ანაბრის მიღების უფლება საქართველოში აქვს მხოლოდ ორ საკრედიტო დაწესებულებას – კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს. კერძოდ, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის „ა“ პუნქტში მითითებულია, რომ კომერციული ბანკისთვის ნებადართულია „პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა“. რაც შეეხება საკრედიტო კავშირებს, მათ „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით უფლება აქვთ „მიიღონ ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისგან“.

კომერციულ ბანკსა და საკრედიტო კავშირს შორის ანაბრების მიღების ნაწილში არსებობს პრინციპული განსხვავება. საკრედიტო კავშირი ანაბრებს იღებს მხოლოდ კავშირის წევრებისაგან, მაშინ, როცა კომერციულ ბანკს უფლება აქვს ანაბარი მიიღოს ნებისმიერი მესამე პირისაგან, იქნება ეს რეზიდენტი თუ არარეზიდენტი, ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

ანაბრის ხელშეკრულება წარმოადგენს სასყიდლიან ხელშეკრულებას. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ანაბრებს უნდა დაერიცხოს პროცენტები“.

საპროცენტო სარგებლის ოდენობა დამოკიდებულია ანაბრის სახეზე, ანაბრის ვადაზე, საპროცენტო სარგებლის მიღების პერიოდებზე და ა.შ. აღნიშნული საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული ანაბრის სახეებზე მსჯელობისას და ამიტომ ამაზე აქ აღარ შევჩერდები.

ანაბრის ხელშეკრულება, თავისი სამართლებრივი შინაარსით, წააგავს სანაკო კრედიტისა და სესხის ხელშეკრულებებს, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავება.

ანაბრის ხელშეკრულებასა და საბანკო კრედიტის ხელშეკ-

რულებას შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ პირველ შემთხვევაში მენაბრე ანაბრის გახსნისა და შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან თავად ხდება კომერციული ბანკის ან საკრედიტო კავშირის კრედიტორი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შეტანილი ანაბრის თანხაზე საკუთრების უფლებას ბანკი (საკრედიტო კავშირი) მოიპოვებს, მოთხოვნის უფლება მენაბრეს რჩება. საბანკო კრედიტის დროს კი პირიქითაა, კომერციული ბანკი ყოველთვის თავად გამოდის მსესხებლის კრედიტორად და მოთხოვნის უფლება სწორედ ბანკს აქვს.

დაახლოებით ანალოგიური ტიპის განსხვავებაა ანაბრის ხელშეკრულებასა და სესხის ხელშეკრულებას შორის. მაგრამ სესხის ხელშეკრულებაში მხარე არ არის ბანკი, მსესხებლისა და გამსესხებლის როლში გვევლინება რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები.

აღსანიშნავია, რომ ანაბრიდან მიღებულ სარგებელსა და სესხიდან მიღებულ სარგებელს შორის განსხვავება არსებობს საგადასახადო დაბეგვრის ნაწილშიც.

კერძოდ, ანაბრის განთავსება ბანკში ან საკრედიტო დაწესებულებაში არ მიიჩნება ეკონომიკურ საქმიანობად. აღნიშნულზე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, „ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე“.

ანაბრისგან განსხვავებით, სესხი, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას. ამიტომაცაა, რომ საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე ფულადი სახსრების განთავსებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანაბრიდან (დეპოზიტიდან) მიღებული საპროცენტო სარგებელი იბეგრება ნულოვანი

განაკვეთით, ანუ არ იბეგრება, ხოლო სესხის პროცენტიდან მიღებული სარგებელი, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იბეგრება 5%-იანი განაკვეთით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლის მე-4-5 და მე-6 პუნქტები ითვალისწინებენ საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელების მხრიდან მენაბრისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისა და არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მათი პასუხისმგებლობის საკითხებს. კერძოდ, ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებული არიან მენაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ის პირი, რომელიც ბრალეულად გასცემს არასწორ ინფორმაციას ან უარს ამბობს საჭირო მონაცემების მიწოდებაზე, ვალდებულია მენაბრეს აუნაზღაუროს არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ინფორმაციის გაუცემლობით წარმოშობილი ზიანი. ასევე აგებენ პასუხს სოლიდარულად ბანკის დირექტორები (მენეჯერები), რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2011 წლის 13 აგვისტოს №35/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“<sup>111</sup>, რომელიც დეტალურადაა გაანალიზებული საბანკო კრედიტის განხილვისას, ზუსტად განსაზღვრავს კომერციული ბანკების ვალდებულებას მენაბრეთა წინაშე ანაბრის (დეპოზიტის) გახსნისას ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სადეპოზიტო ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია<sup>112</sup>:

ა) დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი ან განაკვეთები, თუ აღნიშნული განსხვავებულ მნიშვნელობებს იღებს მომხმარებლის

<sup>111</sup> ძალაში შევიდა 2011 წლის 1 ივნისიდან.

<sup>112</sup> აღნიშნული მოთხოვნები ძალაში შევიდა 2012 წლის 3 მაისიდან შეტანილი ცვლილებებით.

ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე, თითოეული გარემოების მითითებით;

ბ) დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ იმ ცალკეული გარემოებების/წესების მითითებით, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ცვლილებები და მოსალოდნელი ცვლილებების მომხმარებლისათვის წინასწარ შეტყობინების წესი;

გ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის<sup>113</sup> გამოყენების შემთხვევაში, ის ინდექსი, რომელზეც დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;

დ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, იმ ინდექსის საჯარო ხელმისაწვდომობის წყარო, რომელზეც დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;

ე) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი;

ვ) დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი<sup>114</sup>, დამრგვალებული სულ მცირე მეთაემდე;

ზ) უცხოური ვალუტით განთავსებული სადეპოზიტო პროდუქტისათვის, დამატებით, დანართში მოცემული ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;

თ) ის დაშვებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც გამოყენებულ იქნა დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში;

ი) ვადიანი დეპოზიტის ხანგრძლივობა, ვადის მითითებით;

---

<sup>113</sup> ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი არის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული; საჯარო ინდექსი კი გულისხმობს ისეთ საჯაროდ ხელმისაწვდომ მაჩვენებელს, განაკვეთს ან ინდექსს, რომელზეც ბანკი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

<sup>114</sup> დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის დეპოზიტის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და მიღებული/მისაღები სარგებელი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების განევისა და სარგებლის მიღების პერიოდის გათვალისწინებით.

კ) საპროცენტო სარგებლის დარიცხვისა და ასახვის წესი – დარიცხვის დაწყების პირობები, ასევე, რა პერიოდულობით ხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა და ასახვა;

ლ) მინიმალური მოთხოვნები დეპოზიტის გახსნისათვის, მინიმალური მოთხოვნები განცხადებულ საპროცენტო სარგებლის მიღებისათვის;

მ) სადეპოზიტო პროდუქტის ფინანსური ხარჯები;

ნ) ვადიანი დეპოზიტის სხვა პირობები: ვადები, თანხის ადრეულ გამოტანასთან დაკავშირებული საურავები და გადასახდელები, სარგებლის გამოტანის პირობები, განახლების პირობები;

ო) პრეტენზიის წარდგენის ფორმები ბანკში, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის წყარო, მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოსატულ პრეტენზიაზე, ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა, ასევე ბანკის პრეტენზიის განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები.

როგორც მითითებული ნორმიდან ნათლად ჩანს, ანაბრის (დეპოზიტის) გახსნისას კომერციული ბანკი ვალდებულია შეანაბრეს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

## § 2. ანაბრის ცალკეული სახეები

პრაქტიკაში ანაბრის მრავალი სახე არსებობს. პირველადი დაყოფით, ანაბრები შეიძლება დაიყოს ვადიან და მოთხოვნამდე ანაბრებად. ამგვარი დაყოფა გამომდინარეობს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდანაც. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დანესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქცია“, მე-2 მუხლში, დეპოზიტში (ანაბარში) მოიაზრებს ვადიან დეპოზიტს და მოთხოვნამდე დეპოზიტს.

აღნიშნული ინსტრუქციის მიხედვით, ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი) არის სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

რაც შეეხება მოთხოვნამდე დეპოზიტს (ანაბარს), იგი წარმოადგენს სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელზეც თანხის შეტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მოთხოვნისთანავე.

აღნიშნულ ანაბრებს შორის მთავარი განსხვავება მათ ვადიანობასა და სახელშეკრულებო პირობებშია. კერძოდ, კლასიკური ვადიანი ანაბარი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, კონკრეტულ სახელშეკრულებო ვადებშია მოქცეული. შესაბამისად, როდესაც მენაბრე ბანკთან აფორმებს ხელშეკრულებას, მას, როგორც წესი, აღნიშნული თანხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე უკან დაბრუნების უფლება არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას პირგასამტეხლოს სახით შეთანხმებული საპროცენტო სარგებლის ნაცვლად გაცილებით მცირე საპროცენტო სარგებელი ერიცხება. გარდა ამისა, მენაბრეს შეზღუდული აქვს უფლება ანაბრის თავდაპირველ თანხას დაამატოს ან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გამოიტანოს ანაბრის თანხის ნაწილი. აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მე-3 და 31-ე პუნქტები, რომლის მიხედვითაც, „ბანკს უფლება აქვს არ დაუშვას ვადიანი დეპოზიტების გატანა/გადარიცხვა ვადის ამონურვამდე, თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (მუხ. მე-3). „თუ ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კლიენტის მიერ თანხის ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა, ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს საპროცენტო სარგებლის დარიცხვასთან დაკავშირებულ პირობებს“ (მუხ. მე-3<sup>1</sup>).

აღნიშნულის სანაცვლოდ, ანუ იმის გამო, რომ კომერციულ ბანკს უფლება აქვს დროში წინასწარ პროგნოზირებულ ვადაში თავისუფლად განკარგოს ანაბრის თანხა (მაგალითად, გასცეს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით საბანკო კრედიტი), ბანკი მეანაბრეს სთავაზობს იმ მომენტისთვის ბაზარზე არსებულ ყველაზე მაღალ საპროცენტო სარგებელს.

რაც შეეხება მოთხოვნამდე ანაბარს, იგი სრულ თავისუფლებას აძლევს მეანაბრეს საკუთარი სურვილისამებრ, დროში შეუზღუდავად, ბანკში სპეციალურ საანაბრე ანგარიშზე შეიტანოს და გამოიტანოს თანხა. შესაბამისად, ბანკიც, რადგან არ შეუძლია ანაბრის თანხის განკარგვაზე დროში პროგნოზირება, გაცილებით დაბალ საპროცენტო სარგებელს სთავაზობს. შედარებისთვის, თუ ვადიანი ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ მერყეობს, ვთქვათ, 8%-10%, მოთხოვნამდე ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთია 1%-3%.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნამდე ანაბრის გახსნისას, შესაძლებელია ანაბრის ხელშეკრულება სპეციფიკურ პირობებსაც ითვალისწინებდეს. მაგალითად, ანაბრის გატანისას მეანაბრე ვალდებული იყოს წინასწარ გააფრთხილოს აღნიშნულის შესახებ ბანკი. აღნიშნული პირობის არსებობას პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დანესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მე-34 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „მოთხოვნამდე დეპოზიტის გატანისას, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარი შეტყობინება თანხის გატანის შესახებ, თუ ეს გათვალისწინებულია ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულებით“.

ანაბრის გახსნისას ბანკს აუცილებლად მოეთხოვება მეანაბრისთვის სპეციალური სადეპოზიტო ანგარიშის გახსნა. ზემოთ მითითებული ინსტრუქციის მიხედვით, სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში – ეს არის ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები. ამ ინსტრუქციის შესაბამისად დეპოზიტად არ მიიჩნევა შიდასაბანკო ანგარიშებზე ბანკის მიერ

განთავსებული საბანკო გარანტიისა და აკრედიტივის უზრუნველყოფის თანხები, გაცემული გარანტიისა და გახსნილი აკრედიტივის ფარგლებში, ასევე გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით დაჯავშნული თანხები, ათვისებული ოდენობის ფარგლებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინსტრუქციის მიხედვით, აუცილებელია, რომ ვადიანი ანაბრის ანგარიშზე თანხის შეტანა-გატანა და გადარიცხვა წარმოებდეს მხოლოდ მეანაბრის მიმდინარე ანგარიშის ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის მეშვეობით. აღნიშნულს ითვალისწინებს ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტი.

რაც შეეხება ბანკის მიერ ე.წ. „შემნახველი წიგნაკის“ გაცემას მეანაბრეზე, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინსტიტუტი თანამედროვე პირობებისთვის საკმაოდ მოძველებულია და კომერციული ბანკებიც ძალიან იშვიათად მიმართავენ შემნახველი წიგნაკების გამოწერას მეანაბრეებზე. მიუხედავად ამგვარი პრაქტიკული გამოუყენებლობისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 875-ე მუხლი ითვალისწინებს შემნახველი წიგნაკის გაცემას და მიუთითებს, რომ „საკრედიტო დანესებულება შემნახველი წიგნაკის გაცემისას უფლებამოსილია შეავსოს იგი მხოლოდ სახელობით (კონკრეტულ პირზე)“.

საბანკო პრაქტიკაში, მარკეტინგული მიზნებიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების მიერ ყოველწლიურად იქმნება სხვადასხვა „სახესხვაობის“ ანაბრები, რომლებიც კლასიკური ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებისგან ოდნავ განსხვავებულ პირობებს შეიცავენ, რითიც კლიენტების მაქსიმალურად მოზიდვას უწყობენ ხელს. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი კომერციულ ბანკში მისულ კლიენტს ბანკი სთავაზობს უამრავ „მომხიბვლელი“ დასახელების ანაბრებს. მაგრამ თუ მათ შინაარს კარგად გავეცნობით, დავინახავთ, რომ ისინი სხვა არაფერია, თუ არა ოდნავ სახეცვლილი ვადიანი ან მოთხოვნამდე ანაბარი.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს წარმოდგენილი ანაბრები, განვიხილოთ საქართველოს ყველაზე დიდი ორი ბანკის – სს „საქართველოს ბანკისა“ და სს „თიბისი ბანკის“ ანაბრის ცალკეული სახეები.

დღეისათვის სს „საქართველოს ბანკს“ ბაზარზე წარმოდგენილი აქვს: „ვადიანი ანაბარი“, „ანაბარი მაქსიმა“, „საბავშვო ანაბარი“, „შეგროვებადი ანაბარი“, „საინვესტიციო ანაბარი“, „მოთხოვნამდე ანაბარი“, „ელექტრონული ყულაბა“, „ექსპრეს ანაბარი“.

სს „თიბისი ბანკის“ მიერ წარმოდგენილი ანაბრების სახეებია: „ვადიანი ანაბარი“, „ვადიანი პლუს ანაბარი“, „შემნახველი ანაბარი“, ანაბარი „ჩემი მიზანი“, „ოქროს ანაბარი“, ანაბარი „ჩემი სეიფი“, „საბავშვო ანაბარი“, „ბონუს ანაბარი“.

წარმოდგენილი ანაბრებიდან კლასიკური ტიპის ანაბრებია ვადიანი ანაბარი და მოთხოვნამდე ანაბარი (შემნახველი ანაბარი). რაც შეეხება დანარჩენი ტიპის ანაბრებს, ისინი აღნიშნული ორი სახის ანაბრის მოდიფიკაციას წარმოადგენს და შესაბამისად, მიუხედავად განსხვავებული დასახელებებისა, მაინც აქვთ მსგავსება. ასე მაგალითად, ვადიანი ანაბრის სახესხვაობას წარმოადგენს „ანაბარი მაქსიმა“, „საბავშვო ანაბარი“, „საინვესტიციო ანაბარი“, „ვადიანი პლუს ანაბარი“, „ბონუს ანაბარი“ და სხვ., ხოლო მოთხოვნამდე ანაბრის ერთ-ერთი სახეა ანაბარი „ჩემი სეიფი“.

ვფიქრობ, რომ ჩამოთვლილი ანაბრის სახეობებიდან განსაკუთრებული სპეციფიკურობით გამოირჩევა „საბავშვო ანაბარი“, „ოქროს ანაბარი“ („საინვესტიციო ანაბარი“) და ანაბარი „ჩემი სეიფი“.

**„საბავშვო ანაბარი“.** საბავშვო ანაბარი საშუალებას აძლევს კლიენტს ანაბარი გაუხსნას არასრულწლოვან პირს (როგორც წესია, მისი ოჯახის წევრს – შვილს, დას, ძმას და ა.შ.) და შეაგროვოს თანხა ბავშვის სრულწლოვანებამდე. სხვა ანაბრებთან შედარებით საბავშვო ანაბარს ერიცხება მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, განსაზღვრული არ არის შენატანების გაკეთების გრაფიკი. საპროცენტო სარგებელი დაახლოებით განისაზღვრება ლარში – წლიური 16%, აშშ დოლარში – წლიური 9%, ევროში/გირვანქა სტერლინგში – წლიური 8.75% (სს „თიბისი ბანკი“-ს ტარიფებით)<sup>115</sup>.

აღნიშნული სტანდარტული პროცენტები ანაბარს ერიცხება

---

<sup>115</sup> აღნიშნული საპროცენტო განაკვეთები პერიოდულად იცვლება კომერციული ბანკის მიერ ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიხედვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაბარზე თანხის დამატება არის ყოველთვიური. წინააღმდეგ შემთხვევაში ანაბარს დაერიცხება 0,5%-ით ნაკლები სარგებელი (სს „თიბისი ბანკის“ სახელშეკრულებო პირობით). მოცემული განაკვეთები მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის.

ამასთან, საბავშვო ანაბრის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია პირველი 1 წლის განმავლობაში. ერთი წლის გასვლისთანავე ანაბრის საპროცენტო განაკვეთი გადაისინჯება და მიეხება გადასინჯვის მომენტში არსებულ ბანკის საბავშვო ანაბრის ტარიფებს. რაც შეეხება 1 წლის შემდეგ შემოტანილ დამატებით ტრანშებს, მას დაერიცხება შემოტანის მომენტში არსებული საპროცენტო განაკვეთი.

საინტერესოა ისიც, რომ ანაბრის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ანუ იმის გამო, რომ საბავშვო ანაბარი პირის მიერ იხსნება მესამე პირის – არასრულწლოვანის სასარგებლოდ, აღნიშნულ ანაბარზე ანგარიშის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქცია“ ითვალისწინებს სპეციფიკურ პირობას. კერძოდ, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „არასრულწლოვნის სახელზე გახსნილი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ნებადართულია თანხის შემომტანი პირის ანგარიშის მეშვეობით, ხოლო ანაბრის გატანა/გადარიცხვა – ანაბრის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ანგარიშის მეშვეობით“.

საბავშვო ანაბრის მინიმალური ვადაა 2 წელი, ხოლო მაქსიმალური ვადა – ბავშვის სრულწლოვანებამდე. ანაბარზე პროცენტის დარიცხვა წარმოებს წელიწადში ერთხელ, რთული პროცენტის პირობით, ამასთან, პირველი დარიცხვა ხდება ანაბრის გახსნის დღიდან ერთ წელში. აღნიშნულ ანაბარზე დაშვებულია ოპერაციები როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე უნაღდო სახით. გარდა ამისა, შესაძლებელია ანაბრის ავტომატური პროლონგაცია იმავე ვადით, რაც, სანყისი ანაბარი (მაქსიმუმ ბავშვის სრულწლოვანებამდე).

რაც შეეხება საბავშვო ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო ანაბრის პირობის დარღვევას, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების

ვადაზე ადრე შეწყვეტისას მეანობრე მიიღებს პერიოდის განმავლობაში ანაბარზე დარიცხული ჯამური პროცენტის თანხის 70%-ს. ანუ პირგასამტეხლოს სახით მას უკავდება მისაღები ჯამური საპროცენტო სარგებლის 30%.

**„ოქროს ანაბარი“.** აღნიშნული ტიპის ანაბრის საპროცენტო სარგებელი დაკავშირებულია ოქროს, როგორც ძვირფასი ლითონის ბაზარზე არსებულ საბაზრო ფასზე. ბანკი აცხადებს, რომ აღნიშნული ანაბრის საიმედოობას გარანტირებულს ხდის მის მიერ შექმნილი ოქროთი და საპროცენტო სარგებელსაც აბამს ოქროს ფასს. ბანკი მეანობრეს უდგენს საპროცენტო სარგებლის კონკრეტულ ჩარჩოებს (მაგალითად, სს „თიბისი ბანკი“ – მინიმუმ წლიურ 7% და მაქსიმუმ წლიურ 14%). ბანკი თავის ვებგვერდზე სისტემატურად აქვეყნებს ოქროს ფასს. თუ მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში ოქროს ფასი შემცირდა ან გაიზარდა 0%-დან 7%-მდე – ანაბარს ერიცხება მინიმალური 7%; თუ ფასი გაიზარდა 7%-დან 14%-მდე (მაგალითად, 12%), ანაბარს დაერიცხება ოქროს ფასის ზრდის ეკვივალენტური საპროცენტო განაკვეთი (ჩვენს მაგალითში, 12%), ხოლო თუ ოქროს ფასი გაიზარდა 14%-ზე მეტით – ანაბარს დაერიცხება მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, წლიური 14%.

დაახლოებით ანალოგიურ პრინციპზეა აგებული სს „საქართველოს ბანკის“ მიერ წარმოდგენილი „საინვესტიციო ანაბარი“, იმ განსხვავებით, რომ ანაბრის საპროცენტო სარგებელი მიბმულია როგორც ოქროზე, ასევე ნავთობის ფასებზე და მეანობრეს ანაბრის გახსნისას შეუძლია თავად აირჩიოს, თუ რომელი პროდუქციის ფასების ცვლილებაზე მიაბას მისი ანაბრის საპროცენტო სარგებელი – ოქროზე თუ ნავთობის ფასზე.

**ანაბარი „ჩემი სეიფი“.** ანაბარი „ჩემი სეიფი“ წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაბრის ერთ-ერთ ნაირსახეობას. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მოთხოვნამდე, ანაბრისგან განსხვავებით, მას ერიცხება უფრო მაღალი საპროცენტო სარგებელი (სს „თიბისი ბანკის“ ტარიფებით – ლარში – წლიური 7,5%, ხოლო აშშ დოლარში – წლიური 5,5%), მაგრამ იმ პირობით, რომ ეს პროცენტი დაერიცხება მხოლოდ კალენდარული თვის პირველ რიცხვსა და ბოლო რიცხვს შორის პერიოდში (ანუ 2 კალენდარულ-

ლი თვის ინტერვალში) არსებულ ხელშეუხებელ ნაშთს. მაგალითად, თუ მეანაბრემ 1 სექტემბერს შეიტანა 2000 ლარი, შემდეგ 5 სექტემბერს დაამატა 500 ლარი, და 15 სექტემბერს გამოიტანა 1000 ლარი, საპროცენტო სარგებელი წლიური 7,5% ოდენობით დაერიცხება 30 სექტემბერს, აღნიშნულ თვის განმავლობაში არსებულ ხელშეუხებელ ნაშთს, ანუ 1500 ლარს.

ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი ანაბრები ნათელ წარმოდგენას იძლევა ცალკეული დეპოზიტების სპეციფიკურ ხასიათზე.

## თავი 4. დოკუმენტური აკრედიტივისა და დოკუმენტური ინკასოს ხელშეკრულებები

### § 1. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება

თანამედროვე საბანკო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანგარიშსწორების ისეთ ფორმას, როგორცაა ანგარიშსწორება აკრედიტივით.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში აკრედიტივით ანგარიშსწორება საკმაოდ ხშირად გამოიყენება. ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად კომპანიებს ერთმანეთის მიმართ „ბრმა“ ნდობა არა აქვთ და ხელშეკრულების გაფორმებისას ყოველთვის რჩება იმის რისკი, რომ რომელიმე მხარე შესაძლოა არაკეთილსინდისიერად მოიქცეს. ასე, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, გამყიდველი ფიქრობს, რომ, თუ მყიდველი მას წინასწარ არ გადაუხდის ნასყიდობის თანხას და ისე გაუგზავნის მას ნაყიდ საქონელს, შესაძლოა, მყიდველმა თანხის გადახდა დაუგვიანოს, არასრულად გადაუხადოს ან სულაც უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ანალოგიურად, მყიდველი ფიქრობს, რომ, თუ წინასწარ გადაუხდის თანხას გამყიდველს, შესაძლოა, ნაყიდი საქონელი უხარისხო, ნაკლები რაოდენობით ან/და საერთოდ ვერ მიიღოს. შესაბამისად, ხელშეკრულების ორივე მხარეს გარკვეული ბიზნეს რისკები არსებობს.

სწორედ აღნიშნულის გამო, საბანკო სისტემაში შემუშავებულ იქნა ანგარიშსწორების ისეთი ფორმა, რომელიც აღნიშნული ბიზნეს რისკებს ამცირებს და ფაქტობრივად ორივე მხარეს გარანტირებულს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებაში. ანგარიშსწორების ერთ-ერთ ასეთ მოქნილ ფორმად დოკუმენტური აკრედიტივი მიიჩნევა.

დოკუმენტური აკრედიტივი, როგორც ანგარიშსწორების ფორმა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით მოქმედ რეზიდენტ კომპანიებს შორის ანგარიშსწორებისას, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. პრაქტიკაში უფრო ხშირად სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება. დოკუმენტუ-

რი აკრედიტივი წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო და გარანტირებულ ფორმას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დოკუმენტურ აკრედიტივის ხელშეკრულებას განიხილავს მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართალი), სახელშეკრულებო სამართლის ოცდამეერთე თავში – საბანკო მომსახურება და სხვა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებთან ერთად იხილავს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, დოკუმენტურ აკრედიტივს, სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ ერთი მუხლი ეთმობა. კერძოდ, კოდექსის 876-ე მუხლის<sup>116</sup> მიხედვით:

1. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დანესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი ტანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გამომპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.

2. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

აღნიშნული მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი საკმაოდ ბუნდოვანია და ნათლად ვერ ასახავს აკრედიტივის რეალურ შინაარსს. კერძოდ, იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ აკრედიტივის შინაარსი, პირველ რიგში უნდა მის ცნებასა და მასთან დაკავშირებულ საბანკო პროცედურებში უნდა გავერკვეთ.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტივი ლათინური წარმოშობის სიტყვაა (*accredo*) და ნიშნავს – „ვენდობი“. ეკონომიკური შინაარსით, აკრედიტივი არის გადახდაზე ბანკის წერილობითი ვალდებულება, რომელსაც იგი მყიდველის (იმპორტიორის) დავალებით ექსპორტიორის სასარგებლოდ იღებს. აკრედიტივის გახსნით ბან-

---

<sup>116</sup> სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლში მითითებულია „დოკუმენტალური აკრედიტივი“. ვფიქრობ, რომ ეს ტერმინი რუსულის – „Документарный Акредитив“-ის ასლს წარმოადგენს და მისი სწორი ქართული შესატყვისია „დოკუმენტური აკრედიტივი“ – ზ.გ.

კი ცალმხრივად კისრულობს ფულად ვალდებულებას, რომ სპეციალური სახსრებიდან გადაუხდის ექსპორტიორს გადატვირთული საქონლის საზღაურს ან მოახდენს მისი გასაგზავნი თამასუქის აქცეპტირებას (ვალდებულების განაღდებაზე თანხმობას), თუ იგი სრულყოფილად წარუდგენს ბანკს ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტებს<sup>117</sup>.

იმისათვის, რომ აკრედიტივის ფორმით ანგარიშსწორება განხორციელდეს, მხარეებმა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას „ანგარიშსწორების“ თავში უნდა მიუთითონ, რომ „ანგარიშსწორება ხორციელდება აკრედიტივის საშუალებით“. ხოლო თავად აკრედიტით ანგარიშსწორების პროცედურა მოიცავს შემდეგი საფეხურებს:

1. იმპორტიორი (მყიდველი) და ექსპორტიორი (გამყიდველი) აფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას (ნასყიდობის, მიწოდების და ა.შ.) და მასში თანხმდებიან ანგარიშსწორების ფორმად დოკუმენტური აკრედიტივის აღკვეთის შესახებ. ამასთან, აუცილებელია, რომ ძირითად ხელშეკრულებაში მხარეებმა წინასწარ, ზუსტად გაითვალისწინონ იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რისი წარდგენაც ევალება ექსპორტიორს თანხის განაღდებას. დოკუმენტაციის ჩამონათვალზე ქვემოთ ცალკე მექნება საუბარი და ამიტომ აქ აღარ შევჩერდები.

2. იმპორტიორი (მყიდველი), რომელსაც საბანკო ურთიერთობებში „აპლიკანტს“ უწოდებენ, ავალებს ემიტენტ (მომსახურე) ბანკს გაუხსნას მას სპეციალური აკრედიტივის ანგარიში. ბანკი ამონმებს აპლიკანტის გადახდისუნარიანობას<sup>118</sup> და დადებითი შედეგის შემთხვევაში ხსნის აკრედიტივის ანგარიშს.

---

<sup>117</sup> გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ. 342.

<sup>118</sup> აღსანიშნავია, რომ იმპორტიორი (აპლიკანტი), როგორც წესი, აკრედიტივის გასახსნელად მიმართავს თავის მომსახურე ბანკს, სადაც მას საბანკო ანგარიშები აქვს გახსნილი და სარგებლობს სხვა საბანკო პროდუქტებით (საბანკო კრედიტი, ანაბარი, საბანკო გარანტია და ა.შ.). ამიტომ, ბანკის მიერ აპლიკანტის გამხდელუნარიანობის შემოწმება, ხშირად პრობლემის გარეშე ხდება და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

3. იმპორტიორის ემიტენტი (მომსახურე) ბანკი უკავშირდება ე.წ. საავიზო ბანკს (რომელიც პრაქტიკაში ყველაზე ხშირად, თავად ექსპორტიორის (გამყიდველის) მომსახურე ბანკს წარმოადგენს) და ატყობინებს აკრედიტივის გახსნის შესახებ. ამასთან, სთხოვს საავიზო ბანკს, რათა აცნობოს ექსპორტიორს მის სასარგებლო აკრედიტივის გახსნის შესახებ.

4. საავიზო ბანკი უკავშირდება მის კლიენტ ექსპორტიორ კომპანიას (ბენეფიციარს) და ატყობინებს მის სასარგებლოს აკრედიტივის გახსნის შესახებ. შეტყობინებასთან ერთად საავიზო ბანკი ექსპორტიორს უგზავნის აკრედიტივის პირობების ასლს.

5. ექსპორტიორი (ბენეფიციარი) ამოწმებს აკრედიტივის პირობების შესაბამისობას მასა და იმპორტიორს შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობებთან და დადებითი შედეგის შემთხვევაში აგზავნის მისანოდებელ საქონელს გადამზიდავ კომპანიასთან (წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად). იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტივის პირობები არ შეესაბამება მხარეთა შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებას, მაშინ ექსპორტიორი უკავშირდება იმპორტიორს და შენიშვნების მიღების შემთხვევაში ეს უკანასკნელი აპლიკანტი ბანკის მეშვეობით კორექტირებას უკეთებს აკრედიტივის პირობებს.

6. საქონლის სატრანსპორტო კომპანიაში გაგზავნის შემდეგ, ექსპორტიორი (ბენეფიციარი) გადამზიდავისაგან იღებს შესაბამის სატრანსპორტო დოკუმენტებს.

7. მხარეთა შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ექსპორტიორი აღნიშნულ სატრანსპორტო დოკუმენტებს წარუდგენს საავიზო ბანკს.

8. საავიზო ბანკი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია და თუ ძირითადი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპორტიორს გადაუხდის აკრედიტივში მითითებულ საქონლის თანხას.

9. აღნიშნულის შემდეგ საავიზო ბანკი სატრანსპორტო დოკუმენტაციას გადასცემს ემიტენტ ბანკს.

10. ემიტენტი ბანკი ამოწმებს საავიზო ბანკიდან მიღებულ სატრანსპორტო დოკუმენტაციას და დადებითი შედეგის შემთხვევაში, გადაურიცხავს საავიზო ბანკს აკრედიტივის თანხას.

11. ემიტენტი ბანკი პარალელურ რეჟიმში ახდენს აღნიშნული აკრედიტივის თანხის იმპორტიორის ანგარიშიდან ჩამოწერას ან სხვაგვარად გადახდევინებას.

12. ემიტენტი ბანკი გადასცემს იმპორტიორს სატრანსპორტო გადაზიდვის დოკუმენტაციას.

13. აღნიშნულ დოკუმენტაციას იმპორტიორი წარუდგენს სატრანსპორტო კომპანიას.

14. დადებითი შედეგის შემთხვევაში სატრანსპორტო კომპანია იმპორტიორს გადასცემს შესაბამის საქონელს.

ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული პროცედურიდან ნათლად ჩანს აკრედიტივის იურიდიული ბუნებაც. კერძოდ, აკრედიტივის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს იმპორტიორი (მყიდველი, საქონლის მიმღები, თანხის გადამხდელი), ემიტენტი (აპლიკანტი) ბანკი, საავიზო ბანკი და ექსპორტიორი (გამყიდველი, საქონლის მიმწოდებელი, თანხის მიმღები).

იმპორტიორის ვალდებულებაა საქონლის ნასყიდობა/მიწოდების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმართოს მის მომსახურე ბანკს (ემიტენტ ბანკს) აკრედიტივის გასახსნელად. ხოლო მას შემდეგ, რაც შესრულდება აკრედიტივის პირობები, ემიტენტ ბანკს უხდის აკრედიტივის თანხას და უფლება აქვს მისგან მიიღოს ექსპორტიორისაგან გამოგზავნილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია, რომელსაც საქონლის მისაღებად წარუდგენს სატრანსპორტო კომპანიას.

რაც შეეხება ემიტენტ (აპლიკანტი) ბანკსა და საავიზო ბანკს, ისინი აკრედიტივის ხელშეკრულებაში ფაქტობრივად ასრულებენ შუამავლების როლს ანგარიშსწორების განხორციელებაში იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის. აღნიშნულ მომსახურებაში კი, რასაკვირველია, ბანკები შესაბამის საკომისიოს იღებენ. საქართველოში აკრედიტივის მომსახურებისათვის ემიტენტი ბანკის (აპლიკანტის) ფუნქციისა და საავიზო ბანკის ფუნქციის შესრულებისათვის საკომისიო განისაზღვრება აკრედიტივის თანხის დაახლოებით 0,1%-0,5%-მდე<sup>119</sup>, თუმცა აწესებს მინიმალურ გა-

---

<sup>119</sup> ასე, მაგალითად, სს „თიბისი ბანკის“ ტარიფები აკრედიტივის გახსნა-ავიზირება განისაზღვრება 0,2%-ით (მინიმუმ 120 ევრო), აკრედიტივის დამონმებისათვის 0,1% (ყოველ თვეზე ან მის ნაწილზე), დოკუმენტების

დასახადის ზღვარსაც.

აკრედიტივის ხელშეკრულებაში ექსპორტიორის ვალდებულებაა საავიზო ბანკიდან აკრედიტივის გახსნის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე გადაამონმოს აკრედიტივის პირობები მასა და იმპორტიორს შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობებთან. დადებითი შედეგის შემთხვევაში, გააგზავნოს საქონელი გადამზიდავ სატრანსპორტო კომპანიასთან, ხოლო გადამზიდავი კომპანიის მიერ მონოდებული სატრანსპორტო დოკუმენტაცია წარუდგინოს საავიზო ბანკს. ექსპორტიორი უფლებამოსილია დოკუმენტაციის სრულად წარდგენისა და მისი საავიზო ბანკის გადამონმების შემდეგ მოითხოვოს ამ უკანასკნელისგან აკრედიტივის თანხის განაღდება.

აკრედიტივის ხელშეკრულებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ექსპორტიორისათვის დადებითად მიიჩნევენ: ა) ბანკიდან გადახდის ვალდებულების წარმოშობას; ბ) პარტნიორის (იმპორტიორის) გადახდისუნარიანობისა და კეთილსინდისიერების შემონმებას; გ) ექსპორტის ხელშეწყობას; ხოლო უარყოფით მხარედ მიიჩნევენ: ა) შედარებით მაღალ საბანკო ხარჯებს; გადაუხდელობის მაღალ რისკს აკრედიტივით დადგენილი დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის დროს.

იმპორტიორისათვის დადებითან მიიჩნევა: ა) უცხო ბაზარზე გამოყენების შესაძლებლობა; ბ) გადახდის გაიოლება; გადახდა მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე, რითაც ხელშეკრულების პირობების შესრულება დასტურდება; ხოლო უარყოფით მხარედ მიიჩნევა: ა) რისკი იმისა, რომ საქონელი დოკუმენტში მითითებულ ხარისხს არ შეესაბამება; ბ) შედარებით მაღალი საბანკო ხარჯები.

აკრედიტივის ხელშეკრულების სამართლებრივ ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ აკრედიტივის ერთ-ერთი მთავარი საკითხია გადაზიდვის შესაბამისი სატრანსპორტო დოკუმენტა-

---

მიღება-შემონმება 0,1% (მინიმუმ 120 ევრო). ცვლილებების შეტანა 120 ევრო, აკრედიტივის ანულირება 120 ევრო, სხვა/დამატებითი ხარჯი – დანახარჯების შესაბამისად იხ. <http://www.tbcbank.ge/ge/corporate/fees/>. დაახლოებით ანალოგიური ტარიფები აქვთ სხვა ქართულ ბანკებსაც. იხ. [www.bog.ge](http://www.bog.ge); [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge); [www.republic.ge](http://www.republic.ge) და ა.შ.

ციის სწორად წარდგენა. სატრანსპორტო დოკუმენტაციაში იგულისხმება არა მარტო გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ., კონოსამენტი), არამედ თავად საქონელთან დაკავშირებული სპეციალური კომერციული დოკუმენტები. საერთაშორისო ბიზნესში ამგვარ დოკუმენტებად მიიჩვენა:

- სავაჭრო ანგარიშ-ფაქტურები („ინვოისები“);
- სატრანსპორტო დოკუმენტები (კონოსამენტი, ექსპედიტორის მონმობა საქონლის მიღება/ჩატვირთვის შესახებ და ა.შ.);
- სასაწყობო მონმობები (ვარანტი (საქონლის შესახებ მიღებული მონმობა), „დელივერი“ (მფლობელის წერილობითი განკარგულება საქონლის გაცემის შესახებ) და სხვ.
- სადაზღვევო პოლისი ტვირთის დაზღვევის შესახებ;
- საქონლის სერტიფიკატები (წარმოშობის სერთიფიკატი, ხარისხის, ზომა-წონის, კონტროლის და ა.შ.);
- სხვა დოკუმენტაცია (საბაჟო ფაქტურები, დეკლარაციები და ა.შ.).

აკრედიტივის ხელშეკრულებაში სატრანსპორტო დოკუმენტაციის წარდგენის აუცილებლობის ასეთი მნიშვნელობის გამო, უწოდეს საერთაშორისო ბიზნეს სამართალში „დოკუმენტური აკრედიტივი“.

აღსანიშნავია, რომ თავისი დიდი მნიშვნელობისა და პრაქტიკაში ხშირად გამოყენების გამო, დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ მიღებულია რამდენიმე რეკომენდაცია და პუბლიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ორგანოების მიერ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა, პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის 1993 წლის №500 პუბლიკაცია „დოკუმენტური აკრედიტივის შესახებ“. მართალია, აღნიშნულ დოკუმენტს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, მაგრამ მას უდიდესი პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია. დოკუმენტური აკრედიტივების შესახებ მიღებული რეკომენდაციები ცალკე განხილვის თემაა და ამიტომ აქ აღარ შევჩერდები.

დოკუმენტური აკრედიტივი, მისი რთული შინაარსიდან გამომდინარე, საბანკო პრაქტიკაში საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადად გამოყოფენ აკრედიტივის შემდეგ სახეებს:

- გამოუთხოვადი აკრედიტივი;

- გამოთხოვადი აკრედიტივი;
- სარეზერვო აკრედიტივი („standby“);
- დადასტურებული აკრედიტივი;
- დაუდასტურებელი აკრედიტივი;
- ტრანსფერაბელური აკრედიტივი;
- შემხვედრი აკრედიტივი („Back-to-back“).

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივის ეს ფორმები აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივ პირობებს არ ცვლის და უფრო ტექნიკური პროცედურების განსხვავებულობაში ვლინდება<sup>120</sup>.

## § 2. დოკუმენტური ინკასოს არსი

დოკუმენტური ინკასო საბანკო მომსახურების ერთ-ერთი სახეა. დოკუმენტური ინკასო რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. იგი განიხილება დოკუმენტურ აკრედიტივთან ერთად და დათმობილი აქვს კოდექსის 877-878-ე მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 877-ე მუხლის მიხედვით, საინკასო დავალებით საინკასო ოპერაციაზე უფლებამოსილი საკრედიტო დაწესებულება (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას, კლიენტის (მარწმუნებლის) დავალებით გასცეს სავაჭრო ფასიანი ქაღალდები აქცეპტირების და/ან აუცილებლობის შემთხვევაში, – გადამხდელის მიერ გადახდის სანაცვლოდ.

დოკუმენტური ინკასო წარმოადგენს ექსპორტიორის მიერ ბანკისათვის მიცემულ განკარგულებას, მოახდინოს იმპორტიორისაგან გარკვეული თანხის ინკასირება კომერციული დოკუმენტების (რომელთაც შეიძლება თან ახლდეს ფინანსური დოკუმენტებიც) სანაცვლოდ.

პრაქტიკაში დოკუმენტური ინკასოს გამოყენება ძირითადად მიზანშეწონილია, როდესაც:

ა) იმპორტიორსა და ექსპორტიორს აქვთ ერთად მუშაობის გამოცდილება და ენდობიან ერთმანეთს;

<sup>120</sup> Reiner Kohls. Bankrecht. 2. Aufl., Verlag “Beck”, 1997, S. 200-207.

ბ) მყიდველის გადახდისუნარიანობა და გადახდის სურვილი არ არის საეჭვო;

გ) იმპორტიორი მხარის ქვეყანაში არის სტაბილური პოლიტიკური, ლეგალური და ეკონომიკური გარემო;

დ) არ არსებობს იმპორტის აკრძალვები იმპორტიორი მხარის ქვეყანაში და ყველა საჭირო ლიცენზია უკვე არსებობს.

დოკუმენტური ინკასოს ძირითადი უპირატეობა იმაში გამოიხატება, რომ ექსპორტიორს აქვს საშუალება, შეინარჩუნოს კონტროლი გადამხდელის მიერ გადახდის, ან თამასუქის მიღებამდე. აგრეთვე ოპერაციის შესრულება სხვა საბანკო პროდუქტებთან შედარებით მარტივი და იაფია და გადახდაც ხშირად უფრო სწრაფად სრულდება, ვიდრე ღია ანგარიშის შემთხვევაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დოკუმენტურ ინკასოს აკრედიტივთან ერთად განიხილავს, მაგრამ მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. კერძოდ, დოკუმენტური ინკასოს შემთხვევაში, თანხა ერიცხება პრინციპალს (ექსპორტიორს) მხოლოდ და მხოლოდ ტრასატიგან (იმპორტიორისგან) ანაზღაურების მიღების შემდეგ. როდესაც ბანკი ახორციელებს დოკუმენტური ინკასოს ოპერაციას, იგი თანახმაა შეასრულოს გამყიდველის საინკასო დავალების ინსტრუქციები, მაგრამ არ იღებს თავის თავზე გადახდის ვალდებულებას. აკრედიტივის შემთხვევაში კი, დამმონმებელი ბანკი ან აკრედიტივის გამცემი ბანკი ვალდებულია გადახდაზე იმ პირობით, თუ ბენეფიციარი სრულად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული აკრედიტივის პირობების შესრულებას. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ დოკუმენტური ინკასო საგრძნობლად იაფია დოკუმენტურ აკრედიტივთან შედარებით და საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება პარტნიორებს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში.

დოკუმენტური ინკასოს ხელშეკრულების მხარეებია გამყიდველი (პრინციპალი), მომსახურე ბანკი და საქონლის მყიდველი (ტრასატი).

დოკუმენტური ინკასოს გაფორმებისას მხარეები გადიან შემდეგ საოპერაციო ფაზებს:

1. სავაჭრო კონტრაგენტები ერთმანეთში აფორმებენ ხელშეკრულებას გარკვეული სახის საქონლის თუ მომსახურების შეძენაზე, სადაც გადახდის პირობად მიეთითება ანგარიშსწორება დოკუმენტური ინკასოთი;

2. გამყიდველი (პრინციპალი) აგზავნის საქონელს მყიდველთან (ტრასატთან);

3. გამყიდველი (პრინციპალი) გადასცემს მის ბანკს დოკუმენტაციას;

4. გამყიდველის (პრინციპალის) ბანკი აგზავნის დოკუმენტაციას საინკასო დავალებასთან ერთად მყიდველის (ტრასატის) ბანკში;

5. მყიდველის/ტრასატის ბანკი ატყობინებს მყიდველს/ტრასატს აღნიშნული დოკუმენტაციის პირობებს (ავიზირება);

6. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი (ტრასატი) თანახმაა დოკუმენტური ინკასოს პირობებზე, ის იღებს დოკუმენტაციას და აწარმოებს გადახდას საინკასო დავალებაში მითითებული ფორმით;

7. მყიდველი (ტრასატი) იღებს საქონელს მიღებული დოკუმენტაციის სანაცვლოდ.

8. მომსახურება საინკასო დავალებებზე თამასუქის აქცეპტისა და გადახდის ვალდებულების აღების შემთხვევებში განიხილება ინდივიდუალურად.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური ინკასოს გაფორმებისას აუცილებელია, რომ მხარეებმა გაითვალისწინონ ის შესაძლო რისკები, რაც შეიძლება აღნიშნული ტიპის ანგარიშსწორებას მოჰყვეს. ამასთან, ინკასოს პირობები შესაძლოა ითვალისწინებდეს:

ა) დოკუმენტებს გადახდის წინააღმდეგ;

ბ) დოკუმენტებს აქცეპტის წინააღმდეგ.

ამიტომ აღნიშნული მოთხოვნები შეთანხმებული უნდა იყოს მხარეთა შორის წინასწარ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს. გარდა ამისა, აუცილებელია გამყიდველი და მყიდველი იცნობდნენ ერთმანეთს, როგორც საიმედო პარტნიორები და ითვალისწინებდნენ იმას, თუ რამდენად სტაბილურია ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია მყიდველის ქვეყანაში; გარდა ამისა, აუცილებელია მხარეებმა გათვალონ შესაძლო

რისკები სავალუტო კონტროლთან ან იმპორტის შეზღუდვებთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკი არ მონაწილეობს მხარეთა ძირითად გარიგებაში (მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებაში) და ამიტომ იგი არ არის ვალდებული წარმოდგენილი დოკუმენტები დეტალურად შეამოწმოს.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშსწორების პროცედურას არეგულირებს საერთაშორისო სავაჭრო პალატა მისივე გამოცემული უნიფიცირებული წესებით. აღნიშნული წესები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა მონაწილე მხარისთვის. ზოგადად, დოკუმენტურ ინკასოსთან დაკავშირებით მოქმედებს საერთაშორისოდ დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 878-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის ან დოკუმენტალური ინკასოს დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით“.

## თავი 5. საბანკო გარანტია

### § 1. საბანკო გარანტიის ცნება

თანამედროვე საბანკო სამართალში საბანკო გარანტია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საბანკო პროდუქტს წარმოადგენს. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ საბანკო გარანტიის გარეშე თანამედროვე ბიზნეს-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოუდგენელია. მისი ძირითადი არსი და მნიშვნელობა ის არის, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უზრუნველყოფის საშუალებას.

როგორც ცნობილია, მიღებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების დაყოფა სანივთო და ვალდებულებულებით-სამართლებრივ (ე.წ. მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ) საშუალებებად.

თანამედროვე კერძო სამართალში ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების ქვეშ იგულისხმება სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც გარანტირებულს ხდიან ძირითადი ვალდებულების შესრულებას და ახდენენ მოვალის სტიმულირებას ვალდებულების სათანადო შესრულებისაკენ<sup>121</sup>. როგორც ცნობილია, საბანკო სამართალში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების ძირითადი დანიშნულებაა „დააზღვიოს“ კრედიტები, მოახდინოს კრედიტის გამცემის ქონებრივი დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა და ამით დაიცვას ბანკები გადახდისუუნარობისაგან<sup>122</sup>.

გერმანელი მეცნიერების მოსაზრებით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია:

1. მოახდინოს მოვალის სტიმულირება ვალდებულების შესრულებისათვის;
2. გარანტირებული გახადოს კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაცვა.

---

<sup>121</sup> Гражданское право. Том 1. Учебник. Изд. пятое, Под ред. А.П.Сергеева, Ю.К.Толстого. М., 2000, с. 567.

<sup>122</sup> Claussen, Bank- und Börsenrecht, 2003, §8, 311

რაც შეეხება გარანტიის ინტერესების დაცვას, კანონის თანახმად, მას პრინციპალის მიმართ რეგრესის უფლება გააჩნია. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბანკო პრაქტიკაში კომერციული ბანკები პრინციპალის მიმართ თავიანთი მოთხოვნის უზრუნველყოფას ახდენენ ისევე, როგორც ეს საკრედიტო ურთიერთობაში ხდება: კომერციული ბანკი ცდილობს, თავისი მოთხოვნა პრინციპალის მიმართ უზრუნველყოს მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვადასხვა, კომერციული ბანკისათვის მისაღები საშუალებებით (მაგ., იპოთეკა, გირავნობა და სხვ.).

ამდენად, საბანკო გარანტია არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ბენეფიციარისა, ხოლო გარანტი – კომერციული ბანკი (ან სადაზღვევო კომპანია) მიმართავს პრინციპალის მიმართ თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საშუალებებს.

სადავო საკითხი, იმის შესახებ, რომ, თუ პრინციპალს აქვს უნარი უზრუნველყოს მოთხოვნა მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებით, მაშინ რატომ გამოიყენება გარანტია და არა პრინციპალის კრედიტორის (ანუ ბენეფიციარის) სასარგებლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები მოვალისა (პრინციპალის) და კრედიტორის (ბენეფიციარის) ურთიერთობაში „მესამე მხარის“ (ანუ ბანკი-გარანტის) „ჩარევის“ გარეშე. ეს სადავო საკითხი საბანკო გარანტიით ბენეფიციარისათვის მინიჭებული უფლებების სწრაფი რეალიზაციის შესაძლებლობით (ასე მაგალითად, საბანკო გარანტიის არსებობისას ბენეფიციარს კანონი უფლებას ანიჭებს მოითხოვოს და მიიღოს თანხა საბანკო გარანტიის საფუძველზე საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვექნებოდა არა საბანკო გარანტია, არამედ მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებები, ბენეფიციარის უფლებების რეალიზაციის განხორციელება გაცილებით უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე საბანკო გარანტიის დროს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბიზნეს ურთიერთობებში, თითქმის არც ერთი სერიოზული საერთაშორისო სავაჭრო ოპერაცია აღარ ტარდება რომელიმე სახის საბანკო გარანტიის გარეშე. გარდა ამისა, იზრდება მათი გამოყენება შიდა

ბაზრებზეც. ამგვარი სწრაფი ზრდა დაკავშირებულია იმ გარემოებასთანაც, რომ საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წმინდა საფინანსო (სესხი, ოვერდრაფტი, ობლიგაციების გამოშვება, დაზღვევა და სხვა), ასევე არასაფინანსო ხელშეკრულებების (ნასყიდობა, მშენებლობა, ქირავნობა) უზრუნველყოფის მიზნით.

როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო და უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს საბანკო გარანტია. მოთხოვნის უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალების უპირატესობა მდგომარეობს ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში კრედიტორის (ბენეფიციარის) უფლებების სწრაფ დაცვაში.

ამდენად, რისკი ბენეფიციარისა, რომ გარანტის გადახდისუუნაობის ან ფულადი სახსრების დროებითი არქონის გამო ვერ მოახდენს გარანტიის განაღდებას, მინიმუმამდეა დაყვანილი და შეიძლება ითქვას, რომ გამორიცხულია.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხშირ შემთხვევაში შექმნილი გარემოებები სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს არ აძლევს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების არჩევანის საშუალებას. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს იმპერატიულად მოეთხოვება ამა თუ იმ ეკონომიკურ ურთიერთობაში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგინოს საბანკო გარანტია და არა თავდებობა და მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალება.

რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, რის გამოც საბანკო გარანტია კრედიტორისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებები, მდგომარეობს შემდეგში: მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების წარმოშობისათვის საჭიროა ასეთი დოკუმენტების დამონშება შესაბამის უწყებებში, მათი რეგისტრაცია, რაც გარკვეულ ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული.

მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას გარკვეული

დრო სჭირდება. რაც შეეხება საბანკო გარანტიას, მის გაცემასა და მის საფუძველზე ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, გაცილებით უფრო მცირე დროს სჭირდება. ასევე საბანკო გარანტიის გაცემისათვის ხარჯების გადახდა გარანტზე პრინციპალის ვალდებულებაა და არა ბენეფიციარის.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო ვაჭრობის გლობალიზაციის პროცესში საბანკო გარანტია ეფექტურ და პრაქტიკაში აღიარებულ ინსტიტუტად იქცა. საბანკო გარანტია გამოიყენება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება როგორც რეზიდენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში, ასევე არარეზიდენტებს შორის გაფორმებულ გარიგებებშიც.

დღეისათვის საბანკო გარანტიის საჭიროება საქართველოში უდავოდ დიდია და დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან. ცხადია, კრედიტორი არ შეიძლება ყოველთვის დამოკიდებული იყოს მოვალის მიმართ ნდობაზე ან მოვალის გადახდისუნარიანობაზე. ერთი მხრივ, ნდობა არ არის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, მეორე მხრივ, კრედიტორი მონოდებული უნდა იყოს მოვალისაგან მოთხოვნის უზრუნველყოფის საიმედო საშუალება მიიღოს.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (ძირითადი ვალდებულებების) ჯეროვან შესრულებას. საბანკო გარანტიის როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება აქტუალურია იმ შემთხვევებში, როდესაც მენარმეს ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის კრედიტი კი არ სჭირდება, არამედ „გარანტია“, რომ ბანკი პრობლემების წარმოშობის დროს მისცემს მას ფულად სახსრებს მოვალის ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.

საბანკო გარანტიის ღირებულება ბენეფიციარისათვის მდგომარეობს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ურთიერთობის დამოუკიდებლობაში გარანტის გადახდის ვალდებულებისაგან.

საბანკო გარანტიის ობიექტია გარანტის მოქმედება – მიმართული ბენეფიციარის სასარგებლოდ საგარანტიო თანხის გადახდისაკენ მის მიერ გარანტიის მოქმედების ვადაში წარმოდგენილი გადახდის მოთხოვნის შესაბამისად. ამდენად, იმის მიუხედავად,

თუ რა მოვალეობები ეკისრება პრინციპალს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე (საგნის გადაცემა, სამუშაოს შესრულება და ა.შ.), გარანტიის ვალდებულება ყოველთვის ფულადი სახისაა.

სამოქალაქო ბრუნვაში საბანკო გარანტიის მნიშვნელობის ზრდის მიუხედავად, ამჟამად როგორც სამეცნიერო ისე პრაქტიკულ დონეზე გადასაწყვეტი რჩება საბანკო გარანტიის არაერთი პრობლემური საკითხი. პრაქტიკაში აღნიშნული „ღია კითხვების არსებობა“ იწვევს კომერციული ბანკების განსაკუთრებულ სიფრთხილეს საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, რამდენდაც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის კონსტრუქცია საკმაოდ „ხისტი“ გარანტთან, ძირითადად, კომერციულ ბანკებთან მიმართებაში.

პრინციპალსა და გარანტს შორის გაფორმებული შეთანხმების საგანია: გარანტის მიერ განსაზღვრული სახის საბანკო გარანტიის გაცემა განსაზღვრულ თანხაზე, განსაზღვრული ბენეფიციარისათვის, თუმცა შესაძლებელია (და აღნიშნული დამკვიდრებულია საბანკო პრაქტიკაში) პრინციპალსა და გარანტს შორის გაფორმდეს გენერალური საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომელშიც მოცეული იქნება გარანტის ვალდებულება დროის განსაზღვრულ პერიოდში განსაზღვრული პერიოდულობით გასცეს საგარანტიო წერილები.

აღსანიშნავია, რომ გარანტია ფრანგული სიტყვაა და უზრუნველყოფას ნიშნავს. იმ ინსტიტუტს, რომელსაც საქართველოში საბანკო გარანტია ეწოდება, სხვადასხვა ქვეყნის სამართალში განსხვავებული სახელი გააჩნია (მაგალითად, გერმანიაში „Garantie“, დიდ ბრიტანეთში – „Guarantee“).

საინტერესოა ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიაზე საუბრისას მას ხან საბანკო გარანტიას უწოდებს, ხან გარანტიას.

აქვე უნდა შეფასდეს საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნება, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. მოცემულ ეტაპზე საბანკო გარანტია განიხილება გარიგებად. საბანკო გარანტია ისეთი გარიგებაა, რომლის განხორციელებისათვის მოითხოვება ერთი მხარის – გარანტის ნების გამოვლენა.

ერთი შეხედვით, საბანკო გარანტია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხელშეკრულება გარანტისა და ბენეფიციარს შორის, მაგრამ აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულ ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულების დადებას არეგულირებს.

თუ დავუშვებთ, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში ოფერენტია გარანტი, ხოლო აქცეპტანტი – ბენეფიციარი, მაშინ ბენეფიციარის აქცეპტი პირდაპირ არ არის სახეზე. თუმცა ეს ხელს არ უშლის კანონმდებელს, განიხილოს საბანკო გარანტია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად, მიუხედავად ბენეფიციარის აქცეპტის არარსებობისა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბენეფიციარის აქცეპტი ხორციელდება გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის მომენტში. ამ შემთხვევაში გარანტია აქცეპტის მომენტამდე წარმოადგენს გამოუხმობად ოფერტს, ხოლო ხელშეკრულება დადებულად უნდა ჩაითვალოს გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების მომენტიდან.

აღნიშნული მოსაზრების განვითარებისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლი, რომლის თანახმადაც შესაძლებელია ბენეფიციარის მიერ თავისი უფლებების სხვებისათვის გადაცემა განსაზღვრული პირობების არსებობისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი არ უშვებს ოფერტის მიმღების მიერ აქცეპტის უფლების მესამე პირისათვის გადაცემას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი-გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გაცემულ დოკუმენტს საბანკო პრაქტიკაში საგარანტიო წერილი ეწოდება.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, საბანკო გარანტია არც ერთ სტადიაზე არ წარმოშობს გარანტისა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულებას, უფრო მეტიც მათ შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება საბანკო გარანტიის გაცემისთანავე. ამასთან, გერმანულ სამართალში არსებობს შეხედულება, რომ გარანტიები და აკრედიტივები წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და ისინი იდება ოფერტის გაკეთე-

ბით, რომლის აქცეპტი ხორციელდება დუმილით<sup>123</sup>.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა სწორედ ბენეფიციარის მხრიდან დუმილით გარანტიის აქცეპტირება. საქმე ისაა, რომ პრაქტიკაში ხშირად ბენეფიციარი უარს ამბობს პრინციპალის მიერ ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ წარდგენილ გარანტიაზე და ითხოვს, რომ მხოლოდ მის მიერ მოწონებული კომერციული ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან მოხდეს გარანტიის წარდგენა. ეს პრაქტიკული მაგალითი კიდევ უფრო აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ, თუ საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ურთიერთობაა, სადაც მხარეს წარმოადგენს ბენეფიციარი, მაშინ აღნიშნულს სჭირდება ბენეფიციარის მხრიდან აქცეპტი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მის მიერ პრინციპალისაგან აღნიშნული გარანტიის მიღებით. ვფიქრობ, ეს არგუმენტი ყურადსაღებია.

აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, გერმანულ სამართალში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საბანკო გარანტია არის ხელშეკრულება ბანკსა (გარანტს) და ბენეფიციარს შორის, რომელიც დადებულია ბანკსა (გარანტსა) და პრინციპალს შორის არსებული დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძველად უდევს შეთანხმება ბენეფიციარსა (კრედიტორსა) და მოვალეს შორის. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს პროფესორი ლადო ჭანტურიაც. ვფიქრობ, რომ აღნიშნული კონსტრუქცია უფრო ზუსტად ასახავს საბანკო გარანტიის მხარეთა (პრინციპალი, ბენეფიციარი და გარანტი) სამართლებრივ ურთიერთობებს.

საინტერესოა, რომ საქართველოში საბანკო გარანტიის კერძოსამართლებრივი ბუნება განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-890-ე მუხლებში და ისევე როგორც სხვა საბანკო მომსახურების ხელშეკრულებები, გაერთიანებულია „საბანკო მომსახურების“ თავში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის თანახმად, „საბანკო გარანტიის ძალით გარანტის ვალდებულებას

---

<sup>123</sup> Овсяйко С. Комментарий к Конвенции ООН о независимых гарантиях и резервных аккредитивах // Банковское право. 2001. № 1. с. 56.

წარმოადგენს პრინციპალის კრედიტორისათვის (ბენეფიციარისათვის) ფულადი თანხის გადახდა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

საბანკო გარანტია სასყიდლიანი ხასიათისაა. საბანკო გარანტიისათვის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს ასევე გარანტიის მიერ ასაღები რისკის ხარისხზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის №1767 ბრძანებით დამტკიცებული „გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირმა, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას საბაჟო ვალდებულება, უნდა წარადგინოს საბაჟო ვალდებულების შესრულების გარანტია, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.“ აღსანიშნავია, რომ ეს ინსტრუქცია ტერმინი „გარანტიის“ გამოყენებისას, მასში მხოლოდ საბანკო გარანტიას არ მოიაზრებს.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-4 მუხლის ადგენს, რომ გარანტიის სახეებია, საბანკო გარანტია, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი, დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში. საბანკო გარანტიაზე საუბრობს ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 3061-ე მუხლიც, სადაც კანონმდებელი საუბრობს პირველად ბენეფიციარზე, თუმცა ის არ იძლევა პირველადი ბენეფიციარის ლეგალურ დეფინიციას. კანონმდებლის ამ მიდგომიდან გამომდინარე, შესაძლებელია არსებობდეს მეორადი ბენეფიციარიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში გარანტიის სინონიმად გამოიყენება სიტყვა „გარანტორი“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საუბრობს არა გარანტორზე, არამედ გარანტზე, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახლად დამატებული 885-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ე მუხლი ასევე მოიხსენიებს ტერმინს „გარანტორი“.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1767 „გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგა-

რანტიო თანხის და განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ინსტრუქციის დანართი №2 ადგენს საბანკო გარანტიის ფორმას. აღნიშნული ფორმის თანახმად, საბანკო გარანტიაში უნდა ჩაინეროს, რომ გარანტი იღებს „გამოუწვევად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არა უმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“.

## § 2. საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნება

სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია წარმოადგენს არააქცესორულ გარიგებას. იგი აბსტრაქტული, დამოუკიდებელი გარიგებაა. საბანკო გარანტია უკავშირდება ძირითად ვალდებულებას და არ გამორიცხავს მითითებას ძირითად ვალდებულებაზე.

როგორც ცნობილია, აქცესორული უფლება, დამატებითი ხასიათის უფლებაა და არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე. აქცესორული ურთიერთობა მხოლოდ უფლებათა შორის ურთიერთობაა, რომელშიც ერთი უფლება ემსახურება მეორეს მიზნებს<sup>124</sup>. აქცესორულობა წარმოდგება ლათინური ტერმინისაგან (*accessio*) და ნიშნავს გვერდითა ვალდებულების ქონას<sup>125</sup>.

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა და არააქცესორულობა გამოიხატება იმაში, რომ ბენეფიციარს უფლება აქვს მოთხოვნა წაუყენოს გარანტს, მაშინაც, როდესაც ძირითადი ვალდებულება შესრულებულია. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე გარანტიის განაღდება, სახეზე იქნება გარანტისა და პრინციპალის მიერ ვალდებულების ე.წ. ორმაგი შესრულება.

საბანკო გარანტია ხასიათდება აბსტრაქტული ბუნებით. არა-

---

<sup>124</sup> ბესარიონ ზოიძე, „სანივთო სამართალი“, გამომცემლობა „უფლება“. თბილისი, 1999, გვ. 181.

<sup>125</sup> Medicus, Schuldrecht II, Besonderes Teil, 1994, S. 178.

აქცესორულობა წარმოადგენს თავდებობასა და გარანტიას შორის ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს. თავისი იურიდიული ბუნების გამო ქართულ სამართალში საბანკო გარანტიებს დამოუკიდებელ გარანტიებს უწოდებენ.

საბანკო გარანტია არის დამოუკიდებელი ვალდებულება – ის ძალას ინარჩუნებს ძირითადი ვალდებულების ბათილად ცნობის მიუხედავად, ასევე ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის შემდეგაც.

საბანკო გარანტიის აბსტრაქტულ ხასიათს უპირისპირდება ბენეფიციარის მიერ გარკვეული დოკუმენტების წარდგენის აუცილებლობა გარანტიაში. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების კლასიფიკაციის ერთ-ერთი საფუძველია მათი დაყოფა აქცესორულ და არააქცესორულ საშუალებებად. აქცესორულობა, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ ძირითადი ვალდებულების ბათილობა იწვევს აქცესორული საშუალების ბათილობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როდესაც გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაში (ანუ საგარანტიო წერილში) შეიძლება იყოს მითითება ძირითად ვალდებულებაზე, შეიძლება არა. ჩემი აზრით, საგარანტიო წერილში აუცილებლად უნდა მიეთითოს ძირითადი ვალდებულების შესახებ, უფრო მეტიც, აღნიშნული მითითება უნდა იყოს კონკრეტული და შეიცავდეს ძირითადი ვალდებულების ყველა მნიშვნელოვან დეტალს (ხელშეკრულების ნომერს, თარიღს, მხარეებს, ხელშეკრულების დასახელებას ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### **§ 3. საბანკო გარანტიის მხარეები**

საბანკო გარანტიის მხარეებს წარმოადგენენ ბენეფიციარი, გარანტი და პრინციპალი.

საბანკო გარანტიის ლეგალური დეფინიციიდან (სსკ 879-ე მუხლი) გამომდინარე, საბანკო გარანტიის გამცემი შეიძლება იყოს მხოლოდ სამი სუბიექტი: ბანკი, სადაზღვევო ორგანიზაცია და საკრედიტო დაწესებულება. იმ პირთა წრის განსაზღვრა, ვინც შეიძლება გამოვიდეს გარანტად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა. ასე, მაგალითად, შვეიცარიული კანონმდებლობის მიხედვით გარანტი შეიძლება მხოლოდ ბანკი იყო.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილენი არიან: ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი. ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის შესაბამისად საბანკო გარანტიის ვალდებულების მხარეებს წარმოადგენენ გარანტი და პრინციპალი<sup>126</sup>.

ბენეფიციარი არის ძირითადი ვალდებულების კრედიტორი, ანუ პრინციპალის კრედიტორი. საბანკო გარანტიის დროს ბენეფიციარი კრედიტორად გვევლინება ასევე გარანტის მიმართ.

საბანკო გარანტია წარმოადგენს ვალდებულების შესრულების საშუალებას, რომელიც პასუხობს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეების ინტერესებს, რამდენადაც კრედიტორის ინტერესების გარანტის როლში გამოდის ისეთი ფინანსურად სტაბილური ორგანიზაცია, როგორიცაა ბანკი.

საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების თანახმად, საბანკო გარანტია შეიძლება გაიცეს ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის ან სხვა მესამე პირის მიერ. მაგრამ საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, უნიფიცირებული წესების თანახმად, გარანტი შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირიც.

როგორც აღინიშნა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დადგენილია გარანტი პირების წრე. ზოგიერთი მეცნიერი ასეთ შესაძლებლობას უფრო დაბალანსებულსა და პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისს უწოდებს. აღნიშნული განპირო-

---

<sup>126</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. 2, 2001, გვ. 216.

ბებუღია საბანკო-სადაზღვევო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობითაც.

როგორც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, თუ საბანკო გარანტიაში სამი პირი – ბანკი-გარანტი, ბენეფიციარი და პრინციპალი მონაწილეობს, მაშინ სახეზეა უშუალო (პირდაპირი) საბანკო გარანტია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართალი საბანკო გარანტიაში მონაწილე პირს პრინციპალს ქართული სამართლისაგან განსხვავებული ტერმინით, დავალების მიმცემად (Auftragsgeber) მოიხსენიებს.

რაც შეეხება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს, მათთვის საბანკო გარანტიის გაცემა წარმოადგენს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას, ერთ-ერთ საბანკო პროდუქტსა და შემოსავლის წყაროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ჩამოთვლის საქმიანობის იმ სახეებს, რომლის განხორციელების უფლებაც გააჩნია კომერციულ ბანკს. ერთ-ერთ ასეთ საქმიანობად აღნიშნული კანონი ასახელებს საბანკო გარანტიების გაცემას<sup>127</sup>.

მართალია, ბანკები მოქმედებენ საკუთარი კომერციული ინტერესით და ისინი თავისუფალნი არიან ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებისაგან, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ კომერციული ბანკების მიმართ ზედამხედველობა და კონტროლი არ ხორციელდება. რეგულირებისა და კონტროლის აუცილებლობა უპირველესად განპირობებულია კომერციულ ბანკებში უზარმაზარი კაპიტალის კონცენტრაციით.

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის პროცესში სულ უფრო იზრდება უცხოურ კომპანიებთან სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობის ინტერესი. საქართველოს კანონმდებლობაში უკვე ასახულია ევროპული საბანკო სამართლის ძირითადი პრინციპები: შექმნილია საზედამხედველო ორგანო, კომერციული ბანკის საქმიანობის დასაწყებად აუცილებელია ლიცენზიის მიღება, თითოეულ ქვედარგში შემუშავებულია

---

<sup>127</sup> იხ. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის „ბ“ პუნქტი.

გადახდისუნარიანობის სტანდარტები.

საბანკო სამართლის ბევრი სპეციალისტი ამართლებს პირთა ვიწრო წრისათვის საბანკო გარანტიის გაცემის უფლების მინიჭებას. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბანკო გარანტიის გაცემის უფლება აქვს:

- ა) კომერციულ ბანკს;
- ბ) სადაზღვევო ორგანიზაციას;
- გ) საკრედიტო დაწესებულებას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კი, ზემოაღნიშნული სამივე სუბიექტი საჭიროებს საქმიანობის ლიცენზირებას და საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან განიცდის ზედამხედველობას.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, საბანკო გარანტიის გამცემი სუბიექტების წრე შეზღუდული არ უნდა იყოს.

საბანკო გარანტიის გაცემის აუცილებელი და ერთ-ერთი უპირველესი სტადიაა ხელშეკრულების გაფორმება გარანტსა და პრინციპალს შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ შეთანხმებაში უნდა იყოს გათვალისწინებული გარანტიის უფლება რეგრესზე.

შესაბამისად, საბანკო გარანტია მოიცავს ორ სტადიას – ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულების გაფორმებას და ასევე გარანტიის მიერ საბანკო გარანტიის წერილის გაცემას. ჩემი აზრით, უფრო მართებულია, პრინციპალს, გარანტსა და ბენეფიციარს საბანკო გარანტიის მონაწილეები ვუნოდოთ და არა მხარეები, რადგანაც ამ შემთხვევაში რამდენიმე ურთიერთობასთან გვაქვს საქმე. საბანკო გარანტიის დროს სახეზე არ გვაქვს სამმხრივი ხელშეკრულება.

საბანკო გარანტიის წერილი, დამკვიდრებული საბანკო პრაქტიკის თანახმად, გადაეცემა პრინციპალს, რომელიც მას, თავის მხრივ, გადასცემს ბენეფიციარს. მოქმედი საერთაშორისო პრაქტიკა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს საბანკო გარანტიის დედანს და არა მის ასლს (თუნდაც სათანადო წესით დამოწმებული).

როგორც წესი, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ძირითა-

დი ვალდებულების ამსახველ ხელშეკრულებაში დეტალურადაა განერილი იმ გარანტიის პირობები, რომელიც უნდა წარუდგინოს პრინციპალმა ბენეფიციარს. აღნიშნულ ხელშეკრულებაში შესაძლებელია გაიწეროს მოთხოვნები გარანტიის მიმართ (მაგალითად, მოთხოვნა, რომ ბანკი გარანტი იყოს პირველი კლასის ბანკი ან ბანკი გარანტი იყოს კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტი ბანკი).

ასევე აღსანიშნავია, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გაფორმება ავტომატურად არ ნიშნავს საბანკო გარანტიის გაცემას. საბანკო გარანტიის გაცემას პრაქტიკაში საგარანტიო წერილის გაცემას უწოდებენ.

გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გაფორმება ავტომატურად არ ნიშნავს გარანტიის ვალდებულებას საბანკო გარანტიის წერილის გაცემაზე, თუ პრინციპალი საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გარანტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს (მაგ., გარანტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არ წარმოადგენს შესაბამის უზრუნველყოფას – იპოთეკით არ დატვირთავს უძრავ ქონებას, არ გადაიხდის საზღაურს გარანტიისათვის და ა.შ.).

ასევე აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დადება პრინციპალსა და გარანტს შორის და საბანკო გარანტიის გაცემა არ შეიძლება სინონიმებად ჩაითვალოს.

გარანტისა და პრინციპალის ურთიერთობა სასყიდლიან ხასიათს ატარებს. საზღაურს გარანტიის გაცემისათვის იხდის პრინციპალი, რომლის თხოვნითაც ხდება საგარანტიო წერილის გაცემა. საზღაურის გადახდა შეიძლება განხორციელდეს როგორც საგარანტიო წერილის გაცემისას, ისე გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, თუმცა პრაქტიკაში უფრო ხშირია პირველი ვარიანტი.

უდავოა, რომ საბანკო გარანტიის არსებით პირობას წარმოადგენს გარანტიის თანხის მითითება, რადგანაც საბანკო გარანტიის საგანი გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდაა.

გარანტია ხასიათდება იმით, რომ იგი არ შეიძლება გამოხმობილ იქნეს, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის აღნიშნული. ეს გარემოება მაქსიმალურად ამაღლებს გარანტიის მნიშვნელობას. პრაქტიკაში გამოხმობადი საბანკო გარანტიები იშვიათობას წარ-

მოადგენს, რადგან მიჩნეულია, რომ საბანკო გარანტიის გამოხმობადი ხასიათი საბანკო გარანტიის მნიშვნელობას ამცირებს.

#### § 4. საბანკო გარანტიის სახეები

ეკონომიკური ბუნებით საბანკო გარანტია წარმოადგენს ბანკი-გარანტიის საკრედიტო ოპერაციას (ე.წ. „საგარანტიო კრედიტი“) და საკრედიტო რისკის გადაცემის ერთ-ერთ საშუალებას. საბანკო გარანტიის მიკუთვნება საკრედიტო ოპერაციების კლასისათვის გამართლებულია იმ აზრის გამო, რომ ამ ფორმით ბანკი საკუთარ თავზე იღებს ბენეფიციარის საკრედიტო რისკს. ბანკი-გარანტისა და პრინციპალის (რომელიც, როგორც წესი, ბანკი-გარანტის კლიენტია) ურთიერთობა, საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს აქტიურად განახორციელონ საგარანტიო ოპერაციები და არ აიღონ საკუთარ თავზე მნიშვნელოვანი რისკები.

პრაქტიკაში საბანკო გარანტიის არაერთი სახეა დამკვიდრებული. საბანკო გარანტიის დაყოფას სახეებად საფუძვლად უდევს ის ეკონომიკური ინტერესი, რომლისთვისაც გამოიყენება საბანკო გარანტია.

პრაქტიკაში არსებობს საბანკო გარანტიის არაერთი სახე. საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია მოცემულია ასევე უნიფიცირებულ წესებში. საბანკო გარანტია გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მათგანი: ტენდერები; სხვადასხვა სახის ხელშეკრულების ან მისი ცალკეული ნაწილის (ეტაპის) შესრულების უზრუნველყოფა (აღნიშნულ გარანტიების შესრულების გარანტიებს უწოდებენ).

საერთაშორისო ვაჭრობაში, იზრდება რა ოპერაციების მოცულობა და ოდენობა, ასევე ინვესტიციების სიდიდე, რისკის ფაქტორი უფრო და უფრო დიდი ყურადღებისა და მნიშვნელობის საგანი ხდება. რისკის შესამცირებლად გამოიყენება ისეთი საშუალებანი, როგორცაა აკრედიტივები და ბანკების მიერ

გადასაპირებელი თამასუქების ავალირება. ამგვარი საშუალებანი დიდი ხანია ცნობილია პრაქტიკაში, მაგრამ მათი გამოყენება რთულდება, თუ საქმე ეხება არა ფულადი, არამედ სხვა

სახის ვალდებულებების შესრულებას. რისკის შემცირების ისეთი ტრადიციული ფორმები, როგორცაა აქცესორული გარანტია ან თავდებობა, არახელსაყრელია კრედიტორისათვის, რადგან ის საშუალებას აძლევს აქცესორულ გარანტს, კრედიტორის წინააღმდეგ გამოიყენოს ყველა ის არგუმენტი და შესაგებელი, რაც აქვს ძირითად მოვალეს. ეს კი კრედიტორისათვის ნიშნავს ისეთ სასამართლო პროცესში ჩაბმას, რომელსაც მისთვის ძალზე დიდი რისკი და უხერხულობა ახლავს.

თვით ბანკებიც თავს არიდებენ აქცესორულ გარანტიად გამოსვლას, რადგან ისინი შეიძლება ჩათრეულ იქნენ მხარეებს შორის წამოჭრილ დავებში. ამასთან, ამგვარ გარანტიებში საკმარისად მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში დგება ბანკის მიერ თანხის ანაზღაურების ვალდებულება. ამგვარი სიძნელეების თავიდან ასაცილებლად კომერციულმა პრაქტიკამ შექმნა დამოუკიდებელი გარანტიები, რომელთაც ძირითადად გასცემენ ფინანსურად ისეთი საიმედო და მდგრადი ინსტიტუტები, როგორცაა ბანკები. ეს ახალი ფენომენი ზოგიერთი ნიშნით აკრედიტივს წააგავს.

გარანტიის ამერიკული ვარიაცია – Stand-by letter of credit (ე.წ. „სარეზერვო აკრედიტივი“) აღმოცენებულია აკრედიტივიდან, რომელიც ხშირად გამოიყენება გადახდის საშუალებად ნასყიდობის ხელშეკრულებაში და რომელსაც ხანდახან Commercial letter of credit ან documentary credit-საც უწოდებენ.

თანამედროვე გარანტიები აკრედიტივების ბევრ პრინციპს იზიარებს, მათ შორის თანხის ანაზღაურების პრინციპს მხოლოდ გარანტიაში მოცემული პირობების (რომელიც ხშირად დოკუმენტური ხასიათისაა) შესრულებისას.

მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის პირობები შესრულებულია, ბანკს აღარ აქვს უფლება, ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაიმე შესაგებელის წამოყენებისა<sup>128</sup>. დამოუკიდებელ გარანტიაში დასაშვებია გადახდის სხვადასხვაგვარი მექანიზ-

---

<sup>128</sup> პაატა ხოტენაშვილი, საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 329-330.

მი, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტია, რომელსაც სხვაგვარად უპირობო გარანტია ეწოდება. ის უფლებას აძლევს ბენეფიციარს, მიიღოს ანაზღაურება პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის მტკიცების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორებასა და ვაჭრობაში გამოიყენება გარანტიის რამდენიმე სახე. ძირითადად ისინი რეგულირდენა ორი საყოველთაო აქტით. სახელმეკრულებო გარანტიების უნიფიცირებული წესები (საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია) და უნიფიცირებული წესები პირველი მოთხოვნის გარანტიებისათვის (საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაცია). დასახელებული სამართლებრივი აქტებით შეიძლება გამოიყოს გარანტიის რამდენიმე სახე.

უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება საბანკო გარანტია პირველი მოთხოვნით. ცხადია, საბანკო გარანტია პირველი მოთხოვნით ბენეფიციარისათვის უფრო მეტად ხელსაყრელია, ვიდრე პირობითი საბანკო გარანტია. გარანტია პირველი მოთხოვნით ფართოდ გამოიყენება ტენდერების დროს. ბანკი-გარანტის რისკი საგარანტიო ოპერაციების განხორციელების დროს გამომდინარეობს არა გარანტისა და ბენეფიციარის ურთიერთობიდან, არამედ გარანტისა და პრინციპალის ურთიერთობიდან.

გარანტი არ წარმოადგენს ძირითად ვალდებულებაში მხარეს, მას არ შეუძლია გავლენა იქონიოს აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, გარანტს არ შეიძლება აღელვებდეს და არც უნდა აღელვებდეს ბენეფიციარისაგან მოთხოვნის მიღება. გარანტს უნდა ჰქონდეს პრინციპალისაგან რეგრესის წესით დაკმაყოფილების მიღების ეკონომიკური და იურიდიული შესაძლებლობა. ამდენად, გარანტისათვის აუცილებელია, საბანკო გარანტიის გაცემამდე მიიღოს ზომები პრინციპალის მიმართ თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა, რუსულ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი

„სუპერგარანტია“<sup>129</sup>. აღნიშნული ტერმინი მაშინ გამოიყენება, როდესაც ბენეფიციარი საკმარისად არ მიიჩნევს თავისი მოვალის (ანუ პრინციპალის) ბანკის გარანტიას და ითხოვს აღნიშნულ გარანტიაზე დამატებითი გარანტიის მიღებას უფრო ცნობილი ბანკისაგან. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სუპერგარანტია არის „გარანტიის გარანტია“.

როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულია საბანკო გარანტიის შემდეგი სახეები:

ა) გადახდის გარანტია (*Payment Guarantee*), რომელიც გარანტიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების განხორციელებას.

ბ) სატენდერო გარანტია (*Bid Bond; Tender Bond*). აღნიშნული სახის გარანტიის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევა, როცა ტენდერის მონაწილე უარს აცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე. სატენდერო გარანტია იმითაც გამოირჩევა გარანტიის სხვა სახეებისაგან, რომ მისი ღირებულება, როგორც წესი, დაბალია.

გ) შესრულების გარანტია (*Performance Bond*). ასეთი სახის გარანტიები იცავენ ბენეფიციარს ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისაგან.

დ) საავანსო გადახდის გარანტია (*Advance Payment Guarantee*). საავანსო გადახდის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ე) საბაჟო გარანტია. საბაჟო გარანტია გაიცემა საბაჟო ორგანოების სასარგებლოდ. გარანტიის აღნიშნულ სახესთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

ვ) კრედიტის უზრუნველყოფის გარანტია (*Security for a credit line*). ასეთი ტიპის გარანტია უზრუნველყოფს კრედიტის დაბრუნებადობას.

საბანკო გარანტია შეიძლება იყოს გამოხმობადი და გამოუხ-

---

<sup>129</sup> Олейник, Основы Банковского Права. Москва. 1997. с. 362.

მოხადი. თუ გარანტიის ტექსტში არ არის მითითებული, რომ იგი გამოსხმობადია, საბანკო გარანტია მიიჩნევა გამოუხმობადად. იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ გამოსხმობადი გარანტიის გამოსხმობა უკვე აღარ შეიძლება ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის შემდეგ<sup>130</sup>.

საბანკო გარანტიის გამცემი ერთ-ერთი სუბიექტი, ანუ გარანტი, შეიძლება იყოს კომერციული ბანკი. ასევე შესაძლებელია, რომ კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია წარედგინოს სხვა კომერციულ ბანკს, როგორც ბენეფიციარს. უპირობო გარანტიებს (რომლებიც კომერციულ ბანკს წარედგინება) საქართველოს კანონმდებლობა არალიკვიდურ უზრუნველყოფად მიიჩნევს<sup>131</sup>.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2005 წლის 20 აპრილის საქართველოს კანონში და „საჯარო რეესტრის შესახებ“ 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონში, რამაც საფუძველი დაუდო ზოგიერთი სახის საბანკო გარანტიის მიმართ ახლებურ რეგულირებას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2010 წლის 7 დეკემბერს შესული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, საბანკო გარანტია შეყვანილ იქნა მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებათა ჩამონათვალში<sup>132</sup>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატა პუნქტი 1'-ლ, რომლის თანახმად, „ბენეფიციარის მიერ გარანტორისათვის ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენა საჭირო არ არის, თუ ბენეფიციარსა და გარანტორს

---

<sup>130</sup> Олейник, Основы Банковского Права. Москва. 1997. с. 364.

<sup>131</sup> იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 29 დეკემბრის №350 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>132</sup> იხ. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი.

შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე“.

რაც შეეხება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ცვლილებებს, მის მიხედვით, სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უნდა წარედგინოს შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად სახელმწიფო შესყიდვების პორტალს.

აღნიშნული ცვლილებების მიზანი არის მცდელობა, საბანკო გარანტიის ელექტრონულ ფორმაზე გადასვლისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ამ კუთხით ელექტრონულთან ერთად გამოიყენება წერილობითი გარანტიებიც და, ამდენად, ელექტრონულმა გარანტიამ ვერ გამოდევნა გარანტიის წერილობითი ფორმა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად ელექტრონულ საბანკო გარანტიებზე გადასვლა მოხდა არა სრულად, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ბენეფიციარი არის კანონით განსაზღვრული სუბიექტი, რომელსაც ელექტრონული გარანტიების მიღების უფლება გააჩნია. ამდენად, ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ კომერციული ბანკები ახდენენ რა აღნიშნულ ბენეფიციარებზე გაცემული გარანტიების ელექტრონულ რეგისტრაციას, ამავდროულად გასციემენ საბანკო გარანტიას წერილობითი სახით.

კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, ელექტრონულმა ფორმამ ამ ურთიერთობაში სრულად უნდა ჩაანაცვლოს წერილობითი ფორმის საბანკო გარანტია, თუმცა, როგორი პრაქტიკა განვითარდება ამ კუთხით, მოცემულ ეტაპზე ძნელი სათქმელია და ნაადრევიც არის ამაზე მსჯელობა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის გამოყენების ორ შემთხვევას:

1. საბანკო გარანტიის წარდგენა ბენეფიციარისათვის;

2. საბანკო გარანტიის აღსრულებაზე მოთხოვნის წარდგენა გარანტისათვის.

ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად დაინერგა მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს საბანკო გარანტიების გაცემის კონტროლს, თუმცა აღნიშნული მექანიზმი მოცემულ ეტაპზე შესაბამისი რეგულირების არარსებობის გამო ღიად ტოვებს არაერთ საკითს.

ამ ცვლილებების ფონზე მოსაწესრიგებელია ელექტორნული დოკუმენტბრუნვის საშუალებით ისეთი საკითხების რეგულირება, როდესაც გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ან/და ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ; როდესაც გარანტმა, რომლისათვისაც ცნობილი გახდა გარანტიის შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის თაობაზე ბენეფიციარს; როდესაც საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესების თანახმად (URDG 758), უცხოური ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ექვემდებარება ავიზირებას, რაც გულისხმობს საქართველოში მოქმედი ბანკის მიერ აღნიშნული საბანკო გარანტიის ნამდვილობის დადასტურებას შესაბამისი წერილის საფუძველზე.

## **§ 5. გარანტის სამართლებრივი მდგომარეობა, მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მისი სამართლებრივი შედეგები**

საბანკო პრაქტიკაში პრინციპალის მიმართ გარანტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრინციპალის მიერ ბანკ-გარანტში განთავსებული დეპოზიტი (ანაბარი), ასევე მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი საშუალებები, როგორცაა იპოთეკა, გირავნობა (სანივთო საშუალებები). გარანტიით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ის დოკუმენტები, რომლის წარმოდგენის საფუძველზეც განახორციელებს გარანტი ბენეფიციარის სასარგებლოდ გადახდას. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს: სატრანსპორტო ზედდებული, რომელიც მოწმობს

ტვირთის ჩამოტვირთვას პრინციპალის მისამართზე და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განამტკიცებს გარანტიის ვალდებულებას, მიუთითოს ბენეფიციარს, თუ რაში გამოიხატა ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის ან დოკუმენტების გარანტიის პირობებთან შეუსაბამო წარმოდგენა.

სამოქალაქო კოდექსი არც იმას მიუთითებს, ვალდებულია თუ არა გარანტი გადაუხადოს ბენეფიციარს, თუ გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში ბენეფიციარი გამოასწორებს ზემოაღნიშნულ უზუსტობას და განმეორებით წარუდგენს გარანტს მოთხოვნას. როგორც იურიდიული ლიტერატურიდან არის ცნობილი, გარანტს შეუძლია გარანტიის პირობებთან დოკუმენტის შესაბამისობა განსაზღვროს მხოლოდ გარეგნული ნიშნებით, რამდენადაც მის კომპეტენციაში არ შედის იმის გარკვევა, შეასრულეს თუ არა პრინციპალმა და ბენეფიციარმა თავიანთი ვალდებულებები ძირითად ვალდებულებაში.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული, საბანკო გარანტიის დროს არ შეიძლება საუბარი ბენეფიციარის მიერ გარანტისაგან თანხის უდავო ჩამონერაზე<sup>133</sup>.

კანონი განსაზღვრავს გარანტიის ვალდებულებას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ. გარანტი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ, ე.ი. როგორც კი შესაძლებელი გახდება, შეატყობინოს პრინციპალს აღნიშნულის თაობაზე და გადასცეს მას შესაბამისი დოკუმენტების ასლები;

ბ) ბენეფიციარის ინტერესებთან მიმართებაში გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გონივრული მზრუნველობის გამოჩენა ნიშნავს გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის განხილვას ისევე როგორც საკუთარისას, გონივრული მზრუნველობა უნდა გამოიხატებოდეს ვალდებულების ჯეროვან შესრულებაში<sup>134</sup>.

გარანტის პასუხისმგებლობის მოცულობა შემდეგი ორი მაჩვენებლით განისაზღვრება:

1. თავდაპირველად გარანტის პასუხისმგებლობის მოცუ-

---

<sup>133</sup> Олейник, Основы Банковского Права. Москва. 1997. с. 364.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 365.

ლობა განისაზღვრება იმ თანხით, რაც საბანკო გარანტიაში მითითებული.

2. იმ შემთხვევაში, თუ გარანტი არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს თავის ვალდებულებებს, მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საერთო საფუძვლებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია კონკრეტულ პირებს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ გარანტის მიმართ მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბანკო გარანტიით ასეთი რამ შესაძლებლადაა მიჩნეული<sup>135</sup>.

აღსანიშნავია, რომ გარანტი პასუხს აგებს მხოლოდ იმ თანხით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია. აღნიშნული წესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლით. აღსანიშნავია ისიც, რომ გარანტიაში მითითებული თანხა შესაძლოა სრულიად არ ემთხვეოდეს ძირითად ვალდებულებაში აღნიშნულ თანხას (შეიძლება იყოს მასზე ნაკლები). თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ გარანტს არ შეიძლება დაეკისროს უფრო მეტი თანხის გადახდა, თუ იგი დაარღვევს ბენეფიციარის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. აღნიშნული გამომდინარეობს როგორც საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლიდან.

საინტერესოა საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა რეგრესულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის მიხედვით, რეგრესის წესით თანხის გადახდის მოთხოვნა დამოკიდებულია პრინციპალთან შეთანხმებაზე. აღნიშნული ნიშნავს, რომ თუ გარანტმა და პრინციპალმა შეთანხმებაში არ გაითვალისწინეს გარანტის რეგრესის უფლება,

---

<sup>135</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტ. 2, 2001, გვ. 220.

გარანტს აღნიშნული უფლება არ გააჩნია, ცხადია, ყველა გარანტი დაინტერესებული უნდა იყოს პრინციპალთან შეთანხმებაში ასეთი დათქმის არსებობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარკვეულ მოთხოვნებს უდგენს ბენეფიციარს გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კოდექსის 885-ე მუხლის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, რაში გამოიხატა იმ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტია. ამდენად, აღნიშნული მუხლი საბანკო გარანტიას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს:

1. ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით;

2. ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნას გარანტის მიმართ უნდა დაერთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები;

3. წერილობით მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატა იმ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო გარანტია შეიძლება არ ითვალისწინებდეს ბენეფიციარის ვალდებულებას, გარდა წერილობითი მოთხოვნისა, წარუდგინოს გარანტს სხვა რაიმე დოკუმენტი.

მოქმედი ქართული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თუ ბენეფიციარს ეკისრება გარანტისათვის რაიმე დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება განსაზღვრული ფორმით – იგი ვალდებულია სწორედ ამ ფორმით წარუდგინოს გარანტს დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტის უარი ბენეფიციარის დაკმაყოფილებაზე სრულიად საფუძვლიანი იქნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. გარანტიაში მითითებული ვადის დასრულების შემდეგ

მოთხოვნის წაყენებას სამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საუბრობს რა ბენეფიციარის მოთხოვნაზე, გარანტიის მიერ ამ მოთხოვნის განხილვაზე, გარანტიის უფლებაზე უარი უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ადგენს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს მასში მითითებული დოკუმენტების დართვით, ასევე გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში, გარანტს გარკვეული გარემოებების არსებობისას უფლება აქვს უარი თქვას ბენეფიციარის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (იხ. სსკ 885-887-ე მუხლები). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორი პირობა, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნისა და გარანტიაში არსებული დოკუმენტების წარდგენა, ყოველთვის კუმულატიურად უნდა არსებობდეს.

პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საბანკო გარანტია საერთოდ არ ითვალისწინებს, გარდა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნისა, გარანტისათვის სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს გარანტის ვალდებულებას, ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ.

886-ე მუხლის მეორე ნაწილი საუბრობს ისეთ შეფასებით კატეგორიებზე, როგორიცაა „გონივრული ვადა“, „გონივრული მზრუნველობა“. დავის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნების („გონივრული ვადის“ და „გონივრული მზრუნველობის“) შესრულება-შეუსრულებლობის საკითხი გარანტის მხრიდან უნდა შეაფასოს სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან აღნიშნული ცნებები მიეკუთვნება ე.წ. განუსაზღვრელ ნორმებს<sup>136</sup>.

როდესაც საუბრობენ გარანტიაზე, როგორც დოკუმენტზე, პირველ რიგში, იგულისხმება გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის

---

<sup>136</sup> განუსაზღვრელი ნორმების შესახებ იხ. ლ. ჭანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 96-98.

გაცემული დოკუმენტი, რომელიც პრაქტიკაში გარანტიის წერილადაც მოიხსენიება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პრინციპალისა და გარანტის შეთანხმებას საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას არ უწოდებსა და მას მოიხსენიებს როგორც პრინციპალისა და გარანტის შეთანხმებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლს (სადაც საბანკო გარანტიის ლეგალური დეფინიციია მოცემული), იგი არ ადგენს, რომ პრინციპალსა და გარანტს შორის უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეთანხმება, აღნიშნული მუხლი არც იმას აზუსტებს, პრინციპალის თხოვნა საბანკო გარანტიის გაცემაზე რა ფორმის უნდა იყოს.

დღევანდელი საბანკო პრაქტიკის გათვალისწინებით კომერციული ბანკები ცდილობენ მაქსიმალურად გაამარტივონ დოკუმენტბრუნვა, თუმცა აღნიშნული გამარტივება საბანკო რისკების ზრდის ფონზე არ უნდა მოხდეს.

დღესაც და საბანკო სისტემის ჩამოყალიბების დროსაც, პრინციპალის მიმართვა კომერციულ ბანკში უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას (ე.წ. განაცხადი), ასევე კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს პრინციპალისა და ბენეფიციარის ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (მაგ., ძირითადი ვალდებულების ამსახველი ხელშეკრულება).

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში უარის თქმა გარანტის ვალდებულებაა. ამ შემთხვევაში, გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, 886-887-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ:

1. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს ამის შესახებ და გადასცეს მოთხოვნის ასლი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი (სსკ 886-ე მუხლის პირველი ნაწილი);

2. იმავდროულად გარანტმა გონივრულ ვადაში უნდა

დაადგინოს მოთხოვნისა და მასზე დართული დოკუმენტების შესაბამისობა გარანტიის პირობებთან (სსკ 886-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

3. თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ, გარანტმა უარი უნდა უთხარს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კანონი ადგენს, რომ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), კითხვას ბადებს, როდის უნდა აცნობოს გარანტმა 887-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით ბენეფიციარს უარის შესახებ – მისი მოთხოვნის მიღებიდან დაუყოვნებლივ თუ 886-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გონივრულ ვადაში მოთხოვნის შესწავლიდან და შეუსაბამობის დადგენიდან დაუყოვნებლივ.

4. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას (სსკ-ის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც საბანკო გარანტიაში მითითებულია, რომ გარანტია ძალას კარგავს ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტის დედნის გარანტისათვის დაბრუნებით და როცა ბენეფიციარი გარანტისათვის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენასთან ერთად აბრუნებს საბანკო გარანტიის დედანს.

ბენეფიციარის მიერ გარანტისაგან გადახდის მოთხოვნა მაშინ, როდესაც პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულება უკვე შესრულებულია, განხილულ უნდა იქნეს როგორც უფლების ბოროტად გამოყენება:

უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევას აქვს ადგილი,

როდესაც ბენეფიციარი პრინციპალის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიუხედავად, მიმართავს გარანტს და მოითხოვს თანხის გადახდას საბანკო გარანტიის საფუძველზე. უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსი და ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა.

## **§ 6. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძველები**

საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა – ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაშიც არსებობს ბენეფიციარის უფლება მოთხოვნის წაყენების თაობაზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა აღმკვეთ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება აღდგენილ იქნეს სასამართლოს მიერ მისი გაშვების შემთხვევაში. ვინაიდან გადახდის მოთხოვნა გარანტიასთან მიმართებით გარანტს უნდა წარედგინოს გარანტიის მოქმედების პერიოდში, მეტად მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს მისი დასრულება.

საინტერესოა, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არ არის დამოკიდებული ძირითადი ვალდებულების (რომელიც პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებობს) ვადაზე. საბანკო გარანტიის ვადა შეიძლება იყოს უფრო მეტი ან ნაკლები აღნიშნული ვალდებულების მოქმედების ვადაზე ან იყოს ამ ვადის შესაბამისი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან. კანონის ასეთი მოთხოვნა სავსებით შეესაბამება გარანტიის ბუნებასა და მიზანს, ვინაიდან ძალაში მყოფი გარანტიის წარდგენა ხშირად ძირითადი კონტრაქტის ძალაში შესვლის პირობად გვევლინება. ამდენად, სრულიად ლოგიკურია მხარეთა დაინტერესება, რომ საბანკო გარანტია ამოქმედდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად, რაც გაითვალისწინა კანონმდებელმა. ამასთან, საგულისხმოა, რომ კოდექსის ეს ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს შეუძლიათ, გვერდი აუარონ მას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, გარანტია შეიძლება ძა-

ლაში შევიდეს უფრო გვიანი თარიღიდან, თუკი ეს პირდაპირაა გათვალისწინებული მის ტექსტში. ეროვნული კანონმდებლობების ეს ნორმები სრულად შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს, ვინაიდან საბანკო გარანტია საერთაშორისო კომერციის პროდუქტია და ეროვნულმა კანონმდებლობებმა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმათა რეცეფცია მოახდინეს და არა პირიქით. URDG-ის მე-ნ მუხლის თანახმად, გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის მომენტიდან, თუკი მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, გარანტიაში შეიძლება მიეთითოს მისი ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი ვადა.

საბანკო გარანტიის არსებით პირობებს განეკუთვნება: ბენეფიციარის, პრინციპალისა და გარანტის მითითება; გარანტის პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის მითითება; საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა; პირობა, რომლის დარღვევის შემთხვევაში მოხდება გადახდა გარანტის მიერ და სხვ.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საბანკო გარანტიის ვადა დამოკიდებულია პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების ვადაზე. საბანკო გარანტიის ვადა არ უნდა გადიოდეს ძირითადი ვალდებულებისათვის დათქმულ დღეს, ასევე საბანკო გარანტიის ვადა არ უნდა იყოს ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადაზე ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბანკო გარანტია კარგავს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციას<sup>137</sup>.

საბანკო პრაქტიკაში დამკვიდრებულია, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა დგინდება კონკრეტულ თარიღზე მითითებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სსკ-ის 884-ე მუხლი).

აღსანიშნავია, რომ საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს თუნდაც ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა, რადგან მას დამოუკიდებელი ხასიათი გააჩნია<sup>138</sup>. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამომნურავად მიუთითებს, თუ

<sup>137</sup> Гонгало Б.М. «Учение об обеспечении обязательств.» М., 2002, с. 113.

<sup>138</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. 2, 2001, გვ. 226.

რა შემთხვევაში წყდება საბანკო გარანტიის მოქმედება:

1. ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;

2. გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლა, რომლითაც გაიცა;

3. ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან თავის უფლებებზე უარის თქმა და მათი გარანტისათვის დაბრუნება.

როგორც უკვე აღინიშნა, გარანტიის შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა ან მისი ბათილად ცნობა.

საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლების სწორად გასაცნობიერებლად მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია საბანკო გარანტიის გადაცემადობის საკითხის გარკვევა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლის შესაბამისად, „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ბენეფიციარის მიმართ დანესებული ეს შეზღუდვა საბანკო გარანტიის სპეციფიკურობიდან გამომდინარეობს (როგორც ცნობილია, ზოგადი წესის შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, სხვა პირს გადასცეს თავისი კუთვნილი მოთხოვნის უფლება). როცა გარანტის მიმართ მოთხოვნის უფლება უჩნდება ბენეფიციარს, იგი ამ დროს კრედიტორის სტატუსს იძენს. მას შეუძლია, გარანტს მოსთხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რაც არ შეასრულა პრინციპალმა. მაგრამ ჩვეულებრივი კრედიტორისაგან განსხვავებით, კრედიტორ-ბენეფიციარი არ არის უფლებამოსილი, მოთხოვნის უფლება სხვა პირს დაუთმოს. იგულისხმება, რომ გარანტი შეიძლება თანახმა არ იყოს, სხვა პირისათვის შეასრულოს პრინციპალის ვალდებულება და, გარდა ამისა, საბანკო გარანტია კონკრეტულ პირებს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ გარანტის მიმართ მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბანკო გარანტიით ასეთი რამ შესაძლებლადაა მიჩნეული. ასეთი პოზიცია აბსოლუტურად მართებულია უნდა ჩაითვალოს იმ მომენტის აქცენტირებით, რომ საბანკო

გარანტია, პირველ რიგში, უზრუნველყოფის ღონისძიებაა.

საბანკო გარანტია, ემსახურება კონკრეტული ვალდებულების უზრუნველყოფას, რაც თვით საგარანტიო წერილის ტექსტში მიეთითება და, შესაბამისად, მისი თავისუფლად გადაცემადობა ვერ იქნება მისი მიზნებისა და იურიდიული ბუნების შესაბამისი. მიუხედავად ამისა, კანონის აღნიშნული ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს უფლება აქვთ, თვით საბანკო გარანტიაში გაითვალისწინონ მოთხოვნის უფლების ბენეფიციარისაგან სხვა პირზე გადაცემის შესაძლებლობა. პრაქტიკაში ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელდება ძირითად ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება თვით საგარანტიო წერილში, საგარანტიო ურთიერთობის მხარეთა შეთანხმებით.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ საბანკო გარანტიის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სტაბილურობას, ანუ იმას, თუ რამდენად დაზღვეულია გარანტიის მიმღები (ბენეფიციარი) იმისაგან, რომ ამა თუ იმ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო გარანტია ვადაზე ადრე შეწყვეტს მოქმედებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 882-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ა) ნორმატიული აქტები<sup>1</sup>:

საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.2005;

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 24.09.2009 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, 23.02.1996 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, 18.07.2006 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“, 04.07.2002 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 22.10.2009 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, 14.03.1998;

საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“, 27.05.1999 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 19.06.1999; (ცვლილებებითა და დამატებებით)

საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“; 05.06.2003; (ცვლილებებითა და დამატებებით)

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, 24.12.1998 (ცვლილებებითა და დამატებებით);

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 16.04.1999; (ცვლილებებითა და დამატებებით);

---

<sup>1</sup> ნიგნში გამოყენებული ნორმატიული აქტები მოცემულია 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით

საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, 25.05.2012;

საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, 03.07.2007 (ცვლილებებითა და დამატებებით)

2001 წლის 10 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N95 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2002 წლის 16 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N234 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულება“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2002 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N257 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების - საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ წესი“ (ცვლილებებით და დამატებებით);

2002 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის N329 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებებისათვის ბულალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქცია“;

2002 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N266 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების - საკრედიტო კავშირების გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი“;

2003 წლის 26 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N70 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ დებულება“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2003 წლის 11 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N159 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2006 წლის 23 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N144 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;

2006 წლის 23 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N145 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალების წესი“** (ცვლილებებითა და დამატებებით);

2006 წლის 20 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N201 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი“**; (ცვლილებებითა და დამატებებით);

2006 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N278 ბრძანებით დამტკიცებული **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმატის და მისი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ დანართები“** (ცვლილებებით და დამატებებით);

2007 წლის 19 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N49 ბრძანებით დამტკიცებული **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ბულალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქცია“**;

2008 წლის 17 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N71 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულება“**;

2008 წლის 2 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N138 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი“** (ცვლილებებით და დამატებებით);

2008 წლის 17 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N184 ბრძანებით დამტკიცებული **„საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქცია“**;

2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს N12 დადგენილება **„საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემის შესახებ“**;

2008 წლის 29 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N362 ბრძანებით დამტკიცებული **„საქართველოს კომერციული**

**ბანკებისათვის საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქცია**“ (ცვლილებებითა და დამატებებით);

2009 წლის 3 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N89/01 ბრძანებით დამტკიცებული **„საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების სესხების გაცემის შესახებ დებულება“** (ცვლილებებით და დამატებებით);

2009 წლის 25 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N242/01 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დამტკიცების წესი“** (ცვლილებებითა და დამატებებით);

2010 წლის 29 იანვრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N7/01 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი“** (ცვლილებებითა და დამატებებით);

2010 წლის 22 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N24/01 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიერ ფილიალის, განყოფილებისა (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის შექმნის წესი“**;

2010 წლის 19 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N115/01 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკის აქტივების აუქციონზე რეალიზაციის წესი“**;

2010 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N134/01 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი“**;

2010 წლის 13 დეკემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N154/01 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ელექტრონული გადახდების მონაცემთა ბაზის გამოყენების წესი“**;

2011 წლის 11 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N10/04 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი“** (ცვლილებებითა და დამატებებით);

2011 წლის 13 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №35/04 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვითარების მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მინოდების წესი“** (ცვლილებებით და დამატებებით);

2012 წლის 18 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №4 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“**;

2012 წლის 18 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №2 ბრძანებით დამტკიცებული **„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“**;

2012 წლის 24 იანვრის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის №7 ბრძანებით დამტკიცებული **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულება“**.

2012 წლის 7 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №25/04 ბრძანებით დამტკიცებული **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი“** (ცვლილებებით და დამატებებით);

2012 წლის 7 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №33/04 ბრძანებით დამტკიცებული **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები“** (ცვლილებებით და დამატებებით).

2012 წლის 3 მაისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №49/04 ბრძანებით დამტკიცებული **„კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება“**;

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული **„არასაბანკო**

სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესით“;

**ბ) მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები**

**ბურდული, ირაკლი.** შესავალი სააქციო სამართალში, თბ. 2010;

**ზოიძე, ბესარიონ.** სანივთო სამართალი, გამომც. „უფლება“, თბ., 1999;

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,** ნიგნი მეოთხე, ტომი 2, 2001;

**ყიფიანი, ბადურ.** „ბანკების დაფუძნების სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოში“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004.

**ჭანტურია, ლადო.** უძრავი ნივთების საკუთრება, თბ. 1994;

**ჭანტურია, ლადო.** შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ, 1997;

**ხოტენაშვილი, პაატა.** საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3;

**ჯოლია, გურამ.** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო, თბ., 2008;

**Albrecht A., Karahan D., Lenenbach M.,** Fachanwaltsbuch Bank- und Kapitalmarkrecht, Münster, 2010.

**Assies, P. H., Beule, D., Heise, J., Stube H., Rösler, P.** Handbuch des Fachanwalts. Bank- und Kapitalrecht, 2. Aufl., Köln, 2010.

**Bank- und Kapitalmarktrecht case by case.** Hrsg. Gerald Spindler. Frankfurt am Main, 2005.

**Bank- und Börsenrecht für Studium und Praxis.** Hsgb. von C.P.Claussen. 4. Aufl., München, 2008.

**Bankrecht. Wahrung, Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit**, AGR, 40. Aufl., 2012.

**Basler Kommentar zum Schweizerischen Privatrecht, Zivilgesetzbuch I**, 2. Aufl., (Hrsg. H. Honssel, N.P. Vogt, T. Geiser), Helbing&Lichtenhahn, Basel, Genf, Munchen, 2002.

**Baumbach/Hopt**. Kommentar zum HGB, 32. Aufl., 2004.

**Bedingungen fur den Uberweisungsverkehr von 31.10.2009**, in: Bankrecht. Wahrung, Bankaufsicht, Kapitalmarktrecht, Zahlungsverkehr-Kredit, AGR, 40. Aufl., 2012.

**Berner Bankrechtstag**. Band 8, E-Banking. Rechtliche Grundlagen, Bern, 2002.

**Claussen**, Bank- und Borsenrecht, 2003, §8, 311.

**Fruh A., Muhler-Arends H.** Bankrecht und Bankpraxis, 3. Teil, Kreditformen, Band 1, Stand September 2007.

**Einsele, Dorotee**. Bank- und Kapitalmarktrecht, Nationale und Internationale Bankgeschafte, 2. Aufl., Tubingen, 2010.

**Ellenberger J., Lange C.**, Allgemeine Vorschriften fur Darlehensvertrag, in: Kommentar zum Kreditrecht. Praxiskommentar zum darlehens- und Kreditsicherungsrecht des BGB, Hrsg. Gerd Noble, Band 1, 2. Aufl., Heidelberg, 2012.

**Henrichs, Joachim**. Informationspflichten bei Darlehensgeschafte – Insbesondere bei Festdarlehen mit alternativen Tilgungsinstrumenten., in FS Kumpel, 2003.

**Kohls, Reiner**. Bankrecht. 2. Aufl., Verlag “Beck”. 1997.

**Kommentar zum Kreditrecht. Praxiskommentar zum darlehens- und Kreditsicherungsrecht des BGB**, Hrsg. Gerd Noble, Band 1, 2. Aufl., Heidelberg, 2012.

**Kruse, Hans-Wilhelm**. Das Richterrecht als Rechtsquelle des innerstaatlichen Rechts, Tubingen, 1971.

**Luz G., Neus W., Schaber M., Scharpf P., Schneider P., Weber M.** (Hrsg.). Kreditwesengesetz (FWG). Kommentar zum KWG inklusive SolvV, LiqV, GroMikKV, MaRisk, 2. Aufl., Stuttgart, 2011.

- Medicus*, Schuldrecht II, Besonderes Teil, 1994.
- Schimansky, Bunte, Lwowski*. Bankrechthandbuch, Band 1, 4 Aufl., Beck, München, 2011.
- Schwintowski, Hans-Peter*. Bankrecht, München, 2004.
- Schwintowski, Hans-Peter*. Bankrecht, 3. Aufl., Köln, 2011.
- Schönle*. Bankrecht., 2 Aufl., 2007.
- Weller*, Kreditkartenverfahren, München, 1986.
- Гонгало Б.М.* «Учение об обеспечении обязательств.» М., 2002.
- Гражданское право*. Том 1. Учебник. Изд. пятое, Под ред. А.П.Сергеева, Ю.К.Толстого. М., 2000.
- Овсейко С.* Комментарий к Конвенции ООН о независимых гарантиях и резервных аккредитивах // Банковское право. 2001. № 1.
- Олейник*, Основы Банковского Права. Москва. 1997.



**გამომცემლობა „იურისტების სამყარო“**

**თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75**

**ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34**

**E-mail: [Lawyers.world@yahoo.com](mailto:Lawyers.world@yahoo.com);**

**<http://www.facebook.com/lawyers.world>**